დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. ახალქალაქის N3 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლიანა კობესაშვილი

წევრები:

ლანა ყურაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

თამარ ბერიძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

ნიკოლოზ გურგენიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

თინათინ ბეგიაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;

სოფიო გელაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;

მარინე ჩახვაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;

ხათუნა ქერაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ლ. კობესაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შაქრო ჟღენტი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი; ქეთევან ქობალია - სპორტის საგნობრივი ექსპერტი; ნათია კოხოძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. ახალქალაქის N3 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	223364222

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ახალქალაქის მუნიციპალიტეტი. ქალაქი ახალქალაქი
იურიდიული მისამართი	ქალაქი ახალქალაქი, თამარ მეფის ქუჩა 33
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი ახალქალაქი, თამარ მეფის ქუჩა 33
საფოსტო ინდექსი	0700

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	არ აქვს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Akhalkalaki3@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	593405581

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 24/05/2023 წლის ბრძანება MES 1 23 0000594148
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	06 და 07 ივლისი, 2023 წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

				ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ახალქალაქი. ქუჩა თამარ მეფე N33
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ახალქალაქი. ქუჩა თამარ მეფე N33
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ახალქალაქი. ქუჩა თამარ მეფე N33

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანებით განსაზღვრულმა ექსპერტთა ჯგუფმა, ვიზიტის დაწყებამდე შეისწავლა სკოლის თვითშეფასება და თანდართული დოკუმენტაცია. დისტანციურად, Teams-ის პლათფორმის მეშვეობით, გამართა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრები, განიხილა ვიზიტის საორგანიზაციო საკითხები, შეიმუშავა დღის წესრიგი და წარმოების ფარგლებში დამატებით გამოსათხოვი დოკუმენტაციის ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გაეგზავნა წინასწარ.
სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. ახალქალაქის N3 საჯარო სკოლაში განხორციელებული ჰიბრიდული ვიზიტის ფარგლებში ადგილზე, სკოლაში, იმყოფებოდა ექსპერტთა ჯგუფის 3 წევრი. თავმჯდომარე, ექსპერტი ხარისხის მიმართულებით და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი. სხვა საგნების საგნობრივი ექსპერტები დისტანციურ რეჟიმში ერთვებოდნენ პროცესში. ვიზიტი წარიმართა წინასწარ გათვალისწინებული დღის რეჟიმის შესაბამისად, მშვიდ და საქმიან გარემოში. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში შეამოწმა სკოლის მიერ შემუშავებული სკოლის ფილოსოფია (შემუშავების, გაზიარების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასაჯაროების და მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები), განსახორციელებელი ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერისა და მოსწავლეთა მხარდაჭერის მიმართულებით სკოლის მიერ დაგეგმილი საქმიანობა. დაათვალიერა კურიკულუმთან მიმართებაში დაწესებულების სასწავლო გარემო, საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები, შეამოწმა სკოლის ბიბლიოთეკა და ლაბორატორიები. გაესაუბრა სკოლის წარმომადგენლებს: ადმინისტრაცია, მასწავლებლები (კათედრების მიხედვით). ზემოთაღნიშნულის საფუძველზე მომზადდა შესაბამისი დასკვნა.

ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად დანახული მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

I. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3	☐ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

პროცესების მართვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზესაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

<u>მოსწავლეთა რაოდენობა: 300</u>	<u>ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება</u> ☒	<u>*აღწერა*</u> <u>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*</u>
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:
ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა სამივე - დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N1.2.1.1	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შეიმუშაოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში
ინდიკატორი N1.2.1.4.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს სამოქმედო გეგმაში ინდიკატორის მოთხოვნების სრულად ასახვა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.
ინდიკატორი N1.2.2.1.	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შეიმუშაოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია რომელშიც გათვალისწინებული იქნება მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	
ინდიკატორი N3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	სკოლას მიეცა რეკომენდაცია : ა.უზრუნველყოს სკოლაში დასაქმებული ყველა პირისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ცნობების არსებობა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში. ბ.მოწვეულ მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიყვანოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში
ინდიკატორი N3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავება და პერსონალის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში: ა. გამიჯნოს საერთო სარგებლობის ეზო „ენის სახლთან“; ბ.აიყვანოს ექიმი; გ. შეათანხმოს საგანგბო სიტუაციების მართვის გეგმა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან; დ. მოიპოვოს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ შესაბამისი უწყებიდან; ე. მოიპოვოს დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ.
ინდიკატორი N N3.6.3.1	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით	სკოლას მიეცა რეკომენდაცია დაიცვას შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადები სკოლის ვებგვერდის დამზადებისას და ვებგვერდი გამოიყენოს საზოგადოებასთან საკომუნიკაციოდ
ინდიკატორი N N3.6.3.4.	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი,	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს ვებგვერდზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას	ინფორმაციის განთავსება ქართულ ენაზე.
ინდიკატორი N3.6.3.5.	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს ვებგვერდზე მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრუქტურის, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებების, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურების და მისანიჭებელი კვალიფიკაციის (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების, გასაჩივრების მექანიზმების, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიშის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		შედეგების და საკონტაქტო ინფორმაციის ასახვა.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცი*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცი*
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.1	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამებ ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს	გადაიხედოს ხედვის ფორმულირება და ჩამოყალიბდეს ისე, რომ ჩანდეს, თუ რას დაინახავს სასკოლო საზოგადოება, თუკი დაწესებულება სრულად მოახდენს საკუთარი ამბიციების რეალიზებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი N1.1.1.3	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებებ შემუშავებულია სასკოლო საზოგადოებ ჩართულობით	სკოლის ღირებულებების ფორმულირება შეიცვალოს ისე, რომ მან ერთის მხრივ, ინფორმაცია მიაწოდოს სასკოლო საზოგადოებას სკოლაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურის და იმ პრინციპების შესახებ, რომელთა დაცვითაც უნდა იმუშაონ დაწესებულებაში და მეორეს მხრივ საზოგადოებას ჩამოუყალიბოს მოლოდინი სკოლასთან დაკავშირებით.
ინდიკატორი N1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	სტრატეგიულ მიზნებში გათვალისწინებული იქნას მისია და ხედვა. მოხდეს სტრატეგიული მიზნების ფორმულირება და კონკრეტული აქტივობები გატანილი იქნას ერთწლიან გეგმაში
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული	*რჩევა*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N3.1.1.1	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული	შეიქმნას ერთი მთლიანი დოკუმენტი რომელიც განსაზღვრავს სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციებს
ინდიკატორი N3.1.2.1.	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად	შემუშავდეს სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტი/დოკუმენტები, სადაც კანონმდებლობის შესაბამისად დაზუსტდება კონკრეტული სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა
ინდიკატორი N3.1.2.2	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებულ პრევენციული და ინტერვენციულ პერსონალის მართვის პოლიტიკა	იმ შემთხვევაში თუ შეიმუშავებს სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტს/დოკუმენტებს, გაითვალისწინოს აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნები და დაწვრილებით გაწეროს საკუთარ პრაქტიკაში არსებული ნაბიჯები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		პრევენციული და ინტერვნციული მართვის პოლიტიკის მიმართულებით.
ინდიკატორი N3.2.1.4	სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლებ ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან	სკოლაში არსებული პრაქტიკა ახალი თანამშრომლის ადაპტაციასთან დაკავშირებით გაწეროს როგორც მექანიზმი
ინდიკატორი N3.2.1.5	წახალისებულია პერსონალ განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივები.	დაკონკრეტდეს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების მექანიზმები და დოკუმენტი ხელმსაწვდომი გახდეს დაინტერესებული პირებისათვის
ინდიკატორი N3.3.1.2.	იდენტიფიცირებულია და აღწერილ სკოლის საგანმანათლებლ საქმიანობასთან დაკავშირებულ მმართველობითი, ძირითადი დ დამხმარე პროცესები	შეიმუშაოს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესების ჩამონათვალის და მათი აღმწერების ერთიანი დოკუმენტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი N3.3.1.3	სკოლაში არსებობს თანამშრომლები მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიე გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასე საჩივრების განხილვის სისტემა	საჩივრების განხილვების პროცედურებში დააკონკრეტოს: რა პრინციპებს ემყარება სკოლაში არსებული საჩივრების სისტემა, როგორ ხდება სკოლაში მოქმედი საჩივრების პროცედურები სასკოლო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი, ფორმალური საჩივრის წარდგენის პროცედურები, რომელია საჩივრების განმხილველი ორგანო, რა ტიპის საჩივრები არსებობს, ვის და როგორ შეუძლია შემოიტანოს განცხადება/საჩივარი, რას უნდა მოიცავდეს განცხადება, წარმოების ვადები.
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლ ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოებ დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებ რეაგირებას და პირველადი დახმარებ აღმოჩენას	შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებულ სპეციალისტთან მიმართებით სკოლას მიეცა რჩევა, იზრუნოს შესაბამისი კვალიფიკაციის კადრის დასაქმებაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი N3.4.1.4	სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას	სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი
ინდიკატორი N3.5.1.1	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლის შიდა აზომვით ნახაზი მოიყვანოს რეალობასთან შესაბამისობაში
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N4.1.2.1	სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები	მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის და სტატუსის შეჩერების გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები გაიწეროს ერთიან დოკუმენტად, დაკონკრეტდეს სკოლის მიერ განსახორციელებელი ქმედებები (კანონმდებლობის შესაბამისი) და ხელმისაწვდომი გახდეს სასკოლო საზოგადოებისათვის
ინდიკატორი N4.2.1.1.	სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი	მოსწავლის სასწავლო გარემოსთნ ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი გაიწეროს ასევე მობილობით გადმოსული მოსწავლეების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		შემთხვევაში
ინდიკატორი N4.2.2.3	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.	კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინოს და გაწეროს დაგეგმილი მომსახურების შეფასების მექანიზმები, რომელთა საფუძველზეც შეაფასებს საქმიანობას და შეფასების შედეგებს გამოიყენებს მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმები მიემართება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალურ ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრ ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეეგები)	**ესთეტიკური აღზრდა** ეროვნულ სასწავლო გეგმაში დაწყებით საფეხურზე განსაზღვრულია სავალდებულო თემატური ბლოკები, სადაც უნდა დამუშავდეს სტანდარტით განსაზღვრული ყველა სამიზნე ცნება, სასურველია, რომ ეს მსჯელობა გათვალისწინებული იქნას ყველა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		კლასის ჩარჩო კურიკულუმში. სასწავლო პროცესი დაგეგმილია კომპლექსური დავალებებით, ამ შემთხვევაში კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულების გათვალისწინებით უნდა იყოს წარმოდგენილი კონტექსტ-მაგალითები. უმეტეს შემთხვევაში არ არის ან შეცდომითაა ფორმულირებული. ყველა თემაში არ არის წარმოდგენილი საკითხი. იქ სადაც კომპლექსური დავალებაა წარმოდგენილი სასურველია ყველა სასწავლო მიზანი (ყველა ველი იყოს შევსებული) იყოს განსაზღვრული. სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, მესამე და მეოთხე კლასის ჩარჩო კურიკულუმში არ არის წარმოდგენილი თემატური ბლოკები, ყველა თემაში არ არის წარმოდგენილი საკითხი. იქ სადაც კომპლექსური დავალებაა წარმოდგენილი სასურველია ყველა სასწავლო მიზანი იყო განსაზღვრული (ყველა ველი იყოს შევსებული).
ინდიკატორი	სასწავლო პროცესი ითვალისწინებ	**ფიზიკური აღზრდისა და სპორტის**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

N2.1.2.3	დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს	**საგანში** შემუშავდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სსსმ მოსწავლეებისთვის.
ინდიკატორი N2.2.1.1.	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;	ფიზიკური აღზრდა და სპორტი - დაამატოს 5-6 კლასებში თემა „მავნე ჩვევების პრევენცია“.
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)**	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**სპორტის** კურიკულუმში დაემატოს თემები ოლიმპიზმის ისტორიიდან.
ინდიკატორი N2.1.2.2.	კურიკულუმები მიემართება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალურ ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრ ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)	1. მეშვიდე კლასში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჩარჩო კურიკულუმში წარმოდგენილი უზუსტობები უფრო ატარებს ტექნიკური ხასიათს, ამ ლოგიკით ცხრილია გასასწორებელი, რადგან საკითხები, თემები, გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, კომპლექსური დავალებები სწორადაა ფორმულირებული. 2. გასათვალსწინებელი შენიშვნები: ➢ მეშვიდე კლასში არ მუშავდება სავალდებულო თემატური ბლოკი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		გარემო და ხელოვნება ➢ მეშვიდე კლასის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჩარჩო კურიკულუმში პირველი თემა/საკითხი - გარემოს ასახვა ხელოვნებაში და ახალი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების ძიება, არ შეესაბამება თემატურ ბლოკს (ადამიანი ხელოვნებაში) და ვერ უზრუნველყოფს თემატური ბლოკის მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. ეს თემა ეკუთვნის თემატურ ბლოკს -გარემო და ხელოვნება ➢ მეოთხე თემაში/საკითხი არ შეესაბამება თემატურ ბლოკს ვერ უზრუნველყოფს თემატური ბლოკის მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას, ეს თემა/საკითხი ეკუთვნის თემატურ ბლოკს-საზოგადოება და ხელოვნება 3. მერვე კლასის კურიკულუმი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება ➢ სამივე თემატური ბლოკში კონტექსტ-მაგალითი არასწორადაა ფორმულირებული 4. მეცხრე კლასის ჩარჩო-კურიკულუმი სახვითი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		გამოყენებითი ხელოვნება ➢ სასურველია კონტექსტ-მაგალითები უფრო დაკონკრეტდეს კომპლექსური დავალების პირობასთან და სამიზნე ცნებებთან მიმართებით მუსიკა მეცხრე კლასში კურიკულუმით მასწავლებელს განსაზღვრული აქვს სამი თემა, რომელიც ჩაშლილია რამდენიმე საკითხად. ამასთან, წლის განმავლობაში დაგეგმილი აქვს ექვსი კომპლექსური დავალების განხორციელება. მეცხრე კლასში საათობრივ ბადით განსაზღვრული საათები მსგავის დაგეგმვის განხორციელების საშუალებას არ იძლევა. ამ მჯელობის გათვალისწინებით საჭიროა გადაიხედოს მეცხრე კლასის მუსიკის ჩარჩო კურიკულუმი. სპორტი უნდა შესწორდეს სასწავლო რესურსებში მითითებული ლინკები (არ იხსნება).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი N2.1.2.3	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერნცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგანში შემუშავდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სსსმ მოსწავლეებისთვის.
ინდიკატორი N2.2.1.1	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას	სპორტი დაამატონ თეორიულად განსალხილველი თემები, მაგ., ოლიმპიზმის ისტორიიდან, ან/და საქართველოში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების ისტორიიდან და/ან სხვ.
ინდიკატორი N2.2.1.4	სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)	სპორტი ჩააშენოს საბაზო საფეხურის კურიკულუმებში პროექტული ტიპის დავალებები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის ნიმუშები და სხვა, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს ითანამშრომლონ თანატოლებთან, თავად გამოიჩინონ ინიციატივა და უფრო აქტიურად გახდნენ სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეები.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	*რჩევა*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	(საშუალო საფეხური)	
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	სპორტი დაემატოს თემები ოლიმპიზმის ისტორიიდან, საქართველოში სპორტის განვითარების ისტორიიდან და/ან სხვ.
ინდიკატორი 2.1.2.4	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკური ორიენტირებს	შეიმუშავონ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რადგან წერილობით კომენტარები დაეხმარებათ მათ თითოეული ბავშვის ფიზიკურ განვითარებაზე უფრო სიღრმისეული წარმოდგენის შექმნაში და მისი პროგრესის დაფიქსირებაში.
ინდკატორი N2.2.1.1	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმდებით პროცესში ჩართულობის შესაძლებობას	სპორტი დაამატონ თეორიულად განსალხილველი თემები, მაგ., ოლიმპიზმის ისტორიიდან, ან/და საქართველოში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების ისტორიიდან და/ან სხვ.
ინდიკატორი N2.2.1.4.	სასწავლო პროცესი ორიეენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცურული და	სპორტი ჩააშენოს საშუალო საფეხურის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	პირობისეული)	კურიკულუმებში პროექტული ტიპის დავალებები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის ნიმუშები და სხვა, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს ითანამშრომლონ თანატოლებთან, თავად გამოიჩინონ ინიციატივა და უფრო აქტიურად გახდნენ სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეები.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლა დაეთანხმა დასკვნაში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებს და წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. გეგმაში გათვალისწინებულია ექსპერტთა მხრიდან დაფიქსირებული ყველა ხარვეზი, გაწერილია ხარვეზების აღმოსაფხვრელად გასატარებელი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, ვადები და საჭირო რესურსები. გათვალისწინებულია რისკები.
ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს

სკოლის მისიაა აღზარდოს მოაზროვნე პიროვნება, რომელიც თავისი ცოდნითა და განათლებით ღირსეულად შეძლებს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას მშობლიური მრავალეთნიკური რეგიონის განვითარებაში. სკოლა შექმნის ისეთ გარემოს, სადაც მოსწავლეები იგრძნობენ თავს ლაღად, დაცულად, განავითარებენ საზოგადოებაში ინტეგრირებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს, იქნებიან შემწყნარებელნი ყოველგვარი განსხვავებულის მიმართ და შეძლებენ სამყაროს უკეთესობისაკენ შეცვლას.
სკოლის ხედვაა: სკოლა უსაფრთხო და ემოციურად დადებითი გარემოს შეთავაზებით, ასევე, პროფესიონალი მასწავლებლებისა და მთელი სასკოლო საზოგადოების მხრიდან ინოვაციური იდეების მხარდაჭერით, საინტერესო და მრავალფეროვანი აქტივობებით, თანასწორობის დაცვისა და ტოლერანტობის პრინციპის გათვალისწინებით 2030 წლისათვის გახდება პრესტიჟული მთელ რეგიონში და მოსწავლეთა რაოდენობა გაიზრდება 30%-ით.
სკოლის მისია და ხედვა შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებში დეკლარირებულ განაცხადთან, საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის მიზანია ახალგაზრდამ გაიაზროს ქვეყნის ინტერესების ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობა, იყოს კანონმორჩილი და ტოლერანტი მოქალაქე, გამოიმუშაოს უნარები საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად.
<u>**აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

<u>სკოლას მიეცა რჩევა გადახედოს ხედვის ფორმულირებას და ჩამოაყალიბოს ისე, რომ ჩანდეს, თუ რას დაინახავს სასკოლო საზოგადოება, თუკი დაწესებულება სრულად მოახდენს საკუთარი ამბიციების რეალიზებას.</u>

2.სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

სკოლის მისია ითვალისწინებს ისეთ გარემოს შექმნას, სადაც მოსწავლეები იგრძნობენ თავს ლაღად, დაცულად, განავითარებენ საზოგადოებაში ინტეგრირებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს, ხოლო ხედვა აქცენტს აკეთებს უსაფრთხო და ემოციურად დადებითი გარემოს შეთავაზებაზე საინტერესო და მრავალფეროვანი აქტივობებით, თანასწორობის დაცვისა და ტოლერანტობის პრინციპის გათვალისწინებით.
<u>ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სკოლის მასწავლებლების მიერ სასკოლო საზოგადოების/თემის გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით, <u>შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

<u>სკოლას მიეცა რჩევა სკოლის ღირებულებების ფორმულირება შეცვალოს ისე , რომ მან ერთის მხრივ, ინფორმაცია მიაწოდოს სასკოლო საზოგადოებას სკოლაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურის და იმ პრინციპების შესახებ, რომელთა დაცვითაც უნდა იმუშაონ დაწესებულებაში და მეორეს მხრივ საზოგადოებას ჩამოუყალიბოს მოლოდინი სკოლასთან დაკავშირებით.</u>

4.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ახალი სასწავლო წლისათვის მისია, ხედვა და ღირებულებები გახდება სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი, რომლიც უზრუნველყოფს სკოლი მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარებას. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა სასკოლო საზოგადოების უკუკავშირები სკოლის მისიის, ხედვასა და ღირებულებებთან დაკავშრებით.

<u>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

5.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მისია, ხდვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლის ფოიეში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას, რაც უზრუნველყოფს მის საჯაროობას

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია</u>

6.სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება "სსიპ - ილია ჭაჭავაძის სახელობის ქალაქ ახალქალაქის N3 საჯარო სკოლა " სრულად შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ტერმინს (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა).

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია და ხედვა, ღრებულებების დოკუმენტი;
- ადგილობრივი თემის გამოკითხვის შევსებული კითხვარები;
- სოციალური ქსელი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

ვიზიტის პერიოდში სკოლას სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია არ წარმოუდგენია

<u>დაწესებულებამ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით დაადასტურა, რომ აქვს მზაობა მოკლევადიან პერიოდში (სექტემბერი-ოქტომბერი, 2 თვე) გამოასწოროს აღნიშნული ხარვეზი.</u>

<u>შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულია ადამიანური რესურსი და გათვალისწინებულია რისკები.</u>

<u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია შეიმუშაოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია</u>

<u>წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი. გეგმაში გათვალისწინებულია სტრატეგიული მიმართულებები, ამოცანები, ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმის დასასრულს მოხდება მისი განხორციელების შეფასება და დაიწყება ახალი გეგმის მომზადება, რაც უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების გეგმის ციკლურ ხასიათს.

<u>აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია</u>
<u>სკოლას მიეცა რჩევა სტრატეგიულ მიზნებში გაითვალისწინოს მისია და ხედვა. მოახდინოს სტრატეგიული მიზნების ფორმულირება და კონკრეტული აქტივობები გაიტანოს ერთწლიან გეგმაში</u>

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლამ წარმოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის სკოლის განვითარების სამოქმედო გეგმა, რომელიც სტრატეგიული განვითარების გეგმას ეფუძნება და შემუშავებულია სკოლის თვითშეფასების საფუძველზე.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია</u>

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.**

სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან გეგმაში გაწერილია აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და შესრულების ვადები. გეგმაში არ არის გათვალისწინებული შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

<u>დაწესებულებამ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით დაადასტურა, რომ აქვს მზაობა მოკლევადიან პერიოდში (2 კვირა) გამოასწოროს აღნიშნული ხარვეზი.</u>

<u>შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულია ადამიანური რესურსი და გათვალისწინებულია რისკები.</u>
<u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს სამოქმედო გეგმაში ინდიკატორის მოთხოვნების სრულად ასახვა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ერთწლიანი გეგმა;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ადგილზე, ვიზიტის პერიოდში სკოლას სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია არ წარმოუდგენია

<u>დაწესებულებამ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით დაადასტურა, რომ აქვს მზაობა მოკლევადიან პერიოდში (სექტემბერი-ოქტომბერი, 2 თვე) გამოასწოროს აღნიშნული ხარვეზი.</u>
<u>შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულია ადამიანური რესურსი და გათვალისწინებულია რისკები.</u>

<u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შეიმუშაოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია რომელშიც გათვალისწინებული იქნება მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები.</u>

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**
მიმდინარე წარმოების ფარგლებში ინდიკატორი ვერ ფასდება

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით სკოლა ყოველი წლის 10 დეკემბრამდე ახდენს წლიური ანგარიშის წარდგენას სამეურვეო საბჭოსთან, რომლიც უზრუნველყოფს მის გაცნობას მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა წარმომადგენლებისათვის. დაწესებულების წარმომადგენელთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ სამომავლოდ სკოლა იზრუნებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორცილების შედეგების გასაჯაროებაზე.

<u>შესაბამისია ინდიკატორის მოთხოვნასთან</u>

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

მიმდინარე წარმოების ფარგლებში ინდიკატორი ვერ ფასდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. ყოფილაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურული ერთეულების, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის და კათედრების დებულება. პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, მრჩეველთა საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დისციპლინური კომიტეტისა და დამრიგებლის მუშაობა რეგულირდება შესაბამისი საკანონმდებლო (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, ეროვნული სასწავლო გეგმა, სკოლის წესდება, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი 06/ნ ბრძანება) აქტებით. ექიმის ფუნქციები გაწერილია დირექტორის N53 ბრძანებით (07.03.2023 წ.) დამტკიცებულ სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ახალქალაქის #3 საჯარო სკოლის ექიმის ფუნქციებში, ხოლო ბიბლიოთეკარის ფუქნციები დამტკიცებულია N54 ბრძანებით (07.03.2023 წ.).
დაწესებულებაში დასაქმებული პირების ფუნქციები სკოლას დასაქმებულებთან გაწერილ ხელშეკრულებებში მკაფიოდ აქვს განსაზღვრული.

<u>შესაბამისია ინდიკატორის მოთხოვნასთან</u>

<u>სკოლას მიეცა რჩევა შექმნას ერთი მთლიანი დოკუმენტი სადაც განსაზღვრავს სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციებს</u>

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ორგანიგრამის და ხელშკრულებაში გაწერილი ფუნქციების, ასევე საშტატო განრიგის გათვალისწინებით და მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების (პერსონალის შესახებ) მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები განაწილებულია, არ ხდება ფუნქცია - მოვალეობების დუბლირება. სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები, მთლიანობაში, სრულად მოიცავს ყველა იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითად საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს უკავშირდება, თუმცა სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰყავდა ექიმი. ექიმის პოზიციაზე სკოლას გამოცხადებული აქვს ვაკანსია.

<u>შესაბამისია ინდიკატორის მოთხოვნასთან</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ბრძანება ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ;
- ექიმის ფუნქციები;
- ბრძანება N53 (07.03.2023 წ.);
- ბიბლიოთეკარის ფუქნციები;
- ბრძანება N54 (07.03.2023 წ.);
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ორგანიგრამა;
- საშტატო განრიგი.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის და სკოლის შიდამარეგულირებელი აქტების: სკოლის შინაგანაწესის, პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებების, ეროვნული სასწავლო გეგმის (კათედრების ფუნქცია-მოვალეობები, დამრიგებლის უფლება-მოვალეობები), სკოლის წესდების, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №174/ნ-ის (მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ -ის მიხედვით. დაწესებულებას დამატებითი პირობები დადგენილი არ აქვს.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია</u>

<u>სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშოს სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტი/დოკუმენტები, სადაც კანონმდებლობის შესაბამისად დაზუსტდება კონკრეტული სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა</u>

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლას საჭიროებაზე დაფუძნებული პრევნციული და იტერვენციული მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი წესი/დოკუმენტი/ პროცდურები განსაზღვრული არ აქვს თუმცა სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ არსებობს პრაქტიკა, რომელიც გამოიხატება სკოლის მიერ სასწავლო წლის დასასრულს მომავალი სასწავლო წლის დაგეგმვის ნაწილში. კერძოდ, სკოლა წინასწარ განსაზღვრავს მომავალ პირველკლასელთა სავარაუდო რაოდენობას, მომდევნო სასწავლო წლის საათობრივ ბადეს, ფინანსურ კლასთა რაოდენობას და შესაბამისად საჭირო პერსონალს (მასწავლებელი, ტექნიკური პერსონალი). მეორეს მხრივ სკოლის დამკვიდრებული პრაქტიკაა მასწავლებელთა მხრიდან გაცდენილი გაკვეთილების ჩანაცვლება კათედრის წევრების მიერ.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია</u>

<u>სკოლას მიეცა რჩევა იმ შემთხვევაში თუ შეიმუშავებს სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტს/დოკუმენტებს, გაითვალისწინოს აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნები და დაწვრილებით გაწეროს საკუთარ პრაქტიკაში არსებული ნაბიჯები პრევენციული და ინტერვნციული მართვის პოლიტიკის მიმართულებით.</u>

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლა მასწავლებლის შერჩევას, კადრების მოზიდვასა და დასაქმებას უზრუნველყოფს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანების შესაბამისად. დაწესებულებამ წარმოადგინა მასწავლებლის, სპეციალური მასწავლებლის დასაქმების პროცესის ამსახველი გასუბრების ოქმები, გასაუბრების კომისიის ფორმირების ბრძანებები, გადაწყვეტილებები. შერჩევის კრიტერიუმები.რაც შეხება ადმინისტრაციულ პერსონალს სკოლა შესაბამისი კადრის მოსაზიდად აკეთებს განაცხადს სკოლის სოციალურ ქსელში და დირექტორს აჰყავს გასაუბრებით.

ვიზიტის პროცესში გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები. პირადი საქმეების გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ სკოლის პერსონალს **არ ჰქონდა** წარმოდგენილი საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ (მუხლი 33 [1] -ით პერსონალისათვის დადგენილი შეზღუდვა) განსაზღვრული ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის №463 დადგენილებით განსაზღვრული ცნობები „უფლების ჩამორთმევის შესახებ“. ასევეე მასწავლებლებს არ ჰქონდათ წარმდგენლი ცნობა ნასამართლობის შესახებ (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ. მუხლი 21). მოწვეულ მასწავლებელთან ხელშეკრულება გაფორმებული იყო 17 საათზე, რაც შეუსაბამოა მოწვეული მასწავლებლის ტერმინის განმარტებასთან (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ), რომლის თანახმადაც მოწვეული მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საგაკვეთილო საათების 50%-ს (9 საათს). მოწვეულ მასწავლებელს უდასტურდებოდა საგნის სწავლებისათვის საჭირო კომპეტენცია.

<u>არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმის მიხედვთ სკოლაში დასაქმებული პერსონალის პირად საქმეებს (კანონმდებლობით განსაზღვრული ცნობები) მოიყვანს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში 1 თვის მანძლზე, ხოლო მოწვეულ მასწავლებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებას პირველ სექტემბერს.</u>

<u>შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულია საქმიანობის განმახორციელებელი შესაბამისი ადამიანური რესურსი, ვადები და რისკები.</u>
<u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია :</u>
<u>ა.უზრუნველყოს სკოლაში დასაქმებული ყველა პირისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ცნობების არსებობა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში;</u>

ბ.მოწვეულ მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიყვანოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევა 7 წამყვანი და 12 უფროსი მასწავლებელი, 1 სპეციალური მასწავლებელი და 1 სპეციალური მასწავლებლის ასისტენტი, 1 მოწვეული მასწავლებელი, 1 მტუკი, 3 დამლაგებელი, 2 დარაჯი, 1 საქმისმწარმოებელი, 1 ბიბლიოთეკარი, 1 ბუღალტერი, 1 საინფორმაციო მენეჯერი, 1 ცეცსლფარეში (სეზონურად) , 1 ლაბორანტი.
დაწესებულება მასწავლების დასაქმებასთან დაკავშირებულ პროცესებს და მასწავლებლების კვალიფიკაციას არეგულირებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანების მოთხოვნათა გათვალისწინებით. რაც შეეხება სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებს სკოლას არ აქვს შემუშავებული მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და შესაბამისად ვერ დადგინდა, თუ რამდენად შეესაბამება სკოლის პერსონალი დაკავებულ თანამდებობას. უფროს და წამყვან მასწავლებლებთან გაფორმებულია სტატუსის შესაბამისი ხელშეკრულებები. პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები შესაბამისობაშია საქართველოს ორგანულ კანონთან, საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებთან.

დაწესებულებამ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით დაადასტურა, რომ აქვს მზაობა მოკლევადიან პერიოდში (სექტემბერი-ოქტომბერი, 2 თვე) გამოასწოროს აღნიშნული ხარვეზი.
შესაბამისობის გეგმით განსაზღვრა აქტივობისთვის საჭირო ადამიანური რესურსი და მოსალოდნელი რისკები.
სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავება და პერსონალის შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასწავლებლის შერჩევის პროცედურა (კომისიის შექმნა გასაუბრება, გადაწყვეტილების მიღება), კათედრების და მრჩეველთა საბჭოს ოქმები, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების პროცედურა ამტკიცებს, რომ სკოლაში დამკვიდრებულია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპები.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა პერსონალის ინიციატივების წახალისება. სკოლის უცხოური ენების მასწავლებლების ინიციატივით შემუშავდა და USAID-ის და სკოლის თანადაფინანსებით აღიჭურვა უცხოური ენების კაბინეტი. სკოლამ აღიარა მასწავლებლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინიციატივა და ხელი შეუწყო პროექტის ხელმძღვანელ მასწავლებლებს, რათა მათ თავიანთი გამოცდილება გაეზიარებინათ ქალაქის სხვა სკოლის მასწავლებლებისათვის უზრუნველყო რა ამ შეხვედრის ორგანიზება. სკოლამ ასევე წარმოადგინა ცალკეულ მასწავლებლებზე გაცემული სიგელები, რომლითაც აღიარებული იყო მასწავლებლის წარმატებები კონკრეტული პროექტების განხორციელებისას.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- მართვის საინფორმაციო სისტემა ;
- სკოლაში მასწავლებლის დასაქმების პროცედურა ;
- დასაქმებულთა პირადი საქმეები;
- სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებისა და ჯგუფების ოქმები;
- ბრძანებები გასაუბრების კომისიის შექმნაზე;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით, მასწავლებლის პედაგოგიური პრაქტიკის შესწავლას და შესაბამისად გამოვლენილი განვითარების საჭიროებას დაადგენს:

- მასწავლებლის თვითრეფლექსიით;
- დირექციის მხრიდან გაკვეთილზე დაკვირვებით. დაკვირვების ფოკუსი იქნება ის, თუ რამდენად ხორციელდება საკლასო ოთახში დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და რამდენად ხდება მოსწავლეების შეფასება/მხარდაჭერა ამ დავალებებზე მუშაობის პროცესში;
- გამოკითხვებით - პერიოდულად დირექცია მოახდენს სასკოლო საზოგადოების წევრების გამოკითხვას პრობლემურ საკითხებთან მიმართებით საზოგადოებრივი აზრის შესასწავლად.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სკოლა მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებათა დადგენისათავის, გამოიყენებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფის მიერ მასწავლებელზე დაკვირვების შედეგებს.

რაც შეეხება სკოლის ადმინისტრაციას - ამ ნაწილში სკოლა/დირექცია/დასაქმებულის უშუალო ხელმძღანელი იყენებს დაკვირვების მეთოდს და აფასებს დასაქმებულს მის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებებთან მიმართებით.

<u>შესაბამისია ინდიკატორის მოთხოვნასთან</u>

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლა პერსონალის განვითარებას განახორციელებს გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე, რასაც ადასტურებს სკოლის პრაქტიკა. სკოლა მასწავლებლისა და ადმინისტრაციის შეფასების შედეგების მიხედვით ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებას. მაგ., სკოლის ხელშეწყობითა/დაფინანსებით სკოლის ბუღატერმა გაიარა მომზადების კურსი თემაზე:

- სახელმწიფო შესყიდვები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის;
- საგადასახადო კანონმდებლობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის;
- ინვენტარიზაციის ჩატარებისა და ქონების ჩამოწერის პროცედურები.

ხოლო მასწავლებლები გადიან პროფესიულ მომზადებას მასწავლებელთა პროფესიული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებზე, საჭროებების შესაბამისად, USAID-ის საბაზო განათლების პროგრამის შემთხვევაში ტარდება მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების რეფლექსიური სამუშაო შეხვედრები, რითაც უზრუნველყოფილია მასწავლებლების გამოცდილების გაზიარება და პროფესიული საჭიროებების გამოკვეთა.

<u>შესაბამისია ინდიკატორის მოთხოვნასთან</u>

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლა ხელს უწყობს პერსონალის და მათ შორის მასწავლებელთა კარიერულ ზრდას. სკოლაში მოქმედი კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი და კათედრის შიგნით მასწავლებელთა თანამშორმლობა, ხელს უწყობს თითოეულ მათგანს პროფესიულ დაოსტატებაში და შესაბამისად სტატუსის მოპოვებაში/ამაღლებაში. ვიზიტის პერიოდში სტატუსის ამაღლებაზე წარდგენილი იყო 2 პედაგოგი.

<u>შესაბამისია ინდიკატორის მოთხოვნასთან</u>

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლაში ყველა პირობაა შექმნილი, რათა მოხდეს ახალი თანამშრომლის ადაპტირება სამუშაო გარემოსთან. შინაგანაწესის მე-9 მუხლი არეგულირებს შრომის პირობებს და დაცვის წესს. სკოლაში შექმნილი რეკრეაციული სივრცეები, კეთილმოწყობილი კლას-კაბინეტები ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების სოციალიზაციას. მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ კათედრა ყოველთვის ზრუნავს ახალბედა კოლეგის მხარდაჭერაზე, აცნობს რა მას სკოლის კულტურას, სკოლაში მოქმედ წესებს. სკოლის კურიკულუმს.

შესაბამისია ინდიკატორის მოთხოვნასთან

სკოლას მიეცა რჩევა სკოლაში არსებული პრაქტიკა ახალი თანამშრომლის ადაპტაციასთან დაკავშირებით გაწეროს როგორც მექანიზმი

5.წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სკოლას შინაგანაწესით (მუხლი 10) განსაზღვრული აქვს დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი, სადაც განსაზღვრულია, დასაქმებულის მიმართ გამოსაყენებლი წახალისების ფორმები. სკოლის პრაქტიკაა ასევე პერსონალის პროფესიულ განვითარებისათვის თანხის გამოყოფა.

შესაბამისია ინდიკატორის მოთხოვნასთან

სკოლას მიეცა რჩევა დააკონკრეტოს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების მექანიზმები და ხელმისაწვდომი გახადოს აღნიშნული დოკუმენტი დაინტერესებული პირებისათვის

დასტურდება (მტკიცებულებები)

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- ხელშეკრულება სახელმწიფო შესიდვების შესახებ;
- საგადახდო დავალება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფის ბრძანება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე და განავითარე ციკლს. აღნიშნულზეა დაფუძნებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითრების მეთოდოლოგია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სასწავლო პროცესის (სასწავლო პროცესის დაგეგმვა, მართვა და შეფასების შედეგების ანგარიში სამეურვეო საბჭოსთან), და სკოლის ბიუჯეტის მართვა. სკოლა გეგმავს სასწავლო პროცესს (სასკოლო სასწავლო გეგმა) და შესაბამის ბიუჯეტს, ახორციელებს დაგეგმილ ღონისძიებებს და პერიოდულად, კათედრების, ისგ ჯგუფების და პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე აფასებს, სასწავლო წლის ბოლოს კი საქმიანობის შემაჯამებელი შეფასების შედეგებიდან გამომდინარე შეიმუშავებს რეკომენდაციებს ახალი სასკოლო სასწავლო გეგმის შესამუშავებლად.

<u>შესაბამისია ინდიკატორის მოთხოვნასთან</u>

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითდი და დამხმარე პროცესები აღწერილია/წარმოდგენილია სკოლის რეგულაციებში: შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, ვერიფიკაციის წესი, კათედრების დებულება, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება. თითოეულ ზემოთ ჩამოთვლილ დოკუმენტში გაწერილია შესაბამისი საქმიანობის აღმწერი პროცესები.

<u>შესაბამისია ინდიკატორის მოთხოვნასთან</u>

<u>სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესების ჩამონათვალის და მათი აღმწერების ერთიანი დოკუმენტი</u>

3.სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულებას შინაგანაწესის მე-14 მუხლით განსაზღვრული აქვს დასაქმებულთა (გარდა მასწავლებლების) დისციპლინური გადაცდომის განხილვაზე უფლებამოსილი ორგანო და დისციპლინური წარმოების წესი, რომლის მიხედვითაც დასაქმებულთა (გარდა მასწავლებლების) დისციპლინურ გადაცდომებს განიხილავს სკოლის დირექტორი. სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით დასაქმებულთა დისციპლინური გადაცდომა შეიძლება განიხილოს ასევე დისციპლინურმა კომიტეტმა. დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი კი შეიძლება იყოს: მოსწავლის, მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, სკოლაში დასაქმებული პირის, უფლებამოსილი პირის, აგრეთვე, იმ პირის წერილობითი მიმართვა ან ინფორმაცია, რომლის სამსახურებრივ მოვალეობასაც წარმოადგენს სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა. გაწერილია დისციპლინური დევნის/დისციპლინური წარმოების ვადები, მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი განისაზღვრება შინაგანაწესის მე-19 მუხლით, ხოლო მასწავლებლის მიმართ დისციპლინური წარმოება სკოლაში ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №167/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის შესაბამისად. შინაგანაწესის სხვადასხვა მუხლებით განსაზღვრულია თანამშრომლებისა და მოსწავლეების დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები. სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი გასაჩივრების დეტალური პროცედურები სასკოლო გარემოში (სასკოლო დოკუმენტი). წარმოდგენილი დოკუმენტი ზოგადი ხასიათისაა. სკოლის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტზე მითითებულია აქტის გასაჩივრების ვადა და ადგილი.

<u>შესაბამისია ინდიკატორის მოთხოვნასთან</u>

<u>სკოლას მიეცა რჩევა საჩივრების განხილვების პროცედურებში დააკონკრეტოს: რა პრინციპებს ემყარება სკოლაში არსებული საჩივრების სისტემა, როგორ ხდება სკოლაში მოქმედი საჩივრების პროცედურები სასკოლო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი, ფორმალური საჩივრის წარდგენის პროცედურები, რომელია საჩივრების განმხილველი ორგანო, რა ტიპის საჩივრები არსებობს, ვის და როგორ შეუძლია შემოიტანოს განცხადება/საჩივარი, რას უნდა მოიცავდეს განცხადება, წარმოების ვადები.</u>

4.სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სკოლაში არსებული პრაქტიკა მიუთითებს, რომ სკოლის მიერ დეკლარირებული პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები მოქმედებს.

<u>შესაბამისია ინდიკატორის მოთხოვნასთან</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
- ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი დებულება;
- შინაგანაწესი;
- ბრძანება N57 (07.03.2023 წ)გასაჩივრების პროცედურების შესახებ;
- სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
- სკოლასა და დასაქმებულს შორის დადებული ხელშეკრულება;
- გასაჩივრების დეტალური პროცედურები სასკოლო გარემოში.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;**
2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ახალქალაქის N3 საჯარო სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, რომლის ერთ - ერთი მიზანია შიდა და გარე საკომუნიკაციო სტრატეგიების ეფექტური გამოყენება ინფორმაციის ხელმისაწვდომობისთვის და კომპეტენციის ფარგლებში ზოგადი განათლების სფეროში საზოგადოებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გამჭვირვალობის და ამ სფეროში საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფა. სკოლა მოსწავლეებთან და სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის იყენებს ელექტრონულ ფოსტას, სოციალურ ქსელს, სკოლის შენობის რეკრეაციულ სივრცეებს, სადაც აკრავს შესაბამის ინფორმაციას, სატელეფონო კავშირს, საკლასო ოთახებს პირისპირ შეხვედრების დასაორგანიზებლად.
სკოლაში ვიზიტის დროს წარმოდგენილი იქნა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის მასალები (შევსებული კითხვარები), რომელშიც გამოხატული იყო სასკოლო საზოგადოების დამოკიდებულება კონკრეტული საკითხების მიმართ.

<u>შესაბამისია ინდიკატორის მოთხოვნასთან</u>

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა უზრუნველყოფილია სკოლის სტრუქტურულ ერთეულებში მათი მონაწილეობით. სამეურვეო საბჭო, სკოლის მართვის უმაღლესი ორგანო, წარმოდგენილია მშობლებით, მასწავლებლებითა და მოსწავლეებით, მოსწავლეთა თვითმმართველობაში გაერთიანებული არიან საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები. მასწავლებელთა გაერთიანება - პედაგოგიური საბჭო მონაწილეობს სასკოლო ცხოვრების მთელ რიგ გადაწყვეტილებების მიღებაში, კათედრები - კათედრის დონზე გადაწყვეტილებები მიღების პროცესში არიან ჩართული,

<u>**შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში/მართვის ორგანოებში.**</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სოციალური ქსელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები .

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლის ტერიტორია შემოღობილია და შეზღუდულია სკოლის ეზოში ავტომობილების გადაადგილება. სკოლის ერთ - ერთ ფლიგლში **განთავსებულია ენის სახლი. აღნიშნულ დაწესებულებას და სკოლის მიმდებარე ტერიტორია (ეზო) არ არის გამიჯნული და შესაბამისად სკოლის ეზო საერთო სარგებლობაშია.** შენობას აქვს 3 შესასვლელი. სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური წარმოდგენილი - 2 მანდატურით. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, სკოლის დაცვას უზრუნველყოფს 2 დარაჯი. სკოლას აქვს სათანადოდ აღჭურვილი ექიმის კაბინეტი და გაწერილია ექიმის ფუნქციები, **თუმცა ექიმი არ ჰყავს.** გამოცხადებულია ვაკანსია ექიმის პოზიციაზე.

სკოლას სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული არ აქვს სკოლის საგანგებო მართვის გეგმა, არ აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და არსებობის შესაბამისობის შესახებ და არსებობის აღმოფხვრის შესახებ. არ აქვს დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ

დაწესებულებას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი.

სკოლამ წარმოადგინა განცხადება, რომელიც გააგზავნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის და შესაბამისი წინადადების მომზადების მიზნით შესაბამის უწყებაში.

შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებულ სპეციალისტთან მიმართებით სკოლას მიეცა რჩევა, იზრუნოს შესაბამისი კვალიფიკაციის კადრის დასაქმებაზე.

დაწესებულებამ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით დაადასტურა, რომ აქვს მზაობა მოკლევადიან პერიოდში (8 თვე) გამოასწოროს აღნიშნული ხარვეზები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ა. გამიჯნოს საერთო სარგებლობის ეზო „ენის სახლთან“;
ბ.აიყვანოს ექიმი;
გ. შეათანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან;
დ. მოიპოვოს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ შესაბამისი უწყებიდან;
ე. მოიპოვოს დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ.
შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულია აქტივობები, აქტივობებისათვის საჭირო დრო, ადამიანური რესურსი, დაფინანსების წყარო, პროცესში ჩართული მხარეები და გათვალისწინებულია რისკები.
სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს ხარვეზის გამოსწორება

2. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლას - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“. ბრძანების საფუძველზე შექმნილი აქვს მრჩეველთა საბჭო, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს საქმიანობას. უცხო პირთა/ვიზიტორთა რეგისტრაცია ხორციელდება სპეციალურ ჟურნალში, სკოლაში გამოვლენილ დარღვევებზე ხდება შესაბამისი რეაგირება, სკოლას ემსახურება 2 მანდატური. სართულების მიხედვით სკოლის პრაქტიკაა მასწავლებელთა მორიგეობა.

<u>შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს</u>

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლას შემუშავებული აქვს პირველი კლასის მოსწავლეთა ადაპტაცია ახალ სასწავლო გარემოსთან, რომელიც პრაქტიკულად წარმოადგენს მათ პრაქტიკაში არსებული გამოცდილების ანასახს და მოსწავლის ტრანზიციის ხელშეწყობას. მოსწავლეებში პოზიტიური, თანამშრომლობითი ურთიერთობის ხელშეწყობას ემსახურება სადამრიგებლო პროგრამები, სკოლაში არსებული რეკრეაციული სივრცეები, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა დატვირთვით, მათ შორის როგორც მოსწავლეთა ნამუშევრების საგამოფენო სივრცეები, მოსწავლეების მეგობრული თავშეყრის საშუალებას იძლევა, რაც შესაბამისად ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალიზაციას. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთო სასკოლო გარემოზე ზრუნავენ ასევე სკოლის მანდატურები. სკოლას 2019 წლის N44 ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ბავშვთა დაცვის (მიმართვიანობის) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

<u>შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს</u>

4. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

დაწესებულების ჰიგიენური ნორმების დაცვას უზრუნველყოფს 3 დამლაგებელი. სკოლას გაფორმებული აქვს შესყიდვის ხელშეკრულება ჰიგიენური საშუალებების შეძენაზე. ჰიგიენური საშუალებები დაცულია სპეციალურად ამისთვის განსაზღვრულ სათავსებში/ოთახებში, ოთახები ნიავდება ბუნებრივი გზით. სველ წერტილებში დაცულია ჰიგიენური ნორმები, არის საპონი, ხელსახოცი, ურნა.
სკოლას მიეწოდება სუფთა წყალი. ჰიგიენური პირობების დაცვა მიმდინარეობს, როგორც სკოლის შიდა, ასევე გარე პერიმეტრზე.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს
<u>**სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი**</u>

5. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას აქვს შემუშავებული **პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი. დოკუმენტის მიხედვით** სკოლა იღებს ვალდებულებას დაიცვას მის ხელთ არსებული როგორც ელექტრონული ასევე მატერიალურად არსებული ინფორმაცია. სკოლა მოსწავლის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების (სოციალურ ქსელში გავრცელება) შემთხვევაში ღებულობს ნებართვას მშობლისგან. ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაკვეთილზე დასწრების შესახებ (შეფასებები (განმავითარებელი/განმსაზღვრელი); გაცდენები; გამოცდები და ა.შ.) ვრცელდება მხოლოდ ელექტრონული ჟურნალის საშუალებით, ინდივიდუალურად, პერსონალურად მიეწოდება მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. მოსწავლისა და მასწავლებლების პირადი საქმეები დაცულია კარადებში.
სკოლის ელექტრონულ ფოსტაზე წვდომის საშუალება აქვს მხოლოდ შესაბამის პასუხისმგებელ პირს. სკოლაში მომუშავე პერსონალს აქვს ვალდებულება, სკოლის შესახებ საქმიანი ინფორმაცია არ გასცეს მესამე პირზე.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს, ახორციელებს დასაქმებულ პირთა, მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმირებას ინფორმაციული უსაფრთხოების არსსა და მნიშვნელობაზე. სკოლაში გამოიყენება მხოლოდ ლიცენზირებული პროგრამები, სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება სოციალურ ქსელში, გარდა წინასწარ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან შეთანხმებული ინფორმაციისა. სკოლას ჰყავს საინფორმაციო მენეჯერი. მოსწავლეთა და პერსონალის პირადი ინფორმაციაზე, ესქულის ბაზაზე და ეფლოუზე წვდომა შეზღუდულია და ხელი მიუწვდება მხოლოდ შესაბამის პირს/პირებს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

7.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების პერიოდულ შეფასებას და შედეგების განხილვას მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხელშეკრულება (ჰიგიენური საშუალებების შესყიდვა);
- 2023 წლის 6 ივლისის. ბრძანება N44 პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმების შესახებ ;
- საშტატო განრიგი;
- პერსონალის მონაცემები მართვის საინფორმაციო სისტემიდან;
- მრჩეველთა საბჭოს დანიშვნის ბრძანება N49;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

საჯარო რეესტრის ამონაწერით (საკადასტრო **კოდი N63.18.32.064**) სკოლა მდებარეობს არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთზე ფართით 3553 კვ.მ. სკოლის სასწავლო კორპუსის ფართია - 3791.9 კვ.მ, განაშენიანების ფართი - 1264.4, საქვაბის ფართია - 28.4 კვ.მ. განაშენიანების ფართი 37.9 კვ.მ.
ამავე მისამართზე მდებარეობს სსიპ „ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა“ ფართით 296.4 კვ.მ. აღნიშნული დაწესებულება განთავსებულია შენობის პირველი სართულის ნაწილში. შენობაში დაწესებულებები ფიზიკურად გამიჯნულია და მათ საერთო სარგებლობის ფართი არ აქვთ, რაც შეეხება სკოლის ეზოს ის ორივე დაწესებულების სარგებლობაშია. გამიჯნული არ არის. ასევე არ არის ფართი გამიჯნული სკოლის მიერ წარმოდგენილ შიდააზომვით ნახაზზეც.
სკოლა აღჭურვილია საგანმანათლებლო საქმიანობისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსით, კერძოდ: მერხი - 362, სკამი - 367, დაფა -34, კომპიუტერი - 32, დამრიგებლის პორტატული კომპიუტერი - 3, პროექტორი - 3, მარშუტიზატორი -1, პრინტერი - 5. სკოლაში არის 15 საკლასო ოთახი, მუსიკის კაბინეტი, ინგლისური ენის კაბინეტი, ლაბორატორიები: ქიმია-ბიოლოგიის, ფიზიკის და კომპიუტერული . წიგნების საცავი, იდეათეკა 3 კომპიუტერით და 1 პრინტერით, მაგიდებით, პუფებით, კვების ბლოკი სველი წერტილით, სამასწავლებლო, რესურს ოთახი, ადმინისტრაციული კაბინეტები, სამედიცინო კაბინეტი, სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი, სველი წერტილები ბიჭებისათვის ჯამში - 9 და მათ შორის ადაპტირებული შშმ მოსწავლეებისათვის - 3, სველი წერტილები გოგონებისთვის - 5 და მათ შორის შშმ მოსწავლისათვის 1, სველი წერტილები პერსონალისათვის - 4. სველი წერტილები არის ასევე სპორტულ დარბაზში გოგონებისათვის 2 და მათ შორის 1 - შშმ მოსწავლისათვის, ბიჭებისათვის 2 და მათ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შორის 1 შშმ მოსწავლისათვის, მასწავლებლისთვის 1. მოსწავლეებს, გოგონებსა და ვაჟებს აქვთ გამოსაცვლელი ოთახები და შხაპის მიღების საშუალება 4-4 პერსონაზე , საშხაპე ოთახი აქვს ასევე მასწავლებელს მოწყობილი.
სკოლის შენობიდან ეზოში არის 5 გასასვლელი, შენობიდან საავარიო კიბეზე გასასვლელი - 3. სკოლას აქვს 2 საავარიო კიბე.
ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტაციით დასტურდება საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობისთვის აუცილებლი სხვადასხვა მომსახურებისა თუ რესურსის შეძენის საკითხი, შესაბამისი ფინანსური ხარჯები.
სკოლას არ აქვს გარე სპორტული მოედანი.

<u>ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

<u>სკოლას მიეცა რჩევა სკოლის შიდა აზომვით ნახაზი მოიყვანოს რეალობასთან შესაბამისობაში.</u>

2.დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

მოსწავლეებს გაკვეთილები უტარდებათ კეთილმოწყობილ ოთახებში, მოსწავლეებისთვის ლაბორატორიული ცდები ხორციელდება შესაბამისი ინვენტარით და რესურსით აღჭურვილ კაბინეტებში, ისტ-ის გაკვეთილები ტარდება კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები სპორტულ დარბაზში, სადაც წარმოდგენილია შესაბამისი აღჭურვილობა და სპორტული ინვენტარი. სკოლაში აქტიურად ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები სააქტო დარბაზში, სადაც წარმოდგენილია მუსიკალური ინსტრუმენტები, მოსწავლეებისთვი ფუნქციონირებს ცეკვისა და მუსიკის წრეები, მშობლები ატარებენ სხვადასხვა შეხვედრებს, ხდება ბიბლიოთეკის, საერთო სარგებლობის სივრცეების გამოყენება სხვადასხვა სასკოლო ინიციატივების განხორციელებისას. რესურს-კლასში წარმოდგენილი მატერიალური რესურსი განკუთვნილია სსსმ მოსწავლეებისთვის. მასწავლებლებისათვის განკუთვნილი სამასწავლებლო და საგნობრივი კაბინეტები შესაბამისი ინვენტარით და მატერიალური რესურსით (პრინტერი, კარტრიჯი, საკანცელარიო საქონელი) ხელმისაწვდომია პედაგოგებისთვის. ადმინისტრაციული-ტექნიკური პერსონალისთვის საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად საჭირო რესურსი - კაბინეტები, კომპიუტერები, პრინტერები, საკანცელარიო საქონელით და შესაბამისი ინვენტარით არის უზრუნველყოფილი.

<u>შესაბამისია ინდიკატორის მოთხოვნასთან</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლის ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფილია სწავლა-სწავლების ინკლუზიური ფიზიკური გარემო ყველა მოსწავლისთვის. შშმ პირებისთვის სკოლის შესასვლელში დამონტაჟებულია პანდუსები, შენობაში ლიფტი, მოწყობილია სველი წერტილები შშმ პირებისთვის (ცალ-ცალკე გოგონებისა და ვაჟებისათვის) რესურს ოთხში თავმოყრილია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

<u>შესაბამისია ინდიკატორის მოთხოვნასთან</u>

4.სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის კეთილმოწყობილი შიდა სივრცე, სააქტო და სპორტული დარბაზები, კარგად აღჭურვილი ვიდეოთეკა, დერეფნები, ვრცელი და ნათელი ფოიეები, შეხვედრების ოთახი გამოიყენება ისეთი აქტივობების განსახორციელებლად, როგორიცაა: ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები, კონფერენციები, საზეიმო ღონისძიებები, რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებაში.
სკოლის ფოიეები გამოიყენება როგორც მოსწავლეთა ნამუშევრების საგამოფენო სივრცე.

<u>შესაბამისია ინდიკატორის მოთხოვნასთან</u>

5.სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით.

- სკოლის ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია 12612 ერთეული სახელმძღვანელო, 2766 ერთეული მხატვრული ლიტერატურა. მეთოდური სახელმძღვანელობი. სკოლას წარმოდგენილი აქვს ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერებით;
- ისტ-ის კაბინეტი აღჭურვილია კომპიუტერებით, პროექტორებით;
- საზოგადოებრივი მეცნიერებებს გაკვეთილებისთვის სკოლას შეძენილი აქვს რუკები, გლობუსები;
- უცხოური ენების (ინგლისური ენა) კაბინეტი აღჭურვილია შესაბამისი ლიტერატურით, თვალსაჩინოებებით. ოთახში გამოყოფილია სივრცეები/ზონები (სამუშაო და არაფორმალური შეხვედრებისთვის), გამოფენილია მოსწავლეთა ნამუშევრები;
- სპორტული დარბაზი აღჭურვილია შვედური კედლებით, ჩოგბურთის მაგიდებით, ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის და რაგბის ბურთებით, ბაგირით, ფრენბურთის ბადით, კალათბურთის ფარებით, ჩოგნებით, ტანვარჯიშის რგოლებითა და სხვა შესაბამისი ინვენტარით;
- ჭადრაკის გაკვეთილებისთვის საკლასო ოთახებში განთავსებულია ჭადრაკის დაფები;
- საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებში წარმოდგენილია შესაბამისი საჭირო რესურსი: საბუნებისმეტყველო ლაბორატორია ქიმიასა და ბიოლოგიაში, რომელიც საერთოა სრულად აკმაყოფილებს კურიკულუმის მოთხოვნებს და უსაფრთხოების ნორმებს. ოთახში 11 ინდივიდუალური მერხია, რომელსაც საკუთარი წყლის ონკანი და ნიჟარა გააჩნია. მოსწავლეთა რაოდენობა კლასებში აჭარბებს მაგიდების რაოდენობას და ამიტომ დგას დამატებითი სკამები ერთ ონკანიან მაგიდასთან წყვილებში სამუშაოდ. ლაბორატორიაში გამართულად მუშაობს ამწოვი სისტემა, აქვს ნათელი და დიდი ფანჯრები, რომელიც დამატებით ბუნებრივი განიავების საშუალებას იძლევა. ქიმიური რეაქტივები ინახება კარადებში, რომელიც იკეტება გასაღებით. გამოყოფილია სადემონსტრაციო მაგიდა, რომელიც ასევე ონკანითაა აღჭურვილი. იატაკი დაფარულია მჟავა და ტუტე გამძლე საფარით. კედელზე გაკრულია დაფა. კარადებში უამრავი საჩვენებელი მულაჟი და ქიმიური ჭურჭელია, რომელიც იძლევა ექსპერიმენტებით სწავლების საშუალებას. კედლაბზე გამოკრულია სხვადასხვა საჩვენებელი პლაკატები და მოსწავლეთა მიერ შექმნილი პოსტერები ქიმიასა და ბიოლოგიაში;
- ფიზიკის ლაბორატორია ცალკე ოთახშია განთავსებული. აქაც შექმნილია მოსწავლისთვის უსაფრთხო სასწავლო გარემო, გამართულად მუშაობს ამწოვი სისტემა, აქვს დიდი და ნათელი ფანჯრები. მერხებზე დამონტაჟებულია 8 ონკანი და ნიჟარა, არის სხვა მერხებიც, რომელიც მოსწავლეთა წყვილებში მუშაობისთვისაა განკუთვნილი. ოთახს აქვს სათავსო. კაბინეტი აღჭურვილია ხელსაწყოებითა და მოდელებით, მათ შორის ტელესკოპით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზესაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სსსმ პირებს წვდომა აქვთ კურიკულუმით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. რესურსები განთავსებულია როგორც საკლასო ოთახებში ასევე რესურსოთახში

<u>შესაბამისია ინდიკატორის მოთხოვნასთან</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- აზომვითი ნახაზი;
- სკოლის ინვენტარიზაციის დოკუმენტი;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

დაწესებულება სხვადასხვა საქმიანობისათვის აქტიურად იყენებს არსებულ საინფორმაციო ტექნოლოგიებს. სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც განთავსებულია 14 ლეპტოპი, 6 პერსონალური კომპიუტერი და 1 პროექტორი. გარდა ამისა სამასწავლებლო და ბიბლიოთეკა აღჭურვილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით. მასწავლებლებს საშუალება აქვთ საგაკვეთილო პროცესშიც ისარგებლონ, როგორც კომპიუტერებით ასევე პროექტორით. სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვისათვის, სხვადასხვა საგნობრივი კათედრები აქტიურად იყენებენ მრავალფეროვან ელექტრონულ რესურსებს. გამოწვევებისათვის საპასუხოდ, სკოლამ ჩაატარა თვითშეფასება და გამოვლენილი საჭიროებების უზრუნველსაყოფად შეიმუშავა ერთწლიანი ციფრული განვითარების გეგმა. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას.

<u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**</u>

2.ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

დაწესებულება უზრუნველყოფს კომპიუტერების და შესაბამის მომსახურების ხელმისაწვდომობას, როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე პერსონალისთვის. დაწესებულების მიერ მოწყობილია კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სამუშაო საზიარო სივრცეები ადმინისტრაციისათვის, მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის. სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია, კომპიუტერული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კლასის და საზიარო სამუშაო სივრცის ფუნქციასაც ითავსებს, რომელთა სარგებლობაც შეუძლიათ როგორც მოსწავლეებს ასევე მასწავლებლებს. სამუშაო საზიარო სივრცეები მასწავლებლებისათვის მოწყობილია ასევე სკოლის ბიბლიოთეკაში და სამასწავლებლოში. სკოლამ ჩაატარა გამოკვლევა, იმ მოსწავლეების და მასწავლებლების რაოდენობის დასადგენად, რომელთაც აქვთ აღნიშნული სამუშაო სივრცის გამოყენების საჭიროება. სკოლაში სამუშაო საზიარო სივრცეებით სარგებლობა შესაძლებელია წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით. ტექნიკური პრობლემების გადაჭრის კუთხით სკოლას გამოყოფილი ჰყავს ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ მასწავლებლები. მშობლებთან , მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან სწრაფი კომუნიკაციის მიზნით შექმნილია ონლაინ სამუშაო ჯგუფები. სკოლა სრულად დაფარულია ინტერნეტით, WiFi სისტემის საშუალებით, უზრუნველყოფილია ინტერნეტით სარგებლობა ყველა საკლასო ოთახში. ყოველივე ზემოაღნიშნულის სრულყოფილად შესრულებისათვის, ასევე გამოწვევებისათვის სათანადოდ საპასუხოდ, სკოლამ ჩაატარა თვითშეფასება და გამოვლენილი საჭიროებების უზრუნველსაყოფად შეიმუშავა ერთწლიანი ციფრული განვითარების გეგმა.
ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ერთწლიანი ციფრული განვითარების გეგმის დამტკიცების ბრძანება N 55 (07.03.2023წ.)

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზესაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი

სკოლა შემუშავებული აქვს საქმის წარმოების წესი. სკოლა ახდენს დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურებს, დაცულია დოკუმენტის ფორმები და ტიპები, რეგისტრირდება გასული და შემოსული დოკუმენტაცია, პერსონალის და მოსწავლეების პირადი საქმეები იწარმოება დადგენილი წესის შესაბამისად, სკოლას აქვს გაერთიანებული საკადრო და საერთო ბრძანებების ჟურნალი, შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალები. ჟურნალები გადანომრილი და ზონარგაყრილია. საქმის წარმოების წესი დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით.

<u>ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია</u>

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული

სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას Eflow, eschool, Office 365, Gmail, ელექტრონული ჟურნალი. სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის გამოყენებული აქვს სხვადასხვა ჯგუფები სოციალურ ქსელში. სკოლას ციფრული განვითარების თვითშეფასების საფუძველზე შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების ერთწლიანიგეგმა.

<u>ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია</u>

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართის საინფორმაციო სისტემაში. სკოლას გამოყოფილი ჰყას უფლებამოსილი პირი ბაზებთან სამუშაოდ

<u>ინდიკატორის მოთოვნებთან შესაბამისია</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს, იცავს საქმისწარმოებით განსაზღვრულ ვადებს და თანამშრომლობს აღნიშნულ უწყებებთან.

<u>ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისია</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა;
- შემოსული და გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით

   სკოლა საკომუნიკაციოდ იყენებს სოციალურ ქსელს, ელექტრონულ ფოსტას, ელექტრონულ ჟურნალს. ვებგვერდი სკოლას არ აქვს

   <u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხდვითაც მიმდინარე წლის სექტემბერ-ნოემბერში (3 თვის მანძილზე) უზრუნველყოფს კომუნიკაციას შესაბამის უწყებასთან და უზრუნველყოფს ვებგვერდის არსებობას რომლსაც გამოიყენებს საზოგადოების ინფორმირების მიზნით სხვა საკომუნიკაციო არხებთან ერთად</u>

<u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია დაიცვას შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადები სკოლის ვებგვერდის დამზადებისას და ვებგვერდი გამოყენოს საზოგადოებასთან საკომუნიკაციოდ</u>

2.სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

სკოლა ინფორმაციას ავრცელებს სოციალური ქსელით და სკოლის საინფორმაციო დაფის დახმარებით. საინფორმაციო დაფაზე განთავსებული შიდანორმატიული აქტები სანდო/უტყუარია. სკოლას განსაზღვრული ჰყავს პასუხისმგებელი პირი სოციალურ ქსელის ადმინისტრირებისათვის.

<u>**შესაბამისია ინდიკატორის მოთხოვნასთან**</u>

3.საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლას ვებგვერდი არ აქვს. მისთვის საზოგადოებასთან კომუნიკაციის ყველაზე გავრცელებული ფორმა არის სოციალური ქსელი, ელექტრონული ჟურნალი. საჭიროების შემთხვევაში სკოლა იყენებს გამოკითხვას კითხვარებით. საზოგადოებისაგან მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4.სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

სკოლას არ აქვს ვებგვერდი და შესაბამისად ინფორმაციის განთავსება არ ხდება

<u>სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც მიმდინარე წლის სექტემბერ-ნოემბერში (3 თვე) უზრუნველყოფს ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებას</u>
<u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება ქართულ ენაზე.</u>

5.ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

სკოლას არ აქვს ვებგვერდი

<u>სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 3 თვის ვადაში უზრუნველყოფს ვებგვერდის ფუნქციონირებას და მასზე შესაბამისი ინფორმაციის ასახვას.</u>

<u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს ვებგვერდზე მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრუქტურის, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებების, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურების და მისანიჭებელი კვალიფიკაციის (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების,</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

<u>მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების, გასაჩივრების მექანიზმების, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიშის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების და საკონტაქტო ინფორმაციის ასახვა.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მიერ შემუშავებული კითხვარები;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი;
- სოციალური ქსელი;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

სკოლის პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სკოლა შეიმუშავებს როგორც საპროგნოზო, ასევე ფაქტობრივ ბიუჯეტს. ახდენს თვიურ ფინანსურ ანგარიშგებას. სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხდება კანონმდებლობის შესავამისად. სკოლის ბიუჯეტი ძირითდად ხელფასების დაფარვაზეა ორიენტირებული, რადგან სკოლას პერიოდულად სჭირდება ფინანსური დახმარება, რათა უზრუნველყოს კომუნალური გადასახადების სრულად დაფარვა. დამატებითი ფინანსებით სკოლას განათლებისა და მეცნიერების სამინიტრო უზრუნველყოფს.

<u>ინდიკატორის მოთხოვნებთნ შესაბამისია</u>

1. **სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.**

სკოლა ფინანსურ დაგეგმვას ახორციელებს წინა სასწავლო წელს გაწეული ფაქტიური ხარჯების, მიმდინარე წლის შემოსავლებისა და სკოლის მიერ შემუშავებული პრიორიტეტების გათვალისწინებით.

სკოლას შემუშავებული აქვს ყოველკვარტალზე გათვლილი მონიტორინგი, რომელიც ამოწმებს შემოსულ თანხებსა და გასულ დანახარჯებს.

<u>ინდიკატორის მოთხოვნებთნ შესაბამისია</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტი ;
- დაფინანსების დინამიკა;
- სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- წლიური ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა

სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვასა და გარანტიებს უზრუნველყოფს სკოლის შინაგანაწესი (მუხლი 16. მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები, მუხლი 17. მოსწავლის მიერ დისციპლინური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები, მუხლი 18. სახდელის დაკისრება ერთზე მეტი გადაცდომის ჩადენის დროს, მუხლი 19. მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი, მუხლი 20. სკოლის მანდატურის მიერ შედგენილ დარღვევის აღრიცხვის ფურცელზე რეაგირების ვადები და პირობები, მუხლი 21 . დასაქმებულის და მოსწავლის მატერიალური პასუხისმგებლობა, მუხლი 22. განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი), სკოლის წესდება, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესი და პირობები, მასწავლებლისა და მოსწავლის ეთიკის კოდექსი, არასრულწლოვანთა რეფერირების შიდა ინსტრუქცია. სკოლის წესდებით რეგულირდება მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები და თვითმმართველობის ფუნქცია - მოვალეობები. კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების დაცვის გარანტიებს სკოლა იძლევა ასევე სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

დისციპლინური კომიტეტი უზრუნველყოფს სამართლებრივ რეაგირებას დარღვევებზე, სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები, დაცულია სსსმ და შშმ პირთა უფლებები. მათი შესაძლებლობის რეალიზებისთვის სკოლაში უზრუნველყოფილია, როგორც კლასში საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა, ასევე საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური მუშაობა შესაბამისი ადამიანური (სპეციალური პედაგოგი), ფიზიკური (რესურს ოთახი) და მატერიალური (ადაპტირებული სასწავლო მასალა) რესურსით.

<u>შესაბამისია ინდიკატორის მოთხოვნასთან</u>

2.მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

სკოლის შინაგანაწესი დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ და შეთანხმებულია პედსაბჭოზე. შინაგანაწესით გათვალისწინებული მოსწავლის უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების გაცნობა ხდება დამრიგებლების მხრიდან სადამრიგებლო საათის ფარგლებში. დირექციასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა უფლებების სასკოლო რეგულაციების გაცნობაზე ზრუნავს სამოქალაქო განათლების პედაგოგიც.

<u>შესაბამისია ინდიკატორის მოთხოვნასთან</u>

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა. ხელშეკრულებით განსაზღვრულია ხელშეკრულების საგანი, ხელშეკრულების მხარეთა უფლება - მოვალეობები. ხელშეკრულების მიხედვით სკოლა ვალდებულებას იღებს მიიღოს ყველა გონივრული ზომა სასკოლო დროს, აგრეთვე სკოლის ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე მოსწავლის უფლებებისა და თავისუფლებების ჯეროვანი დაცვის, დარღვევის თავიდან აცილების ან აღკვეთის მიზნით, უზრუნველყოს მოსწავლის ჯანმრთელობის დაცვისა და სრულყოფილი განვითარებისათვის სამედიცინო, მათ შორის, ფსიქოლოგიური დახმარების გაწევის შესაძლებლობა. ხელშეკრულებით განსაზღვრული ყველა პუნქტი არის მკაფიო, გამჭვირვალე და ემსახურება მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

<u>შესაბამისია ინდიკატორის მოთხოვნასთან</u>

დასტურდება (მტკიცებულებები)

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- შინ სწავლებაზე მოსწავლის გადაყვანის ბრძანება;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- სკოლასა და მშობელს შორისგასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა;
- საშტატო ნუსხა.

4.1.2.სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის დროს ხელმძღვანელობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N193/ნ ბრძანებით, ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 40/ნ, საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ.

<u>**შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან**</u>

<u>**სკოლას მიეცა რჩევა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის და სტატუსის შეჩერების გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები გაწეროს ერთიან დოკუმენტად, დააკონკრეტოს სკოლის მიერ განსახორციელებელი ქმედებები (კანონმდებლობის შესაბამისი) და ხელმისაწვდომი გახადოს სასკოლო საზოგადოებისათვის**</u>

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

დაწესებულებაში ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ გადამოწდა თუ როგორ/რამდენად იცავს სკოლა მოსწავლეების ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის კანონმდებლობით განსაზღვრულ რეგულაციებს. გადამოწმდა ექსტერნატის ფორმით ჩატარებული გამოცდების, კლასის დაძლევის დამადასტურებელი დოკუმეენტაცია მართვის საინფორმაციო ბაზის მიხედვით შერჩევით გადამოწმდა სტატუსშეჩერებული მოსწავლის სტატუსის შეჩერების საფუძველი და შეფასდა მათი კანონმდებლობასთან შესაბამისობა. შედეგად დადგინდა რომ სკოლა იცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ რეგულაციებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან</u>

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის შიდა პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრულია შინაგანაწესით, საჯაროდაა ხელმისაწვდომი გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული დოკუმენტი საჯაროდაა გამოკრული სკოლის ფოიეში. მოსმახურების სახეები, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმითაა განსაზღვრული ასევე საჯაროა იმდენად, რამდენადაც მას სასწავლო წლის დასაწყისში აცნობენ მშობლებს და მოსწავლეებს კლასის დამრიგებლები, ხოლო თვითონ სასკოლო სასწავლო გეგმა თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედსაბჭოზე. ამდენად ინფორმაცია მასზე ხელმისაწვდომია მასწავლებლებისთვის, სამეურვეო საბჭოს წევრი მშობლებისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის თავჯდომარისთვის.

სკოლაში კლასების მიხედვით შემუშავებულია ასევე მოსწავლეთა ქცევის წესები, რომელიც გამოკრულია კლასებში და რომელთა შემუშავების პროცესი თანამონაწილეობითი (მასწავლებლის ფასილიტაციით მოსწავლეების მიერ არის ერთობლივად შემუშავებული)

<u>შესაბამისია ინდიკატორის მოთხოვნასთან</u>

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.**

სკოლა პროგრამების სერვისების, აქტივობების შესახებ ინფორმაციას ავრცელებს სოციალური ქსელის - სკოლის Facebook გვერდის, სკოლის დერეფნებში სართულებზე განთავსებული საინფორმაციო დაფების და სხვადასხვა დახურული ჯგუფების საშუალებით. სკოლის Facebook გვერდის ადმინისტრირებისთვის სკოლას გამოყოფილი ჰყავს პირი, რომელიც პასუხისმგებელია ინფორმაციის დროულად, გასაგებად მიწოდებაზე. კლასის დამრიგებლები სოციალური ქსელით დახურულ ჯგუფებში ზოგჯერ ელექტრონული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ფოსტით, სატელეფონო საუბრებით, სადამრიგებლო კრებებზე, პირადი კომუნიკაციის გზით ავრცელებენ სკოლასთან შეთანხმებულ ინფორმაციას.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის Facebook გვერდი;
- საინფორმაციო დაფები;
- დახურული ჯგუფები;
- ელ-ფოსტის მიმოწერები;
- სადამრიგებლო პროგრამა.

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს ტრანზიციის გეგმა, სადაც გაწერილია სსსმ მოსწავლის სკოლაში მიღებისთვის აუცილებელი ნაბიჯებიც: მშობლის მიერ ბავშვის წინასწარი რეგისტრაცია, მაქსიმალურად ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება ბავშვის ჯანმრთელობის და საჭიროებების შესახებ, სკოლის მიერ ტრანზიციის კოორდინატორის დანიშვნა, ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის შემუშავება, ბავშვის და მშობლის ვიზიტი სკოლაში, გაცნობითი სახის ღონისძიებების ორგანიზება სკოლასა და ბაღს შორის, ბავშვის თერაპევტების ჩართვა სკოლისათვის წინასწარი მომზადების ღონისძიებებში. ტიპური განვითარების ბავშვების შემთხვევაში, სკოლაში დამკვიდრებულია პრაქტიკა, რომ სწავლის დაწყებამდე ხდება მოსწავლეებისა და მშობლების სკოლაში მოწვევა, სასკოლო გარემოს გაცნობა, სკოლის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და შემდეგ ქალაქში ერთობლივი გასეირნება, ფოტოების გადაღება.

<u>შესაბამისია ინდიკატორის მოთხოვნასთან</u>
<u>სკოლას მიეცა რჩევა მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი გაწეროს ასევე მობილობით გადმოსული მოსწავლეების შემთხვევაში</u>

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის გეგმა, სადაც გათვალისწინებულია პირველკლასელთა ადაპტაციის გამოწვევები, ადაპტაციის განმსაზღვრელი ფაქტორები და გაწერილია წარმატებული ადაპტაციის მახასიათებლები. აღნიშნული დოკუმენტის ფარგლებში სკოლას აქვს შემუშავებული რეკომენდაციები მშობელთათვის.

<u>შესაბამისია ინდიკატორის მოთხოვნასთან</u>

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დირექციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლა საჭიროების შემთხვევაში უწევს კონსულტაციებს მოსწავლეებს. პედაგოგები ახორციელებენ დამატებით მეცადინეობებს მოსწავლეებთან აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით. საშემოდგომო გამოცდის, ექსტერნატის, ნიშნის ამაღლების გამოცდების ჩატარებამდე მასწავლებლები მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაციას საგამოცდო პროგრამის და შესაბამისი რესურსის შესახებ. უწევენ კონსულტაციებს. კლასის დამრიგებლები/მასწავლებლები მშობლებთან შეთანხმებით გეგმავენ დამატებითი მეცადინეობების ჩატარების განრიგს .

<u>შესაბამისია ინდიკატორის მოთხოვნასთან</u>

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეებს აწვდის დაუყოვნებლივ ინფორმაციას ექსტერნატის, ნიშნის ამაღლების, საშემოდგომო გამოცდის გამოცხადების შესახებ და უზრუნველყოფს შესაბამის მომსახურებას. მშობლის მოთხოვნის საფუძველზე სკოლამ მოახდინა მოსწავლის შინ სწავლებაზე გადაყვანა და შესაბამისი მხარდაჭერა. სხვადასხვა კონკურსებსა და ოლიმპიადებში მოსწავლეთა მონაწილეობის საკითხებში ჩართულია როგორც სკოლის ადმინისტრაცია, ასევე კათედრები.

<u>შესაბამისია ინდიკატორის მოთხოვნასთან</u>

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. სკოლამ სამოქალაქო განათლების პედაგოგის ხელმძღვანელობით უზრუნველყო მოსწავლეების ჩართვა არასამთავრობო ორგანიზაცია ჰელფინგ ჰენდის მიერ ორგანიზებულ საზაფხულო ბანაკში და ბანაკში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე მოსწავლეების ინიციატივით ჩატარდა ტრენინგი „წყლის ადვოკატები“ სკოლის მოსწავლეებისთვის. სკოლამ უზრუნველყო ტრენინგისათვის შესაბამისი საკლასო ოთახის გამოყოფა, საკანცელარიო რესურსის მიწოდება და მოსწავლეებს დაეხმარა საორგანიზაციო საკითხების გადაჭრაში. სკოლაში განხორციელდა საკლასო პროექტი „ფინანსური უსაფრთხოება“ . მოსწავლეების ინიციატივით პროექტი გაცდა სკოლის კედლებს და სამოქალაქო განათლების პედაგოგის მხარდაჭერით, მოსწავლეებმა ჩაატარეს გამოკითხვები თემში. გამოკითხვით მიღებული შედეგების გასაცნობად მოსწავლეების ინიციატივით სკოლაში მოწვეული იქნენ სააღმსრულებლო ბიუროს წარმომადგენლები, მოსწავლეები, მშობლები და მასწავლებლები. სკოლა მხარს უჭერს ასევე მოსწავლეთა ინიციატივით გამართულ სპორტული, საკლუბო და საწრეო საქმიანობის წარმართვას სააქტო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დარბაზის, სპორტდარბაზის, სკოლის სივრცეების, ასევე შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსების უზრუნველყოფით. სკოლაში არსებული კლუბების ფარგლებში მხარდაჭერილია მოსწავლეთა ინიციატივები.

<u>შესაბამისია ინდიკატორის მოთხოვნასთან</u>

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლას აქვს მოსწავლეებისა და მშობლების გამოკითხვის პრაქტიკა, რომელსაც ის იყენებს მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვის პროცესში, ასევე სკოლა იღებს უკუკავშირს სხვადასხვა სტრუქტრული ერთეულების მხრიდან, მაგალითად მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განიხილება სკოლისთვის აქტუალური საკითხები, რომელთა გათვალისწინება ხდება სკოლის საქმიანობაში.

<u>შესაბამისია ინდიკატორის მოთხოვნასთან</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ტრანზიციის გეგმა;
- სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- კათედრის ოქმები;
- მშობლების განცხადებები;
- გამოცდის ოქმები;
- მოსწავლის შინ სწავლებაზე გადაყვანის ბრძანება;
- პროექტები;
- მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი;
- მკითხველთა კლუბის დებულება.

4.2.2.სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის

სკოლის დირექციასთან საუბრით გამოიკვეთა, რომ კარიერული დაგეგმვისა და პროფესიულ ორიენტაციაში მხარდაჭერის მიზნით სკოლა იწვევს სხვადასხვა სპეციალობის მშობლებს, რომლებიც მოსწავლეებს აცნობენ საკუთარ პროფესიებს. ამ მიმართულებით სკოლა გეგმავს გააქტიუროს მუშაობა

<u>შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას</u>

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

სკოლა თანამშრომლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან საინფორმაციო შეხვედრების ჩატარების მიმართულებით, რომლის დახმარებითაც აწვდის მოსწავლეებს ინფორმაციას საუნივერსიტეტო პროგრამებთან დაკავშირებით მათი მომავალი პროფესიული განვითარების სწორად დაგეგმვის მიზნით.

<u>შესაბამისია ინდიკატორის მოთხოვნასთან</u>

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

დირექციასთან, საშუალო საფეხურის დამრიგებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა გეგმავს **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მიმართულებით გაწეული საქმიანობის შეფასებას და სამომავლოდ შეფასების შედეგების გათვალისწინებას საქმიანობის კიდევ უფრო ეფექტურად დასაგეგმად.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

<u>შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას</u>

<u>სკოლას მიეცა რჩევა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინოს და გაწეროს დაგეგმილი მომსახურების შეფასების მექანიზმები, რომელთა საფუძველზეც შეაფასებს საქმიანობას და შეფასების შედეგებს გამოიყენებს მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სოციალური ქსელი

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი

სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული აქვს სსსმ მოსწავლეთა მხარდამჭერი მექანიზმი, სადაც გაწერილია სსსმ მოსწავლის განმარტება, სსსმ საჭიროების დადასტურების მექანიზმი, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მახასიათებლები, ისგ შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფის შემადგენლობა, ვალდებულებები, ფუნქციები, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება და შინ სწავლებასთან დაკავშირებული მექანიზმები.სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშავებს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმას, რომელიც მიმართულია სსსმ მოსწავლეებისთვის სწავლა-სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, მტკიცდება დირექტორის ბრძანებით და მოიცავს წლის განმავლობაში განსახორციელებელ აქტივობებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პასუხისმგებელ პირებსა და შესრულების პერიოდებს. დირექტორის ბრძანებით სასწავლო წლის დასაწყისში იქმნება ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფის საქმიანობა დასტურდება შესაბამისი საოქმო ჩანაწერებით და შემუშავებული დასკვნა სასწავლო წლის ბოლოს კანონმდებლობის შესაბამისად იგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. სკოლა ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნებს. სკოლას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განვითარების სამმართველოსთან კომუნიკაციით განხორციელებული აქვს სსსმ მოსწავლეებისთვის სტატუსის მოხსნასთან დაკავშირებული ღონისძიებები.სკოლას განხორციელებული აქვს სსსმ მოსწავლის შინ სწავლებაზე გადაყვანა.
სკოლაში შექმნილია ისგ ჯგუფები, პედაგოგიური საბჭო ამტკიცებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, ისგ ჯგუფების მუშაობა დასტურდება საოქმო ჩანაწერებით.სკოლაში უზრუნველყოფილია რესურს-კლასი შესაბამისი სასწავლო რესურსით.

<u>შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას</u>

1.სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერისთვის სკოლაში იქმნება ისგ ჯგუფები, რომლის შემადგენლობაში შედიან: სპეციალური მასწავლებელი, კლასის დამრიგებელი, საგნის მასწავლებლები, მშობელი. ისგ ჯგუფის მუშაობაში ისგ ჯგუფის წევრთა ჩართულობა დასტურდება სხდომის ოქმებით, მიიღება ერთობლივი გადაწყვეტილებები მოსწავლეთა ინდგეგმების შემუშავების/შეფასების/მოდიფიცირების შესახებ . მოსწავლის სწავლა-სწავლების პროცესი მხარდაჭერილია როგორც სკოლის სივრცეში ისგ ჯგუფის წევრთა თანამშრომლობის გზით, ასევე შინ სწავლების საშუალებით დამრიგებლის, საგნის მასწავლებლების, მშობლისა და სპეციალური პედაგოგის თანამშრომლობით. სკოლაში ჩატარდა დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ საინფორმაციო შეხვედრა მოსწავლეებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან.

<u>შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას</u>

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანებები;
- ისგ სხდომის ოქმები;
- პედსაბჭოს სხდომის ოქმი ისგ დამტკიცებაზე;
- შინ სწავლებაზე მოსწავლის გადაყვანის შესახებ ბრძანება;
- სტატუსის მოხსნის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მიმოწერები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზესაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სკოლის Facebook გვერდი.

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

სკოლა არ სთავაზობს მოსწავლეებს არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას. ის ჩართულია სატრანსპორტო მომსახურების პროგრამაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

სკოლა თავად არ არის არასავალდებულო საგანმანათლბლო სერვისის მიმწოდებელი

ტრანსპორტირების სერვისით სარგებლობენ მოსწავლეები, რომლებიც სკოლაში დადიან ახალქალაქთან ახლომდებარე სოფლებიდან და ქალაქის გარეუბნებიდან. აღნიშნული მომსახურება ნებაყოფლობითია მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლებისთვის.

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

სკოლა თავად არ არის არასავალდებულო საგანმანათლებლო სერვისის მიმწოდებელი

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ტაბელი;.

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით მის შემუშავებაში, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აქტიურად იქნება ჩართული სასკოლო საზოგადოება. სასკოლო საზოგადოებას მიეცმა იმ ფაქტორების/სასწავლო პრაქტიკის გამოკვეთის საშუალება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოსწრების გაუმჯობესებას. სკოლა გეგმავს, სასკოლო საზოგადოებას, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გაუგზავნოს კითხვარი, რომლის მიხედვითაც დადგინდება მათი ინტერესები და პრიორიტეტები. მასწავლებლები დამრიგებლების საშუალებით მშობლებს მიაწვდიან კომპლექსური დავალების ბარათებს, რათა ისინი იცნობდნენ, თუ რა კომპლექსური დავალება აქვთ შესასრულებელი მათ შვილებს და რა მიზნისა და უნარების განვითარებას ემსახურება ის. რაც შეეხება მასწავლებლებს, კურიკულუმი იგეგმება მათი თანამშრომლობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წარმოდგენილი დოკუმენტის, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის, მიხედვით კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები და სკოლის ფილოსოფია, კურიკულუმის შემადგენელი სტრუქტრული ერთეულები, კურიკულუმის დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები. მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტები.

შესაბამისია ინდიკატორის მოთხოვნასთან

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ ითვალისწინებს მასწავლებელთა სამუშაო ჯგუფების/კათედრების მიერ სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციას და კომუნიკაციის შედეგად მიღებულ უკუკავშირებზე დაფუძნებით სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავებას, რომელიც გათვალისწინებული იქნება ყოველი ახალი სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების პროცესში. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულების მიერ მომავალი სასწავლო წლისათვის შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში უკვე ასახულია სასკოლო თემის ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. კურიკულუმების შემუშავების პროცესში მასწავლებლებმა გაითვალისწინეს მოსწავლეთა შესაძლებლობები და საჭიროებები, რაც დაადგინეს მათი გამოკითხვის საშუალებით. დაწყებითი საფეხურის ფარგლებში სკოლა საზოგადოებას აძლევს მეორე უცხოური ენის არჩევის საშუალებას. ამრიგად, შეიძლება ვთქვათ, რომ სასკოლო საზოგადოების ინტერესები აისახება კურიკულუმში.

შესაბამისია ინდიკატორის მოთხოვნასთან

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლაში დამკვიდრებულია თანამშრომლობითი კულტურა. კათედრის შიგნით მასწავლებლების თანამშრომლობით იგეგმება საგნობრივი კურიკულუმები. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლა ვალდებულებას იღებს ასევე, რომ უზრუნველყოს მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კურიკულუმში, მშობლებთან შეთანხმებით, განისაზღვრება მეორე უცხოური ენა .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს ასევე საგნობრივ კურიკულუმებს, არის საჯარო დოკუმენტი (გარდა ინდივიდუალური სასწავლო გეეგმებისა). მისი დამტკიცების პროცესი კი მოიცავს შეთანხმებას სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებას პედაგოგიურ საბჭოზე, რაც ასევე უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების მონაწილეობას მის საბოლოო ვარიანტის შექმნაში.

<u>შესაბამისია ინდიკატორის მოთხოვნასთან</u>

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სასკოლო სასწავლო გეგმა არის საჯარო დოკუმენტი (გარდა მასში შემავალი ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა). როგორც კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან ჩანს კურიკულუმზე მუშაობს სასკოლო საზოგადოება, ხოლო რაც შეეხება კურიკულუმის დამტკიცებას, ის თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე, რაც ასევე უზრუნველყოფს მის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების მიერ.

<u>შესაბამისია ინდიკატორის მოთხოვნასთან</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები.

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

- ✓ **სახელმწიფო ენა**

ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებითი საფეხურისთვის შემუშავებული კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვასა და განვითარებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კათედრის წევრები თანხმდებიან თემატურ საკითხებზე, შეფასების ინსტრუმენტებზე და დანერგვის მექანიზმებზე. კურიკულუმის ჩარჩოებში ჩანს, რომ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება - კომპლექსური დავალებებიის იდეები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. სკოლა, ასევე, გვიჩვენებს შუალედური მიზნებს, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად.

<u>ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია</u>

- ✓ ათემატიკა - დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კურიკულუმი შედგება სამიზნე ცნებების ქვეცნებები და კონტექსტ მაგალითებისაგან ამ ეტაპზე რა მოთხოვნაც იყო არის შევსებული, ზოგ კლასში მაგალითად მე-2 კლასში ახლავს კომპლექსური დავალების ბარათი სადაც რა უნდა შეასრულოს მოსწავლემ არის აღწერილი და აჩვენებს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესებს, ანალოგიურად არის მე-3 კლასი, მე-4 კლასი აქ კომპლექსური დავალების ბარათი არ არის ჩასმული, მე-5 და მე-6 კლასებში კომპლექსური დავალებები თითქმის ყველა თემაზეა მოყვანილი, გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ მოახდენენ კომპლექსური დავალებების ოპტიმიზაციას.

- ✓ **უცხოური ენა**

დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, კურიკულუმებში გაწერილი შუალედური მიზნები, კომპლექსური დავალებების იდეები, შესაბამისი კონტექსტ მაგალითები, საჭირო რესურსები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ, სასწავლო მასალამ ნიმუშების სახით (განმავითარებელი შეფასებები, თვითშეფასების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თანაშეფასების, გასასვლელი და შესასვლელი ბარათები/ კითხვარები) და ინტერვიუმ მასწავლებლებთან წარმოაჩინა კათედრის სწორი ხედვა და მზაობა. კათედრამ გამოამჟღავნა სტრატეგიების, მათ შორის მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიების და ეროვნული სასწავლო გეგმის მეთოდური ორიენტირების ცოდნა სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების განსაზღვრისათვის. კომპლექსური ტიპის დავალებები დაწყებით საფხურზე სამიზნე ცნებად მოიაზრებს ტექსტს, ენობრივ საშუალებებს, ფუნქციურ სამეტყველო ქმედებებს და კულტურათა შორის დიალოგს მე-5 და მე-6 კლასებში. კათედრას აქვს მკაფიო ხედვა, თუ როგორ უნდა მოხდეს თითოეული სამიზნე ცნების დამუშავება, იმგვარად რომ პროცესის ცენტრალური ფიგურა იყოს მოსწავლე.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

2023-2024 სასწავლი წლის სასკოლო კურიკულუმით სასწავლო პროცესი დაგეგმილია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის კონკრეტული შესაძლებლობები და ინეტერესები. კურიკულუმებზე მუშაობის დროს გრძელვადიანი მიზნები და შედეგები გათვალისწინებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში ჩამოყალიბებული საგნობრივი სამიზნე ცნებების სახით და შედეგების მისაღწევი შუალედური მიზნები, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას, ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. შედეგები მიიღწევა კომპლექსურ დავალებებზე მუშაობით, რომელთა შესრულება მოსწავლეებს ერთის მხრივ უვითარებს შემოქმედებითობისა და ფანტაზიის უნარს, მეორე მხრივ კი ხელს უწყობს სააზროვნო უნარებსა და საკუთარ გამოცდილებაზე დამყარებით ცოდნის დამოუკიდებლად კონსტრუირების უნარების გამომუშავებას/ჩამოყალიბებას.

<u>შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია</u>

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

დაწყებითი საფეხურის ბუნების კურიკულუმები 1-6 კლასებში შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით. პედაგოგებს გათავალისწინებული აქვთ მოსწავლეთა ინტერესების და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ჩაშენებული აქვთ კონტექსტ მაგალითები, რომლებიც ძალზედ ნაცნობი და ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენებადია. პედაგოგებმა ვიზიტისას წარმოადგინეს წინა სასწავლო წლის კურიკულუმები, რომლის რევიზიის და მოდიფიცირების საფუძველზე შექმნეს ახალი მოსწავლეზე ორიენტირებული კომპლექსური დავალებები და ჩააშენეს მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის დოკუმენტში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

- ✓ **ესთეტიკური აღზრდა**

მტკიცებულებებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. თემატური ბლოკის ფარგლებში შერჩეული თემები, საკითხები, კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. ამიტომ, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია

- ✓ **ტექნოლოგიები** - მტკიცებულებით წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმებში მიზნები მუშავდება ე.წ. სამგანზომილებიანი კურიკულუმის მიდგომით, სადაც ცნებების საშუალებით გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე (ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სტანდარტებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებების სახით). შუალედურ მიზნად განიხილება და უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელთა შესრულებასაც მოსწავლეს მთლიანპიროვნული ინტეგრირებული გამოცდილება და მაღალი საზროვნო უნარები სჭირდება, რაც თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. ამიტომ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

აღნიშნული კრიტერიუმი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

- ✓ **სპორტი**

დაწყებით საფეხურზე ფიზიკური აღზრდის სწავლება მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საათობრივი დატვირთვის მიხედვით. ფიზიკური აღზრდის დაწყებითი საფეხურის 1-6 კლასების კურიკულუმების შესწავლისას, გამოიკვეთა, რომ კურიკულუმები ძირითადად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. კერძოდ, გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ფიზიკურ განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრიციპების დანერგვის მიღწევაზე. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მომდევნო სასავლო წელს იგეგმება არსებული კურიკულუმების გდახედვა, ადაპტირება და მორგება მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე.

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)**

- ✓ **სახელმწიფო ენა**

ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში კარგად იკვეთება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებთან მიმართება. შემოთავაზებული კომპლექსური დავალებების იდეები ითვალისწინებს გლობალურ ფუნქციურ უნარებს, როგორებიცაა: შემოქმედებითობა, კომუნიკაცია ... მაგალითად, მე-5 კლასის კურიკულუმში წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეები - ,,ჩანახატის შექმნა", ,,მოთხრობის მოდიფიცირება", ,, მოთხრობის გაგრძელება" და სხვა - ხელს უწყობს ამ უნარების, როგორც პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლების, განვითარებას.

ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია

- ✓ **მათემატიკა**

შემუშავებულ კურიკულუმებში მკაფიოდ არის მოცემული მათემატიკის სამივე სამიზნე ცნება, მასზე დაფუძნებით ასახულია ქვეცნებები რომელიც მიემართება თემის ფარგლებში მთავარ საკვანძო სტრუქტურულ ერთეულს და საკითხთა კლასტერთან, კონტექსტ მაგალითთან ერთად წარმოადგენს გრძელვადიანი მიზნის მისაღწევ ღონისძიებათა ერთობლიობას, ამასთან გასაუბრებაზე აღინიშნა მასწავლებელი ზრუნავს განავითაროს მოსწავლეებში მოქალაქეობრივი და სხვა მნიშვნელოვანი კომპეტენციები.

- ✓ **უცხოური ენა**

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შესწავლისას, ცალსახად გამოიკვათა რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას და გამოიყენებენ მომავალში მათ დასახვეწად. შესაბამისად, წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩო /გეგმა მიემართება საგნობრივი სტანდარტის მისაღწევი შედეგების მიღწევისკენ, ასევე კომპლექსური დავალებების პირობები, საკითხები, რესურსები ,დამატებითი რესურსები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელს შეუწყობს /უზრინველყოფს მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება,შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, მოქალაქეობა,ნებელობა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

- ✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

სასკოლო კურიკულუმი ეყრდნობა მესამე თაობის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ძირითად პრინციპებს. იგი ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლა-სწავლების პროცესს და შემუშავებულია გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად (შედეგები და სამიზნე ცნებები), რომლებსაც აზუსტებს და უფრო მკაფიოს ხდის ცნებასთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საფეხურის საკვანძო შეკითხვები.

შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

კურიკულუმები მიემართება გრძელვადიანი მიზნების მკვიდრი წარმოდგენების გამომუშავებას, რომელსაც კლასტერებად შეკრული საკითხების, ქვეცნებების დამუშავებით და მოკლევადიანი მიზნების შესრულების ინსტრუმენტის - კომპლექსური დავალების საშუალებით ახორციელებენ. 2023 –2024 სასწავლო წლის კურიკულუმებში მუშავდება ასევე მაკროცნება კვლევა. კვლევის ელემენტებით მოსწავლეს საკითხების სიღრმისეულ შესწავლასთან ერთად განუვითარდება გლობალურ ფუნქციური უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა . ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

- ✓ **ესთეტიკური აღზრდა**

მტკიცებულებებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები (მუსიკა,სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება I-VI კლასები) მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნის სტანდარტების მოთხოვნებს. ძირითადად, გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად , თემატური ბლოკების/თემების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშირებული ქვეცნებები. თუმცა, სახვით და გამოყენებითი ხელოვნების ზოგიერთი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზესაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კლასის კურიკულუმში ზემოთ აღნიშნული სტანდარტთან შესაბამისობა დარღვეულია და კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულები სრულად არაა გააზრებული.

დაწყებითი საფეხურის ორივე საგნის (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმებით დასტურდება რომ, სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება განიხილება, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი, კათედრას საგნის სწავლება უმეტესი კლასის კურიკულუმში დაგეგმილი აქვს კომპლექსური დავალებიდან კომპლექსურ დავალებამდე. მსგავსი ტიპის დავალებებისას მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/პრობლემის გადაჭრისას შემოქმედებითობა სჭირდება, გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო მისგან თანამშრომლობის უნარებსაც მოითხოვს, ხოლო რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, მოსწავლის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს. ამ მსჯელობას ამყარებს დაწყებით საფეხურზე (I კლასში) განხორციელებული კომპლექსური დავალების შემოქმედებითი პროდუქტი და მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროცესის აღწერა.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ჩარჩო კურიკულუმებში არსებული უზუსტობისა, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე, ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები).

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია

სკოლას აქვს მზაობა და გამოცდილება, სასურველია, სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე კიდევ გადაიხედოს კურიკულუმები და გაითვალისწინონ შემდეგი რჩევები:

- ეროვნულ სასწავლო გეგმაში დაწყებით საფეხურზე განსაზღვრულია სავალდებულო თემატური ბლოკები, სადაც უნდა დამუშავდეს სტანდარტით განსაზღვრული ყველა სამიზნე ცნება, სასურველია, რომ ეს მსჯელობა გათვალისწინებული იქნას ყველა კლასის ჩარჩო კურიკულუმში.
- სასწავლო პროცესი დაგეგმილია კომპლექსური დავალებებით, ამ შემთხვევაში კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულების გათვალისწინებით უნდა იყოს წარმოდგენილი კონტექსტ-მაგალითები. უმეტეს შემთხვევაში არ არის ან შეცდომითაა ფორმულირებული. ყველა თემაში არ არის წარმოდგენილი საკითხი. იქ სადაც კომპლექსური დავალებაა წარმოდგენილი სასურველია ყველა სასწავლო მიზანი (ყველა ველი იყოს შევსებული) იყოს განსაზღვრული.
- სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, მესამე და მეოთხე კლასის ჩარჩო კურიკულუმში არ არის წარმოდგენილი თემატური ბლოკები, ყველა თემაში არ არის წარმოდგენილი საკითხი. იქ სადაც კომპლექსური დავალებაა წარმოდგენილი სასურველია ყველა სასწავლო მიზანი იყო განსაზღვრული (ყველა ველი იყოს შევსებული).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ✓ **ტექნოლოგიები**

მტკიცებულებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნის სტანდარტების მოთხოვნებს. სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გააზრებულია გრძელვადიან მიზნებად. გლობალური ფუნქციური უნარები (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა (ეთიკა, პასუხისმგებლობა), ხასიათი ნება) აღქმულია უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად. შუალედური სასწავლო მიზნები წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებების სახით, სადაც მოსწავლე საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად და მიზნობრივად იყენებს ახალ ცოდნას, უნარებს და ღირებულებებს. მსგავსი ტიპის დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას შემოქმედებითობა სჭირდება, გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო მისგან თანამშრომლობის უნარებსაც მოითხოვს, ხოლო დამოუკიდებელი მოსწავლის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს. ეროვნული სასწავლო გეგმის გზამკვლევი ხაზს უსვამს კომპლექსური დავალების როლს ამ უნარების გააქტიურებაში და მიიჩნევს, რომ თავისი ბუნებით ასეთი ტიპის დავალებები მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. აღნიშნულ მსჯელობას ამყარებს კომპიუტერული ტექნოლოგიების პედაგოგთან ინტერვიუ, სადაც ის საუბრობს ფორმალურ თუ არაფორმალური აქტივობების შესახებ. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). აღნიშნული კრიტერიუმი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

- ✓ **სპორტი**

სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება კურიკულუმების საფუძველზე იგეგმება, შესაბამისად პედაგოგები იზიარებენ კურიკულუმების მნიშვნელობას სასწავლო პროცესის სრულფასოვნად განხორციელების საქმეში. შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კერძოდ, კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. კურიკულუმის განხორციელების პროცესში გაწერილია თემებთან შესაბამისი სასწავლო ელექტრონული რესურსები.

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს**

- ✓ სახელმწიფო ენა

სასწავლო პროცესში სკოლა ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. იკვეთება კონკრეტულ მოსწავლეთა საჭიროებებზე, ინტერესებსა და შესაძლებლობებზე ორიენტირება. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ ეს საკითხი პრიორიტეტულია და სკოლის მართვის პოლიტიკაა თვალყური ადევნოს სსსმ მოსწავლეთა ინდ. გეგმების შემუშავებას. სკოლამ წარმოადგინა ადაპტირებული კომპლექსური დავალებების ნიმუშები სსსმ მოსწავლეთათვის : პოსტერის შექმნა მოთხრობა ,,ჩიტის“ მიხედვით და ,,პერსონაჟის რუკა“ ,,სალამურას თავგადასავლის “მიხედვით. მოცემულ ნიმუშები კარგად ჩანს როგორც დავალების პირობის, ისე აქტივობების ადაპტირება და მორგება მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებებზე

<u>ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია</u>

- ✓ **ათემატიკა**

სკოლას აქვს სტრატეგია იმისა, რომ განახორციელოს დიფერენცირებული სწავლების მიდგომები, მოახდინონ კომპლექსური დავალების ადაპტირება ტიპური განვითარების მოსწავლეების, ასევე იზრუნონ სსსმ მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესებაზე, მაგ: მე-2 კლასის კომპლექსური დავალების ბარათში იმდაგვარადაა ჩაშლილი დავალების შესრულების ეტაპები, რომ მიუთითებს დიფერენცირების გამოყენების აუცილებლობაზე, რადგან შესასრულებლად მოყვანილია სხვადასხვა სირთულის დავალება, რომელიც ძირიტადი ტექსტის ამოსახსნელად გამოდგება, ასევე გასაუბრებაზე აღინიშნა რომ სკოლა იყენებს ისეთ ინკლუზიურ გარემოს სადაც ყველა მოსწავლის ჩართულობა არის შესაძლებელი სასწავლი პროცესსი.

- ✓ **უცხოური ენა**

სკოლას აქვს წარმოდგენილი ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა და ისგ სადაც ჩანს სასკოლო საზოგადოების გამოცდილება, ჩართულობა , თანამშრომლობა და სწორი ხედვა ამ მიმართულებით. რაც შეეხება უცხოური ენების კათედრას და დაწყებით საფეხურს, ინგლისური ენის მე-5 კლასის კურიკულუმში, კომპლექსური დავალებების პირობებში არის შეთავაზებული არჩევანი საკითხებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მიმართებაში, რაც მოსწავლეების მოტივაციას, ჩართულობას, დამოუკიდებლობას და დიფერენცირებულ მიდგომას უწყობს ხელს. მიუხედავად იმისა, რომ დანარჩენ წარმოდგენილ კურიკულუმების ჩარჩოში არ ჩანს დიფერენცირებული მიდგომა, ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა ისაუბრეს დიფერენცირებული სწავლების საკუთარ გამოცდილებაზე და მეთოდებზე, აგრეთვე დეფერენცირების მნიშვნელობაზე, დავალებების, შინაარსის, პროდუქტის დიფერენცირების სტრატეგიებზე და წარმოადგინეს ნიმუშები საკუთარი პრაქტიკიდან, რაც უმეტესწილად აკმაყოფილებს ამ კომპონენტს. უნდა აღინიშნოს კათედრის მიერ შმუშავებული მრავალფეროვანი თვალსაჩინოებები, დამხმარე რესურსები რაც ამ საფეხურზე განსაკუთრებით მნიშვნელოანია და ხელს უწყობს დიფერენცირებულ სწავლების პროცესსაც. კათედრამ გამოხატა მზაობა კურიკულუმების დახვეწის თვალსაზრსით.

<u>ამ მიმართულებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია</u>

- ✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

წარმოდგენილი კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწვალის ინტერესებს, მის გამოციდილებასა და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას. საგნის შედეგები და სამიზნე ცნებები განსაზღვრულია საფეხურის და არა კონკრეტული წლის ან თემის ფარგლებში. შედეგებზე განგრძობითად, მთელი საფეხურის მანძილზე, მიმდინარეობს მუშაობა; ის არ წარმოადგენს მოკლევადიან ნიშნულს, რომელიც აუცილებელი წინაპირობაა მომდევნო შედეგზე გადასასვლელად. ამავდროულად მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო პროგრამა, სასწავლო რესურსებისა და სასწავლო მასალის შეთავაზება, მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს.

<u>ესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია</u>

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

სასწავლო კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც იძლევა პროდუქტის წარდგენის ფორმის არჩევის საშუალებას, გათვალისწინებულია მოსწავლეთა მზაობის და მათი ინტერესის სფეროს შესაბამისი აქტივობები. დაწყებით კლასებში სკოლას ყავს შშმ მოსწავლე, რომლის სწავლების პროცესიც ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით მიმდინარეობს, მომდევნო სასწავლო წლის გეგმის საგნობრივ კურიკულუმშიც გათვალისწინებულია მისთვის შექმნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და მოდიფიცირებული დავალებები.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ✓ **ესთეტიკური აღზრდა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით საგნების (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, შერჩეულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი. კომპლექსური დავალებებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იმავე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი. საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანია. პირველი კლასის თემატურ მატრიცაში გაწერილი აქტივობები, სასწავლო რესურსი ნათლად წარმოაჩენს დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს. სკოლას მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი აქვს 2022-23 სასწავლო წლის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, სადაც მთელი წლის განმავლობაში გეგმავს და უწევს მონიტორინგს ინკლუზიური განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესს და ამ პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. ასევე, წარმოდგენილია დაწყებითი საფეხურზე ისგ-ს დოკუმენტი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. დოკუმენტში გაწერილი სასწავლო მიზნები, აქტივობები მოდიფიცირებული და მორგებულია მოსწავლის საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. ამ მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებელთა მიერ სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის პროცესი და მოსწავლეების მიღწევების აღწერა. დასკვნის სახით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესი დაწყებით საფეხურზე ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია

- ✓ **ტექნოლოგიები**

მტკიცებულებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმების განხილვისას ჩანს, რომ საგნობრივი კურიკულუმების სტრუქტურა და კონცეფცია თავისი ბუნებით ხელს უწყობს ინკლუზიური განათლების პრინციპების რეალიზებას. შედეგები და სამიზნე ცნებები განსაზღვრულია საფეხურის და არა კონკრეტული წლის ფარგლებში. კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები დაგეგმილია ისეთნაირად, რომ იძლევა სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების საშუალებას, ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას. შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის აუცილებელ ინსტრუმენტია კომპლექსური დავალება, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ, ცალკეული მოსწავლეებისთვის კი ამ დავალების ადაპტირებული ვერსია მოამზადოს. ასევე ჩანს რომ გათვალისწინებულია დიფერენცირებული სწავლა - სწავლების ძირითადი პრინციპები და სტრატეგიები. ორიენტირება ხდება მიზნის შესაბამის მრავალფეროვან მოსწავლეზე მორგებული სასწავლო რესურსებზე, რაც მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებელს კომპლექსური დავალებები ისეთნაირად აქვს შერჩეული, რომ მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გააკეთონ სხვადასხვა არჩევანი ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისა, ერთსა და იმავე სამიზნე ცნებაზე მუშაობისას, რათა მოსწავლის საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანი იყოს. ამ მსჯელობას ამყარებს მასწავლებელთან ინტერვიუ, სადაც ის აღწერს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის პროცესს, რომელიც წინასწარ შემუშავებული ინდივიდუალური გეგმის მიხევით წარიმართება. ასევე მასწავლებელმა აღნიშნა, რომ მოსწავლეებთან მუშაობისას ითვალისწინებს მათ ინტერესებს, საჭიროებებს და მის საფუძველზე ახდენს აქტივობების დიფერენცირებას. მტკიცებულების სახით წარმოდგენილია ასევე, VI კლასის ადაპტირებული კომპლექსური დავალება მათემატიკაში, რაც მაძლევს საფუძველს, რომ დავადგინო კათედრაზე მასწავლებლებს გააზრებული აქვთ დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.

<u>აღნიშნული კრიტერიუმი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

- ✓ **სპორტი**

წარმოდგენილ კურიკულუმებისა და კომპლექსურ დავალებების საფუძველზე ვერ ვადგენ, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს, თუ არა დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მაგრამ, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს დიფერენცირებულ მიდგომებზე: დიფერენცირებული სწავლების პროცესისას მოსწავლეებს სთავაზობენ სწავლის იმ სტრატეგიებს, რომლის დროსაც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები და საჭიროებები. მასწავლებლების თქმით, დავალების პირობა იმგვარად აქვთ შემუშავებული, რომ სწავლა მოხდეს მათთვის ეფექტური საშუალებით. სკოლას მიეცა რჩევა, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგანში შემუშავდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სსსმ მოსწავლეებისთვის.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

- ✓ **სახელმწიფო ენა**

ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებით საფეხურზე სკოლა იყენებს განმვითარებელ შეფასებას ყველა კლასში და განმსაზღვრელს - V-VI კლასებში. მართალია, ცალკე დოკუმენტებად არ იყო წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, მაგრამ ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრის წევრები ერთად შეიმუშავებენ განმავითარებელი შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრიტერიუმებსა და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, რომლებიც შესაბამისობაში იქნება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებთან .

<u>ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია</u>

- ✓ **ათემატიკა**

სკოლაში დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები ძირითადად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, შესაბამისად აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, თუმცა მეხუთე კლასისი მეორე სემესტრიდან გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასება, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შემუშავებისათვის მასწავლებლებმა მზაობა გამოთქვეს, რომ ის დაუკავშირდება სამიზნე ცნებებს და იქნება გრძელვადიან მიზნის შეფასების საშუალება, რომლის შემუშავებაში გათვალისწინებული იქნება თემის ფარგლებში მკვიდრი წარმოდგენები.

- ✓ **უცხოური ენა**

სასკოლო სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასება მიემართება ე.ს.გ. გრძელვადიანი მიზნებისკენ და ხელს უწყობს ამ მიზნების განხორციელებას. დაწყებით საფეხურზე სკოლა იყენებს განმავითარებელ შეფასებას, მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან და მე-6 კლასში ხდება მოსწავლეთა შეფასება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებით. განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისკენ. უცხო ენების კათედრამ წარმოადგინა განმავითარებელი და განსაზღვრელი შეფასების რუბრიკების მრავალფეროვანი ნიმუშები .

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

- ✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

სკოლაში სწავლება და შეფასება ერთ მთლიან, გააზრებულ პროცესს წარმოადგენს. საგნობრივ კურიკულუმში ასახული შეფასების კრიტერიუმები მკაფიოა და ცალსახად მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს. კოლა იყენებს როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ისტორიის ცნებებიდან გამომდინარე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შემუშავება

<u>შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია</u>

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

I-VI კლასების ბუნებისმეტყველების პედაგოგებს ვიზიტისას წარდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით შექმნილი აქვთ მე-5 კლასის მეორე სემესტრის და მეექვსე კლასისთვის განმსაზღვრელი და I-VI კლასებისთვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სხვადასხვა კლასებში, განმსაზღვრელი შეფასება სტანდარტის მოსწავლეთა მოლოდინებზე დაყრდნობით თვითოეულ სამიზნე ცნებაში, ხოლო განმავითარებელი შეფასება სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების გამომუშავებისთვის მოსწავლეთა მოლოდინებზე დაყრდნობით აქვთ შედგენილი. ასევე მტკიცებულების სახით აქვთ წინა სასწავლო წლებში შექმნილი კომპლექსური დავალებების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სოლო ტაქსონომიების სახით. შემაჯამებელი დავალებების შეფასების რუბრიკები და შემაჯამებლის ანალიზები.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

- ✓ **ესთეტიკური აღზრდა**

დაწყებით საფეხურზე მტკიცებულებების სახით კათედრას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები/რუბრიკები, რომლებიც ეფუძნება სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და შედეგებს. მუსიკის საგანში წარმოდგენილია თემატური ბლოკის ფარგლებში შექმნილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, სადაც დეტალურადაა გაწერილი თუ რა მოლოდინი აქვს მასწავლებელს სამიზნე ცნებებსა და მათ მკვიდრ წარმოდგენებთან დაკავშირებით. ასევე, ორივე საგანში არსებული კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმები ნათლად მიემართება გრძელვადიან სამიზნე ცნებებს. სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში მტკიცებულებებში კათედრას წარმოდგენილი აქვს ზოგადი შეფასების რამდენიმე რუბრიკა, ასევე მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკები, რაც თავისთავად ხელს უწყობს სასწავლო პროცესის რეფლექსიასა და მოსწავლის განვითარებას. სკოლაში ვიზიტისას მასწავლებლებმა ისაუბრეს ზოგად რუბრიკებს როგორ გარდაქმნიან სამიზნე ცნებებთან, კონკრეტულ დავალებებთან, აქტივობებთან მიმართებით. ამ მსჯელობების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია

- ✓ **ტექნოლოგიები**

დაწყებით საფეხურზე მტკიცებულების სახით წარმოდგენილია ზოგადი სახის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილ 2022-2023 სასწავლო წლის სასწავლო გეგმაში იკვეთება, რომ სკოლა იყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს. კათედრის ფარგლებში წარმოდგენილია, VI

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კლასის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მათემატიკაში, რომელიც შემუშავებულია სოლო ტაქსონომიის დონეების მიხედვით. ასევე წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი გასასვლელი ბილეთი. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა აღნიშნა, რომ შემუშავებული აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც მიემართება გრძელვადიან სამიზნე ცნებებს. ასევე ისაუბრა მის მიერ განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაზე, რომელშიც ჩაშენებული აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა სოლო ტაქსონომიის დონეების შესაბამისად. მისი თქმით მომდევნო სასწავლო წლისათვის გეგმავს კონკრეტული რუბრიკების შემუშავებას. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. აღნიშნული კრიტერიუმი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

- ✓ სპორტი

ამ ეტაპზე პედაგოგები იყენებენ სიტყვიერ განმავითარებელ შეფასებას, მაგრამ სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ფიზიკური აღზრდის საგანში. ინტერვიუს დროს გამოჩნდა მასწავლებლების მზაობა მომავალში გამოიყენონ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. წერილობით კომენტარები დაეხმარებათ მასწავლებლებს თითოეული ბავშვის ფიზიკურ განვითარებაზე უფრო სიღრმისეული წარმოდგენის შექმნაში და მისი პროგრესის დაფიქსირებაში.

5. **დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი**

- ✓ სახელმწიფო ენა

დაწყებით საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში კურიკულუმის დაგეგმვის პროცესი ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას და, როგორც ინტერვიუსას პედაგოგებმა აღნიშნეს, ეფუძნება მისი ანალიზისას გამოტანილ დასკვნებს. ისინი სისტემატურად უზიარებენ ერთმანეთს პრაქტიკას და ერთად განიხილავენ უკეთესი შედეგების მიღწევის შესაძლებლობებს.

<u>ინდიკატორი 2.1.2.5. დაკმაყოფილებულია</u>

- ✓ ათემატიკა

მოწოდებული კურიკულუმის ანალიზიდან გამოიკვეთა რომ იქ თემები იმ პრინციპით არის დალაგებული, რომ გათვალისწინებულია წინარე ცოდნა და მოსწავლეთა მზაობა შესასწავლი საკითხის მიმართ ამის დასტურია ასევე მოწოდებული ბარათები თუმცა სექტემბრამდე მოხდება გადახედვა და მაქსიმალურად დაუკავშირდება მოსწავლეთა საჭიროებას ისე, რომ მოხდეს მისი წინარე ცოდნის გათვალისწინება, ამისათვის სკოლაში გამოყენებული იქნება სადიაგნოსტიკო შეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ✓ **უცხოური ენა**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში სკოლა აპირებს სასკოლო საზოგადოებასთან კონსულტაციებით წინა წლის წარმატებული გამოცდილების გაზიარებას, სასკოლო საზოგადოების ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებას, მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებას, მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებას და პროფესიულ განვითარებას, სკოლის ინსტიტუციურ განვითარებას და ყველა ამ მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა შექმნის რეკომენდაციების პაკეტს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

- ✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

სკოლას ამ ეტაპზეც, დაგროვილი გამოცდილების ხარჯზე, მოსწავლეთა ნაშრომების ანალიზისა და პედაგოგიური რეფლექსიებისა და გამოცდილების გაზიარების საფუძველზე არსებული რეალობის გათვალისწინებით განხორციელებული აქვს კურიკულუმის ჩარჩოში არსებული კომპლექსურების გამარტივება და ადაპტაცია.

<u>შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია</u>

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

ბუნებისმცოდნეობის პედაგოგები წინარე გამოცდილების (ჩატარებული კომპლექსური დავალებების, შემაჯამებლების ანალიზის საფუძველზე,რომელიც კათედრის ოქმებშიც იკითხება) ერთობლივად გეგმავენ კათედრაზე მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმებს.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

- ✓ **ესთეტიკური აღზრდა**

მტკიცებულებების სახით წარმოდგენილია 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სადაც ჩანს რომ სკოლის პრიორიტეტია სასწავლო კურიკულუმების მონიტორინგი და გაუმჯობესება. ასევე წარმოდგენილია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პირველი კლასის 2022-2023 წლის ჩარჩო კურიკულუმი, ამავე კლასის 2023-24 სასწავლო წლის კურიკულუმში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებულია წინა წლის გამოცდილება და ასევე, გათვალისწინებულია ყველა სასწავლო მიზნის და სტრუქტურული ერთეულის მიმართება სტანდარტთან და მოსწავლეების საჭიროებებთან. აღნიშნული მსჯელობა დაადასტურეს მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესში. შესაძლებელია დავასკვნათ რომ, დაწყებით საფეხურზე დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

<u>ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია</u>

- ✓ **ტექნოლოგიები**

მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლა ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავებისას, ითვალისწინებს წინა წლის გამოცდილებას. მტკიცებულებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმებიდან იკვეთება, რომ სკოლას გათვალისწინებული აქვს დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილება. გრძელვადიან მიზნად განსაზღვრული აქვს სამიზნე ცნებები, ხოლო შუალედური მიზანი კომპლექსური ბუნების დავალების სახითაა წარმოდგენილი. მასწავლებელმა ინტერვიუზე აღნიშნა, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში აქტიურად თანამშრომლობდა კათედრის წევრებთან, აანალიზებდა მოსწავლეთა მიღწევებსა და საჭიროებებს. კურიკულუმის დაგეგმვისას გაითვალისწინა წინა წლის გამოცდილება, საგნობრივი სტანდარტის მიხედვით სამიზნე ცნებები, დამატებითი რესურსები და კომპლექსური დავალებების ბანკი. მტკიცებულების სახით წარმოდგენილია ასევე 2022-2023 სასწავლო წლის დაწყებითი კლასების კათედრის სამოქმედო გეგმა და განრიგი , სადაც ახალი სასწავლო წლის პირველ სხდომაზე განსახილველი ერთ-ერთი საკითხია „ კურიკულუმის შემუშავება და განხილვა“. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება.

<u>აღნიშნული კრიტერიუმი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

- ✓ **სპორტი**

წარმოდგენილი კურიკულუმიებიდან არ ჩანს, მაგრამ ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ვთქვათ, რომ მასწავლებლები ყურადღებას აქცევენ წარმატებულ გამოცდილებას, წინარე ცოდნას და ორიენტირებულები არიან შედეგების გაუმჯობესებაზე. მაასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ მომავალში ჩაატარონ უფრო სიღრმისეული წინარე გამოცდილების ანალიზი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სახელმწიფო ენა
- კურიკულუმები
- ადაპტირებული კომპლექსური დავალებები.

- ✓ მათემატიკა
  კურიკულუმები

- ✓ უცხოური ენა
- 1-6 კლასების კურიკულუმები;
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა 2022-2023;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები
- 1-6 კლასების კურიკულუმები;
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა 2022-2023;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**
- კათედრის ოქმი;
- შეფასების რუბრიკები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- ბუნებისმეტყველების საგნობრივი კურიკულუმები1-6 კლასებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

✓ ესთეტიკური აღზრდა

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმები;
- თემატური მატრიცა- „ეზოს მაკეტი“;
- მასწავლების გაკვეთილის რეფლექსია სახვით და განოყენებით ხელოვნებაში -„ეზოს მაკეტი“;
- ინკლუზიური განათების სამოქმედო გეგმა 2022-2023წ;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2022-2023წ;
- მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- დაწყებითის შეფასების რუბრიკა ახალი (მუსიკა);
- მუსიკა- შეფასების რუბრიკა დაწყებითი;
- დისკუსიის შეფასება;
- მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი;
- მოსწავლის ნამუშევრის შეფასების რუბრიკა.

✓ **ტექნოლოგიები**

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმები;
- 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები : ზოგადი (გასასვლელი ბილეთი) და VI კლასის მათემატიკის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა სამიზნე ცნებებთან მიმართებით ;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ზოგადი;
- დაწყებითი კლასების კათედრის სამოქმედო გეგმა და განრიგი;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

✓ სპორტი

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას**

- ✓ **სახელმწიფო ენა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, აქტიურად ჩაერთონ შემოქმედებით პროცესში. ამის მაგალითია კომპლექსური დავალებების იდეები. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტურად არაა აღწერილი მათი განხორციელების პროცესი, მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ კარგად იციან კომპლექსური დავალებების შედგენაც და მისი განხორციელებაც, შესაბამისად, მზად არიან მომდევნო სასწავლო წლისთვის მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობას შეუწყონ ხელი.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

- ✓ ათემატიკა

დაწყებით საფეხურზე სასკოლო კურიკულუმებს ახლავს კომპლექსური დავალების ბარათები სადაც ნაჩვენებია თუ რას გააკეთებს მასწავლებელი იმისათვის, მიღწეულ იქნას სასწავლო მიზანს ამისათვის მოსწავლეები კვლევით პროცესებში იქნებიან ჩართულები სადაც ისინი დააკვირდებიან გაიაზრებენ და შეეცდებიან იპოვონ პრობლემური დავალების ამოხსნის გზები, ამისათვის მათ დასჭირდება საკითხის სიღრმისეული გააზრება და მათი ურთიერთდაკავშირების საფუძველზე ისეთი შემოქმედებითი პროდუქტის მიღება სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლის შემოქმედებით პროცესებში ჩართვა მასწავლებლის მეთვალყურეობის დროს.

- ✓ **უცხოური ენა**

კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში გაწერილი კონმპლექსური დავალებების პირობებზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი აძლევს მოსწავლეს შანსს აქტიურად ჩაერთოს პროცესში. კომპლექსური დავალებების პირობა ხშირ შემთხვევაში იძლევა შესაძლებლობას მოსწავლე არა მხოლოდ მონაწილე იყოს პროცესის არამედ შემოქმედიც, მას უწევს პრობლემის გადაჭრა, სტრატეგიების გააზრება და სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნა როგორიცაა მაგალითად, პოსტერი, ინტერვიუ, პრეზენტაცია, დიალოგი, ვიდეორგოლი და ა.შ. გასაუბრების დროს დადგინდა, რომ კათედრას აქვს განხორციელებული არა ერთი პროექტი, მათ შორის საერთაშორისო. წარმოდგენილი პროექტების აღწერა ნათლად წარმოაჩენს კათედრის სწორ ხედვას, გამოცდილებას და ცოდნას მოსწავლეთა მოტივაციის, წინარე ცოდნის გაქტიურების, ინტერესების გათვალისწინების, თანატოლებთან თანამშრომლობის, აქტიურად ჩართულობის და მათი ავტონომიურობის თვალსაზრისით.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია</u>

- ✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წარმოდგენილი კურიკულუმისა და განხორციელებული კომპლექსურების საფუძველზე აშკარაა, რომ მოსწავლეთათვის შერჩეულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეს წარმოაჩინონ საკუთარი მრავალფეროვანი შემოქმედებითი ინიციატივები და მიგნებები. ახალი ინფორმაცია გაცნობისა და დამუშავების დროს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით განიხილოს. დააგროვონ, ან გაირღმავონ საკუთარი ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის გზით. გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით, როგორც წერილობით, ასევე დისკუსიების სახით.

<u>შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია</u>

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

საკლასო სივრცე, გარემო, რესურსები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი კურიკულუმის ჩარჩო, კომპლექსური დავალებები, აქტივობები და მეთოდები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას, რასაც ადასტურებს ვიზიტისას მოსწავლეთა მიერ შექმნილი არაერთი სხვადასხვა სახის შესრულებული კომპლექსური დავალებების პროდუქტები, რომლებიც ძალზედ შემოქმედებითადაა გადაწყვეტილი.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია</u>

- ✓ **ესთეტიკური აღზრდა**

კათედრის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით. ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მისი კონტექსტ-მაგალითები, მრავალფეროვანი რესურსები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. მტკიცებულებით წარმოდგენილ სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში განხორციელებულ კომპლექსური დავალების ფარგლებში მოსწავლეების მიერ შექმნილი მრავალფეროვანი ეზოს მაკეტები, რაც ნათლად ადასტურებს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. აღნიშნული მსჯელობა ადასტურებს, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

<u>ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ✓ **ტექნოლოგიები**

მტკიცებულებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმები დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით. კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. რაც იძლევა შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის შესაძლებლობას და განაპირობებს მოსწავლის მაღალ ჩართულობას აქტივობებში. გარდა ამისა მტკიცებულების სახით წარმოდგენილია, პროექტები: „ მცენარეული საკვები“ (ინტეგრირებული პროექტი -კომპიუტერული ტექნოლოგიები და ბუნებისმეტყველება) და ,, ციფრული ისტორია”, რომლებშიც მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა ისაუბრა განხორციელებულ პროექტებში და კომპლექსური დავალების ფარგლებში მოსწავლეების მიერ შესრულებულ მრავალფეროვან პროდუქტებზე. ამასთანავე აღნიშნა , რომ ერთ -ერთი კომპლექსური დავალება „ მცენარეული საკვები“ 2023 წელის კომპიუტერული ტექნოლოგიების კონფერენციაზეც ჰქონდა წარდგენილი. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ , რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე აღნიშნული ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

- ✓ სპორტი

სკოლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები და მათში გაწერილი როგორც პრაქტიკული (მძლეოსნობის ელემენტები, ტანვარჯიშის ელემენტები, გასართობი თამაშები ხელბურთის ფეხბურთის, ფრენბურთის და კალათბურთის ელემენტებით, ლაშქრობა) და თეორიული (ჰიგიენა, ჯანსაღი კვება), შინაარსის თემები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ასევე, კომპლექსურ დავალებებში გაწერილი აქტივობები და რესურსები მრავალფეროვანია და იძლევა იმის საშუალება, რომ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები სასწავლო პროცესში. სკოლას მიეცა რჩევა, დაამატოს 5-6 კლასებში თემა „მავნე ჩვევების პრევენცია“.

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ✓ სახელმწიფო ენა

კურიკულუმის განხორციელებისას გათვალისწინებულია ცოდნის დაშენება წინარე ცოდნაზე. ეს ჩანს მოცემულ ჩარჩოებში, რომლებშიც წარმოდგენილი საკითხები ააქტიურებს მოსწავლეთა ცოდნას და ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას.

ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია

- ✓ ათემატიკა

სასწავლო პროცესში ახალი მასალის ახსნის წინ ყურადღება მახვილდება მოსწავლის წინარე ცოდნის აქტიურ დონეზე, შესაბამისად ნიკლულობის შემთხვევაში გაიცემა შესაბამისი კონსტრუქციული უკუკავშირი რათა მოსწავლემ ააგოს ცოდნა წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ამის დამადასტურებელია კომპლექსური დავალების ბარათები რაშიდაც სჩანს მზაობა ამ მიმართულებით მუშაობის.

- ✓ **უცხოური ენა**

კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის შესწავლიდან, ასევე გასაუბრების დროს გამოიკვათა რომ კათედრას გააზრებული აქვს თემატური დაგეგმის მნიშვნელობა, ჩანს რომ თემების გაწერის დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკი, მათი მზაობა და ინტერესები. ასევე შუალედური მიზნის დოკუმენტაციაში მოცემულია კონტექსტ მაგალითები, რომელიც საშუალებას იძლევა ნაცნობ კონტექსტზე დაყდრნობით მოსწავლემ მიიღოს ახალი ცოდნა და გამოცდილება. ზოგადად კომპლექსური დავალებების სპეციფიკა იძლევა ცოდნის კონსტრუირების საშუალებას და ამგვარი ტიპის დავალებები წარმოდგენილია მომავალი წლის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში. კათედრას ასევე აქვს განხორციელებული სასკოლო პროექტები,რომელთა განხორციელების გამოცდილებას გამოიყენებენ მომავალი სასწავლო კურიკულუმის შემუშავებისას და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას. კათედრის მიერ მოწოდებულ ერთ-ერთ ოქმში აღიშნულია არაფორმალური აქტივობების განხორციელების მნიშველობაც და ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ კათედრას აქვს განხორციელებული არაფორმალური აქტივობაც. მასწავლებლებმა გადმოაგზავნეს პროექტების ნიმუშები. კათედრას მიეცა რეკომენდაცია, რომ განაგრძონ მსგავსი პრაქტიკა და მეტი მრავალფეროვანი, არაფორმალური აქტივობები, პროექტები დაგეგმონ და განახორციელონ იმგვარად, რომ ნაცნობ კონტექსტში მოხდეს ახალი ინფორმაციის მიწოდება, ნაცნობი თემატიკის ირგვლივ ახალი ცოდნის კონსტრუირება , თანამშრომლობის გაძლიერება, სასკოლო საზოგადოების მეტი ჩართულობა, გამჭოლი კომპეტენციების და ღირეულებების განვითარება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

წარმოდგენილ კურიკულუმებსა და მატრიცებზე დაყრდნობით ცხადია, რომ სასწავლო პროცესი მიზნად ისახავს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და მის ეტაპობრივად, ნაბიჯ - ნაბიჯ მიყვანას ახალ ცოდნამდე. კომპლექსური დავალების პირობები, ან კონტექსტ მაგალითები იმგვარადაა ფორმულირებული, რომ კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი.

<u>ესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია</u>

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

საბუნებისმეტყველოს მატრიცებში და კურიკულუმების ჩარჩოში ჩაშენებული კონტექსტ მაგალითები მაძლევს საშუალებას, რომ დავასკვნა: მოსწავლეთა ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მარტივიდან რთულისკენ.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

- ✓ **ესთეტიკური აღზრდა**

ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კომპლექსური დავალებების იდეა/პირობები, შინაარსები გრძელვადიანი სასწავლო მიზნები მოსწავლის წინარე ცოდნის გათვალისწინებითაა წარმოდგენილი. სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში თემატურ მატრიცაში ჩაშენებული აქტივობები და შეკითხვები ნათლად ცხადყოფს, რომ დაწყებით საფეხურზე ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნის გააქტიურებით. აღნიშნულის შესაბამისად ინდიკატორთან მიმართებით შესაძლებელია დავასკვნათ-დაწყებით საფეხურზე, მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლა სწავლების პროცესში ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.
<u>ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია</u>

- ✓ **ტექნოლოგიები**

მტკიცებულებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმებიდან ჩანს,რომ უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებით სწავლებას. სასწავლო პროცესი მთლიანად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აგებულია კომპლექსურ დავალებებზე. მასწავლებელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე გამოცდილებას და ახალ ცოდნას აგებს ნაბიჯ - ნაბიჯ წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. აღნიშნულის შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.
აღნიშნული ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

- ✓ სპორტი

სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს პრონციპებით ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ. მასწავლებლები ითვალისწინებენ, რომ კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენება. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და დასახული მიზნების მიღწევას.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

- ✓ სახელმწიფო ენა

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახულია როგორ მუშაობენ დაწყებით საფეხურზე სკოლის პედაგოგები მოსწავლეების ,,სწავლის სწავლის“ უნარის განვითარებაზე. ამის მაგალითია წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ნიმუში I კლასში: ,,ჩემი ილუსტრირებული ანბანი“, რომლის განხორციელებაც მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, მიიღონ კონკრეტული ამოცანის მოთხოვნები, ეძებონ მათი გადაჭრის ეფექტური სტრატეგიები და დაარეგულირონ საკუთარი სასწავლო გამოცდილება.
ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია

- ✓ **ათემატიკა**

კომპლექსური დავალების შემოქმედებით პროდუქტში სადაც საგნობრივი საკითხების ურთიერთმიმართებით ხდება ახალი იდეების ძებნა და მის საფუძველზე საყოფაცხოვრებო დანიშნულების პროდუქტის შექმნა ძირითადი ყურადღება გადატანილია კეთებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესებზე, ამის შესახებ მასწავლებლებმა ინტერვიუს დროსაც ისაუბრეს და აღნიშნეს, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩართვისათვის კეთებით სწავლება.

- ✓ **უცხოური ენა**

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, ინგლისური და რუსული ენების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში ჩანს მეტაკოგნიციის განვითარების პერსპექტივა. კომპლექუსური დავალების იდეებზე, პირობებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ დავალებების შესრულების ეტაპები ითვალისწინებს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას.მოსწავლეებისთვის შეთავაზებული საკითხები ავთენტურია და იძლევა მოსწავლეების ინდივიდუალური გამოცდილების გათალისწინების შესაძლებლობას. ინტერვიუს შედეგად მასწავლებლებმა წარმოაჩინეს ცოდნა და გამოცდილება მრავალფეროვანი ჩექლისთების გამოყენების თვალსაზრისით , როგორც თვითშეფასების ასევე თანაშეფასების რაც ხელს უწყობს სწავლის სწავლას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

- ✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

წარმოდგენილი კომპლექსური დავალებისა და კურიკულუმის ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი სწავლის სწავლაზეა აქცენტირებული. ყურადღება გამახვილებულია მოსწავლის მიერ შესრულებული სამუშაოს რეფლექსიაზე.

ესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

ბუნებისმეტყველების პედაგოგების მიერ შექმნილი და ასევე მოძიებული, საკლასო სივრცეში დანერგილი და ნაწილობრივ მოდიფიცირებული მატრიცები იძლევა საშუალებას რომ დავასკვნათ: აქცენტი კეთდება სწავლის სწავლებაზე. რადგან მოსწავლეებს კომპლექსურების აქტივობებში უწევთ ინფორმაციის მოძიება, დამუშავება, სხვადასხვა სახით წარდგენა, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება და რაც მთავარია ცოდნის ტრანსფერი ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

- ✓ **ესთეტიკური აღზრდა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ საგნების ჩარჩო კურიკულუმებში შუალედურ სასწავლო მიზნად განიხილება კომპლექსური ტიპის დავალებები, რაც თავისთავად გულისხმობს მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინებასა და *მეტაკოგნიტური* უნარების განვითარებას. კომპლექსური დავალებების კონტექსტ მაგალითები ხელს უწყობს მოსწავლეებში ნებელობის გაძლიერებასა და მათ დაინტერესებას. სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში წარმოდგენილი მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკები თვითრეფლექსიის და სასწავლო პროცესის შეფასების საშუალებას იძლევა. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მომავალში სასწავლო პროცესში სასურველია მასწავლებლებმა მეტად გაამახვილონ ყურადღება იმ სტრატეგიებზე რომელიც მოსწავლეს დაეხმარება მეტაკოგნიციასა და სწავლის სწავლის უნარების განვითარებაში.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია

- ✓ **ტექნოლოგიები**

მტკიცებულებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმებში კომპლექსური დავალების იდეებიდან და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე ნათლად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმი მიმართულია სააზროვნო უნარების განვითარებისკენ. მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. თითოეული კომპლექსური დავალების განხორციელება მოითხოვს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, ინფორმაციის მოძიებას, დამუშავებას, ანალიზს, მსჯელობას-დისკუსია. აღნიშნულის შესაბამისად შეიძლება ითქვას , რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

<u>აღნიშნული ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

- ✓ სპორტი

სწავლა-სწავლების პროცესში სკოლაში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხვავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს (მოძრავი თამაშები, სასკოლო ფესტივალები).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

- ✓ სახელმწიფო ენა

დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლეთა დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის მიღებაზე. ეს კარგად ჩანს როგორც დაგეგმილი კომპლექსური დავალებების იდეებში, ისე სხვადასხვა ღონისძიებაში, რომლებიც სკოლამ წარმოადგინა. მაგალითად, II კლასში განხორციელებული კომპლექსური დავალება გამაფრთხილებელი აბრის დამზადება მოთხრობა ,,ერთი გემის" მიხედვით , სამივე სახის ცოდნის დაუფლების საშუალებას აძლევს მოსწავლეებს.

- ✓ ათემატიკა

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ცოდნათა შეძენის კუთხით მოსწავლეებში ყურადღება მიექცეს მის სამ კატეგორიაში შეფასებას ამის შესახებ კონკრეტულად დაწყებითი საფეხურის მათემატიკის მასწავლებლები დოკუმენტურად არ ადასტურებენ თუმცა ინტერვიუს დროს აღნიშნენ მზაობა ამ მიმართულებით აქტიური მუშაობის.

- ✓ **უცხოური ენა**

.კომპლექსური ბუნების დავალებები და პროექტები თავისთავად ორიენტირებულია სამივე კატეგორიის ცოდნაზე და გულისხმობს ცოდნის კონსტრუირებას, აგებას, მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმებით და ინტერვიუზე დაყრდნობით დგინდება, რომ უცხოური ენების კათედრას აქვს გამოცდილება კომპლექსური ტიპის დავალებების შემუშავების და გამოყენების სწავლა-სწავლების პროცესში. შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებიდან, კომპლექსური დავალებების იდეებიდან და განხორციელებული პროექტების ნიმუშებიდან იკვეთება დეკლერატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის განვითარებაზე გაკეთებული აქცენტები და ჩანს კათედრის მზაობა .

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

წარმოდგენილი პროექტები მკაფიო დადასტურებაა იმისა, რომ სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. პედაგოგები ხელს უწყობენ მოსწავლეს საგნობრივი სასკითხების სირღმისეულად გააზრებაში, სასწავლო მასალის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებაში. პროექტების განხორციელების დროს მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა.

ესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

ბუნებისმეტყველების კურიკულუმების ჩარჩოებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების მატრიცებში ჩანს, რომ აქტივობები გათვლილია ცოდნის სამ კატეგორიაზე: დეკლარატიულზე, სადაც ინფორმაციის გაგება დამახსოვრება ხდება; პროცედურულზე, სადაც მიღებული ცოდნის საფუძველზე სხვადასხვა პროცედურების განხორციელება; (გამოთვლები, ექსპერიმენტები, მოდელების შექმნა და სხვ..) ასევე მიღებული ცოდნის, გამოცდილების გამთლიანება და სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებში ადეკვატურად გამოყენება -პირობისეული ცოდნის გამოვლენის საშუალებას იძლევა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

- ✓ **ესთეტიკური აღზრდა**

დაწყებითი საფეხურის ორივე საგნის (მუსიკა,სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსურები დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეებში სამიზნე ცნებების გააზრებას ცოდნის სამი კატეგორიის (დეკლარაციული, პროცედურული, პირობისეული) ჭრილში. კომპლექსური დავალების პროდუქტებიდან ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეები მიიღებენ თეორიულ ცოდნას, მოახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას. დაწყებითი საფეხურზე სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში წარმოდგენილ თემატურ მატრიცაში სამიზნე ცნებებთან/საკითხებთან მიმართებით ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებული კითხვები და აქტივობებია გაწერილი. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებითი საფეხურის მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული).

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

- ✓ **ტექნოლოგიები**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები, იძლევა საგნობრივი საკითხების სიღრმისეული გააზრების საშუალებას და სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას. ეროვნული სასწავლო გეგმა ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითად განიხილავს კომპლექსური ბუნების დავალებებს, სადაც სამიზნე ცნების გააზრება ხდება ცოდნის სამი კატეგორიის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) ჭრილში. ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება ასევე არაფორმალურ აქტივობებში, რომელიც წარმოდგენილი აქვს მასწავლებელს მტკიცებულების სახით (პროექტები: „ მცენარეული საკვები“ და ,, ციფრული ისტორია”). გარდა ამისა მტკიცებულების სახით წარმოდგენილია, VI კლასის კომპლექსური ბუნების დავალება მათემატიკაში,რაც მაძლევს იმის საშუალებას, რომ დავადგინო მასწავლებელს კათედრაზე გააზრებული აქვს აღნიშნული პროცესები. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული).

<u>აღნიშნული ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

- ✓ **სპორტი**

ფიზიკური აღზრდის კურიკულუმებში არ არის მოცენული ინფორმაცია იმ აქტივობებზე, სადაც გამოჩნდება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). მაგრამ, ინტერვიურების დროს გამოჩნდა მასწავლებლის მზაობა, <u>**რომ ჩავთვალოთ ამ კრიტერიუმის შესაბამისობა.**</u>

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

- ✓ სახელმწიფო ენა

დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში იკვეთება მოსწავლეთა ცოდნის ურთიერთდაკავშირებისა და ორგანიზების გათვალისწინება. მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება, ჩაატარონ ღონისძიებები ამ მიმართულებით. ამის მაგალითად აჩვენეს მე-2 კლასში განხორციელებული კომპლექსური დავალება ,,ლომის წერილი თაგვს“, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ირგებენ ლომის როლს თაგვისადმი მიწერილ წერილში, რითიც ახდენენ ცოდნის ორგანიზებას, პერსონაჟის თვისებების წარმოჩენით ხდება ცოდნათა ურთიერთკავშირი , რაც ხელს უწყობს კონსტრუქტივისტული პრინციპების მიღწევას, კომპლექსური დავალების ეტაპებიც ამის შესაბამიადაა დაგეგმილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია

- ✓ **ათემატიკა**

კომპელექური დავალების ბარათები დაწყებით საფეხურზე აჩვენებს ხედვას, თუ როგორ მოხდება მათემატიკის საგნობრივი საკითხების ურთიერთდაკავშირება, რაშიდაც გათვალისწინებული იქნება დიფერენცირების მიდგომები და მოსწავლეთა ინდივიდუალური შედეგები, უნდა აღინიშნოს რომ მაგალითად კომპლექსურ დავალებაში მე-2 კლასში დავეხმაროთ წითელქუდას კითხვები იმ ფორმით არის დალაგებული, რაც ხელს შეუწყობს ცოდნათა ორგანიზებას და მათ შორის ურთიერთმიმართებების დანახვას.

- ✓ **უცხოური ენა**

უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში არის წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები. კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. აქედან გამომდინარე ვთვლი, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია წარმოაჩენს კათედრის მზაობას დაგეგმოს და უზრუნველყოს ისეთი სასწავლო პროცესი სადაც მოსწავლეები შეძლებენ ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. აგრეთვე სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ვკითხულობთ , რომ განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს საინტერესო და მრავალფეროვანი პროექტებით სწავლებას,პროექტები შესაბამისობაშია მდგრად განვითარების მიზნებთან და მოსწავლეებთან ინდივიდუალური მიდგომით მათში 21-ე საუკუნის შესაბამისი უნარების განვითარებას უწყობს ხელს. მასწავლებლებთან ინტერვიუმ ასევე წარმოაჩინა კათედრის გამოცდილება პროექტების დაგეგმვის და განხორციელების კუთხით დაწყებით საფეხურზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპლექსური დავალებებით სწავლება ხელს უწყობს მოსწავლეებში საგნობრივი საკითხების სირღმისეულ გააზრებას, ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას, ვინაიდან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე. ეს კი თავისთავად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებასა და არგუმენტებს

ესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

ბუნებისმეტყველების პედაგოგთა წარმოდგენილ მატრიცებში ჩანს რომ მოსწავლე უწევს სხვადასხვა მიმართულების ცოდნათა გამთლიანება, ორგანიზება სხვადასხვა მაორგანიზებელი ინსტრუმენტებით, მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვა, სხვადასხვა ცოდნის გამთლიანება და სამიზნე ცოდნის მკვიდრი წარმოდგენების გამომუშავება.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

- ✓ **ესთეტიკური აღზრდა**

მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი მომავალი წლის (2023-24 სასწავლო წელი) დაწყებითი საფეხურის მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/ კომპლექსური დავალებები რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში წარმოდგენილ თემატური მატრიცაში-ეზოს მაკეტი ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეები ჩართულნი არიან მრავალფეროვანი აქტივობებით საგანთა კავშირებით და მოსწავლეთა ცხოვრებისეული კონტექსტებიდან გამომდინარე ხდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

<u>ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ✓ **ტექნოლოგიები**

მტკიცებულებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმებში, შუალედურ მიზნად წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. კომპლექსური ბუნების დავალებებზე მუშაობისას მოსწავლე არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ეს აქტივობები კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებაში , ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. მასწავლებელმა ინტერვიუს დროს ისაუბრა მის მიერ განხორციელებულ არაერთ ფორმალურ და არაფორმალურ აქტივობების შესახებ, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებმა განახორციელეს ისეთი აქტივობები , რომელიც მოითხოვს ცოდნათა მობილიზებას და ურთიერთდაკავშირებას. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. აღნიშნული ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

- ✓ სპორტი

ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები გაწერილი თემები საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას. მართალია, კურიკულუმებში არ არის გაწერილი მომავალი სასწავლო წლისთვის ინტეგრირებული დავალებები, მაგრამ ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან მასალებსა და აქტივობებს, **<u>რაც გვაფიქრებინებს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირება.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სახელმწიფო ენა
  კურკულუმები
- ✓ მათემატიკა
  კურიკულუმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

✓ **უცხოური ენა**

- საგნობრივი კურიკულუმები
- სასკოლო პროექტები
- უცხოური ენები კათედრის სხდომის ოქმი
- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი

✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

- კურიკულუმის ჩარჩო მ და საზოგადოება;
- კურიკულუმის ჩარჩო ჩვენი საქართველო;
- განხორციელებული პროექტები.

✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

- ბუნებისმეტყველების კურიკულუმები;
- წარმოდგენილი მატრიცები;
- მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროდუქტები.

✓ ესთეტიკური აღზრდა

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმები;
- თემატური მატრიცა- „ეზოს მაკეტი“;
- მასწავლების გაკვეთილის რეფლექსია სახვით და განოყენებით ხელოვნებაში -„ეზოს მაკეტი“;
- მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- დაწყებითის შეფასების რუბრიკა ახალი (მუსიკა);
- მუსიკა- შეფასების რუბრიკა დაწყებითი;
- დისკუსიის შეფასება ;
- მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი;
- მოსწავლის ნამუშევრის შეფასების რუბრიკა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ✓ **ტექნოლოგიები**

• დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმები;
• პროექტები „ მცენარეული საკვები“ და ,, ციფრული ისტორია”;

- VI კლასის კომპლექსური ბუნების დავალება მათემატიკაში;

- ✓ სპორტი
  კურიკულუმები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით

- ✓ სახელმწიფო ენა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილი მასალაში ჩანს, რომ პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების საგნობრივ საკითხებთან მიმართება. მართალია, კურიკულუმის ჩარჩოებში არ არის გაწერილი მკვიდრი წარმოდგენები, მაგრამ მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ კარგად აქვთ გააზრებული აღნიშნული საკითხი და მოსწავლეებთან მუშაობისას აუცილებლად გაითვალისწინებენ მათ ჩამოყალიბებას ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებაში. მათ გაგვიზიარეს გამოცდილება თუ როგორ ამუშავებენ სამიზნე ცნებებს კომპლექსური დავალებების დახმარებით სასწავლო პროცესში და გამოთქვეს მზადყოფნა ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმების სრულყოფისთვის.

<u>ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია</u>

- ✓ ათემატიკა

სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაწყებითი საფეხურის გასავლელი ყველა თემა არის აგებული სადაც გათვალისწინებულია ქვეცნებები, რომელიც კონკრეტდება სამიზნე ცნებასთან მიმართებით, ასევე უნდა აღინიშნოს რომ მკვიდრ წარმოდგენების მისაღწევი ღონისძიებების გატარების თუნდაც შეფასების რუბრიკა არ ფიქსირდება, მაგრამ გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აჩვენეს პოტენციალი, რომ ამ მიმართულებით იმუშავებენ.

- ✓ **უცხოური ენა**

სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტები, სადაც გაწერილია თემების მიხედვით კომპლექსური დავალებების იდეები, საგნის სამიზნე ცნებები. უცხოური ენის სამიზნე ცნებებია დაწყებით საფეხურზე ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები და მე-5და მე-6 კლასში კულტურათა შორის დიალოგი. კომპლექსური დავალებების იდეებზე, პირობებზე, კონტექსტ მაგალითებზე და რესურზებზე დაყრდნობით დგინდება,რომ აღნიშნული სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება ნაცნობ კონტექსტზე დაფუძნებით, მკვიდრი წარმოდგენების რეალიზების გზით. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა ,რომ უცხოური ენების კათედრას მკაფიოდ აქვს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის და აქვს მზაობა სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეს მისცეს განმავითარებელი შეფასება ცნებასთან და მის მკვიდრ წარმოდგენასთან მიმართებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლის კურიკულუმი შეიქმნა იმ პრინციპების გათვალისწინებით, რომ მოსწავლეს მეხსიერებაში ხანგრძლივად, მკვიდრი წარმოდგენებს სახით დარჩეს ის ნასწავლი ინფორმაცია. გასაუბრების შედეგად დადასტურდა რომ პედაგოგებს მკაფიოდ აქვთ გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებსა და საკვანძო შეკითხვებს შორის.
ესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

2023-2024 წლის საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული და წინა წლებში განხორციელებული კომპლექსური დავალებები მიემართება საკითხების და ქვეცნებების სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებთან დაკავშირებისკენ. მოსწავლის მიერ შესასრულებელი კომპლექსური დავალებაში ხაზგასმით წარმოსადგენ კრიტერიუმებს მატრიცაში მითითებული აქვს თუ რომელი სამიზნე ცნების კერძოდ რომელ მკვიდრ წარმოდგენას გამოუმუშავებს მოსწავლეს გრძელვადიან პერსპექტივაში. ასევე საკითხის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენების სფეროების გააზრების საშუალებასაც იძლევა.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

- ✓ **ესთეტიკური აღზრდა**

სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება I-VI) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), შორის. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპლექსური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნებების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია

- ✓ **ტექნოლოგიები**

მტკიცებულებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმებში , სამიზნე ცნებები არის მთავარი ორიენტირი, რომელსაც სწავლა სწავლების პროცესი მიემართება . სამიზნე ცნებებს აზუსტებს მკვიდრი წარმოდგენები და ქვეცნებები. შუალედური მიზნები განისაზღვრება კომპლექსური ბუნების დავალების სახით, რომელსაც მივყავართ გრძელვადიან მიზნებამდე. მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას და საგნობრივ საკითხებს შორის. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებელს აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის სწორად წარმართვისა. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. აღნიშნული ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

- ✓ სპორტი

სკოლის ფიზიკური აღზრდის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნებების და მათი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნოვრივ საკითხებზე დაყრდნობით. მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს, განიხილება კონპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს.

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას**

- ✓ სახელმწიფო ენა

ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებითი საფეხურის დოკუმენტაციის შესწავლისას იკვეთება, რომ სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო- ემოციურ განვითარებაზე. წარმოდგენილ დოკუმენტში ,, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები“ დასახელებულია სხვადასხვა აქტივობა , რომლებსაც მიმართავს სკოლა ამ მიმართულებით, ესენია: კლასგარეშე ღონისძიებები, სადაც ყველაზე მეტად ხდება მოსწავლეთა დამეგობრება, ღიაობა, მზადყოფნა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სხვათა დასახმარებლად, სასწავლო - შემეცნებით ექსკურსიები, ასევე დისკუსიები/დებატები, სასკოლო/საკლასო ესეების კონკურსი, ნახატების კონკურსი, სპორტული შეჯიბრებები, საინტერესო, ცნობილ და პოპულარულ ადამიანებთან შეხვედრები, პროექტები. კინოსეანსის ჩვენებები და შემდეგ მათი განხილვები, მოსწავლეთა განწყობის ასამაღლებლად. ამას გარდა , სკოლას შემუშავებული აქვს ,,სასკოლოგარემოსთანადაპტაციის მექანიზმები" პირველკლასელთათვის, რომელშიც კარგად ჩანს თუ როგორ განსაკუთრებული მნიშვნელობას ანიჭებენ სკოლაში შემოსვლის დღიდან მოსწავლეთა ფსიქო- ემოციურ განვითარებას და როგორ ზრუნავენ, რომ შექმნან მათთვის შესაბამისი გარემო. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ზუსტად აღნიშნულ პერიოდში ჩამოყალიბებული დამოკიდებულებები და ღირებულებები განსაზღვრავს ბავშვის მთელი სასკოლო ცხოვრების ხასიათს, იმას, თუ რამდენად საინტერესო და მიმზიდველი იქნება მისთვის სკოლა და სწავლა.

<u>**ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია**</u>

- ✓ ათემატიკა

გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ სასწავლო რესურსები არის ისე შერჩეული, რომ მოხდეს მოსწავლეთა ჩართულობა რაც იწვევს ემოციურ სტაბილურობას, გაკვეთილზე წახალისებულია თითოეული მათგანის პასუხები მცდარიც რომ იყვეს და ემოციური სტრესისგან დაცულია საწავლო გარემო, გაკვეთილზე ყურადღება არ მახვილდება კონკრეტულ სოციალურ განმასხვავებელ ფაქტორებზე, არამედ ფსიქოსოც განვითარებაზე.

- ✓ **უცხოური ენა**

წარმოდგენილი კურიკულუმიდან და კათედრის ოქმიდან ირკვევა, რომ კათედრა ახორციელებს კომპლექსური ტიპის დავალებებს და დიდ დროს უთმობს პროექტებით სწავლებას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების საკითხები, იდეები და პირობები ხელს უწყობს მოსწავლეების მხრიდან სხვადასხვა სახის პროდუქტის შექმნას. ამ პროდუქტზე მუშაობის პროცესში ხშირად მოსწავლეს უწევს თანამშრომლობა თანატოლებთან, ხდება თვითშეფასება და ურთიერთშეფასება, რა დროსაც ვითარდება კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, მოსწავლეს უჩნდება თვითრეფლექსიის უნარები, სოციალური ურთიერთობებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები. ინტერვიუს შედეგად დადგინდა ,რომ კათედრას აქვს გამოცდილება კლასგარეშე აქტივოებების, ექსკურსიების, პროექტების , არაფორმალური აქტივობების დაგეგმვის და განხორციელების გამცდილება რაც თავისთავად მოსწავლისგან მოითხოვს ფსიქო-ემოციურ ჩართულობას და ხელს უწყობს პიროვნულ ზრდის და განვითარების პროცესს. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მეთოდოლოგიის დოკუმენტში ვკითხულობთ , რომ განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს საინტერესო და მრავალფეროვანი პროექტებით სწავლებას,პროექტები შესაბამისობაშია მდგრად განვითარების მიზნებთან და მოსწავლეებთან ინდივიდუალური მიდგომით მათში 21-ე საუკუნის შესაბამისი უნარების განვითარებას უწყობს ხელს ასევე სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და პატრიოტულ სულისკვეთების ჩამოყალიბებას.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

პროექტებით სწავლებისას მოსწავლეთათვის დავალების შექმნის დროს გათვალისწინებულია მოსწავლის განწყობა და მზაობა თემის მიმართ. რაც საშუალებას აძლევს მას დააფიქროს საკუთარ აზრებზე, ინტერესებსა და გრძნობებზე, ემოციების გამოხატვისას გაითვალისწინოს საზოგადოებისთვის მისაღები ფორმები, შეძლოს თანამშრომლობა , სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებთან გამკლავება, პრობლემის ეფექტურად გადაჭრა.

<u>ესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია</u>

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

ბუნებისმეტყველების მატრიცები მოწავლის ინტერესთა სფეროს გათვალისწინებითაა შექმნილი, ემსახურება მოსწავლის, როგორც ერთი მოქალაქის პიროვნული პასუხისმგებლობის გამომუშავებას ბუნების დაცვის, უსაფრთხოების ასპექტებში. ასევე ითვალისწინებს სოციალური უნარების; კომუნიკაციის, კოლაბორაციის, ემფატიის და სხავ უნარების გამომუშავებას.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

- ✓ **ესთეტიკური აღზრდა**

დაწყებითი საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება I-VI) ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი ორიენტირები, თემები კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე მოსწავლეებს ნამუშევრის შექმნისას უწევთ თვითგამოხატვა, მუსიკალური ნაწარმოების მოსმენისას და მსჯელობისას უწევთ საკუთარი ემოციებზე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გრძნობებზე დამოკიდებულებებზე მსჯელობა. სკოლის ბაზაზე არსებობს მუსკალური ანსამბლი „ ფესვები', რომელიც აქტიურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიებებში როგორც სკოლის, ასევე რაიონულ მსაშტაბით. ეს კი მოსწავლეებში ხელს უწყობს პიროვნული/ ფსიქო-სოციალური უნარების განვითარებას. მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ ინდიკატორთან შესაბამისობა- საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

<u>ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია</u>

- ✓ **ტექნოლოგიები**

მტკიცებულებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული კომპლექსური დავალებები მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. მასწავლებელთან ინტერვიუსას გამოიკვეთა , რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები. სწავლების პროცესში მოსწავლეს შესაძლებლობა აქვს ამოიცნოს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად, გამოხატოს ემპათია (თანაგრძ ნობა) სხვების მიმართ,დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა და გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს. ამსათან განხორციელებული ერთ-ერთი პროექტის მიზანი ,, ციფრული ისტორია" , ხელს უწყობს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

<u>აღნიშნული ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

- ✓ სპორტი

კურიკულუმებში წარმოდგენილი ფიზიკური აქტივობები ემსახურება მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. გასაუბრების საფუძველზე გამოჩნდა, რომ ბავშვები მონაწილეობას ღებულობნ სასკოლო ფესტივალებში, მხიარულ სტარტებში, მოძრავ თამაშებში. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლების სხვადასხვა მეთოდი (თეორიული, პრაქტიკული) და კურიკულუმებში გაწერილ თემებზე დართული ელექტრონული რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

- ✓ სახელმწიფო ენა

ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებით საფეხურზე მნიშვნელოვანია როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები. კათედრის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები მიემართება კომპლექსურ დავალებებს და უზრუნველყოფს სამართლიან, ობიექტურ, ვალიდურ და გამჭირვალე შეფასებას. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სკოლამ ვერ წარმოადგინა, თუმცა პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ყოველთვის ობიექტურად იყენებენ მათ და და გამოთქვეს მზაობა რუბრიკებში წარმოადგინონ შეფასების კრიტერიუმები ახალი სასწავლო წლისთვის.

<u>ინდიკატორი 2.2.2.4. დაკმაყოფილებულია</u>

- ✓ ათემატიკა

მოწოდებული შეფასების რუბრიკები იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლაში მათემატიკის მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლეთა მრავალმხრივ შეფასებაზე, რათა გათვალისწინებულ იქნას ყველა მნიშვნელოვანი დეტალი რომელიც დაეხმარება მიმდინარე პროცესების სრულ ანალიზში და იმის გამოკვეთაში თუ რა მიმართულებით სჭირდება მოსწავლეს განვითერება და რა უნდა დაკმაყოფილდეს იმისათვის, რათა მოსწავლეთა შედეგებმა წინ წაიწიოს.

- ✓ **უცხოური ენა**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის ნარატივში ჩანს სკოლის სწორი ხედვა შეფასების სისტემის თვალსაზრისით. უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში არ არის ჩაშნებული და არ ჩანს შეფასების პრაქტიკული ნიმუშები, ხერხები, სტრატეგიები, რუბრიკები , თუმცა , რადგან აღნიშნული კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებების მართებული იდეები და კათედრასთან გასაუბრებისას მასწავლებლებმა წარმოაჩინეს გამოცდილება, ცოდნა განმავითარებელი და განსაზღვრელი შეფასებების კუთხით, ვთვლი, რომ უცხოური ენების კათედრა გამოხატავს მზაობას გამოიყენოს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შეფასების აუცილებელი კომპონენტები: დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით (ჰოლისტური) და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს: პრესტრუქტურულს, უნისტრუქტურულს, მულტისტრუქტურულს, მიმართებით და აბსტრაქტულ დონეებს.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

მოქმედი სასკოლო კურიკულუმით სკოლის შეფასების სისტება ეფუძნება ეროვნულ სასაწვლო გეგმას.შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის ყოველდღიური პროცესის; ფოკუსირებულია ცოდნის აგებასა და გამოყენებაზე, რაც გულისხმობს შეფასების ორიენტაციას მოსწვალის შესაძლებლობების, უნარების, პოტენციალის განვითარების დინამიკაზე; შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეების საჭიროებებს, რითაც ეხმარება მათ განავითარონ ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები. არსებული შეფასება წარმოადგენს მოსწავლის პროფილის დიფერენცირებულ ანალიზის, რომელიც ავლენს მათ ძლეირ და სუსტ მხარეებს და აძლევს მოსწავლს კონსტრუქციულ უკუკაშირს იმასთან მიმართებაში თუ როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და როგორ შეიძლება იმუშავოს არსებულ გამოწვევებზე;

<u>ესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია</u>

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

შეფასების სისტემა იძლევა მოსწავლის ჰოლისტური განვითარების შეფასების საშუალებას. სკოლამ მომავალი საწავლო წლისთვის აირჩია სამკომპონენტიანი განმსაზღვრელი შეფასება და სადიაგნოსტიკო შეფასების მეოთხე ინსტრუმენტი. გარდა ამისა საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებმა წარმოადგინეს მოსწავლის ქცევაზე დაკვირვების ფურცელი, პროექტის მიმდინარეობისას ჯგუფების შეფასების რუბრიკა, განმავითარებელი შეფასების რუბრიკა სოლო ტაქსონომიით, განმავითარებელი შეფასება რომელიც სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების გამომუშავების გაზომვის საშუალებას იძლევა. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება ასრულებს შუალედურ სასწავლო მიზანს, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან (განმსაზღვრელი/განმავითარებელი) ჩანს, რომ კათედრა სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად იყენებს შეფასების ორივე ფორმას და მოსწავლეებს აფასებს მრავალმხრივად) . აღნიშნული მსჯელობების საფუძველზე საბაზო საფეხურზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

- ✓ **ტექნოლოგიები**

მტკიცებულებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით. მასწავლებელთან გასაუბრების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ შეფასება ორიენტირებულია არამარტო მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენაზე საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში, არამედ მოსწავლის წინსვლასა და განვითარების ხელშეწყობაზე. მასწავლებელი გასაუბრების დროს აღნიშნავს, რომ სასწავლო პროცესში იყენებს როგორც განმავითარებელ , ასევე განმსაზღვრელ შეფასებას შესაბამის საგნობრივ საკითხთან მიმართებით.ასევე მასწავლებელს შემუშავებული აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებასთან მიმართებით. გარდა ამისა მტკიცებულების სახით წარმოდგენილ 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო გეგმაში არის ჩანაწერი თუ როგორია სკოლის ხედვა შეფასების პროცესთან მიმართებაში (განმსაზღვრელი/განმავითარებელი). აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

<u>აღნიშნული ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

- ✓ სპორტი

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპზე მასწავლებლები იყენებენ მხოლოდ ზეპირსიტყვიერ შეფასებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც საჭიროებს დახვეწას და რომლის მზაობასაც გამოხატავს სკოლა. ასევე, ჰოლისტური განვითარების მხარდასაჭერად მნიშვნელოვანია მოსწავლეების საკუთარ ცოდნაზე დაფიქრება. ამისათვის მასწავლებლები აპირებენ შეფასების სავადასტვა ინსტრუმენტების გამოყენება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

4. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ სკოლა სრულად იზიარებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ შეფასების პრინციპებს, მეთოდებს, მოსწავლის შეფასების მიზანს, შეფასების ტიპებს, აკადემიური მიღწევის დონეებს და საგნის სემესტრული ქულის შემადგენელ კომპონენტებს, განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობებს, სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულის გამოანგარიშების წესებს, კლასისა და საფეხურის დაძლევას, გაცდენებს და შეფასებას, გამოცდის ტიპებს, მოსწავლის აკადემიური მიღწევებს. სკოლა ირჩევს შეფასების სამ კომპონენტიან სისტემას. დაწყებით საფეხურზე 1-4 კლასში განმავითარებელი შეფასება, მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან და მე-6 კლასში განმსაზღვრელი შეფასება. კათედრებმა წარმოადგინეს შეფასების რუბრიკები სხვადასხვა კომპლექსური ტიპის დავალებების შესაფასებლად. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები იძლევა მოსწავლს მიუკერძოებლად შეფასების საშუალებას, არის ვალიდური (აფასებს ზუსტად იმას, რის შეფასებაც არის განზრახული), გამჭვირვალობის მიზნით კი მასწავლებლები წინასწარ გააცნობენ მათ მოსწავლეებს.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლას 2023 წლის N56 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი, აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით პედაგოგიური კოლექტივიდან შეირჩევა 2 წევრი, რომლებიც ყოველწლიურად შეიცვლებიან და რომლებიც მონიტორინგს გაუწევენ მოსწავლეთა შეფასებას, სემესტრში ერთხელ წარადგენენ დასკვნას განხორციელებული საქმიანობის შესახებ. დასკვნის საფუძველზე სკოლა, შეადგენს ვერიფიკაციის სამოქმედო გეგმას. სადაც სრულყოფილად აისახება ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა რის განხორცილებასაც აპირებს სემესტრის ბოლოს წარდგენილ დასკვნაში ასახული პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად. სამოქმედო გეგმაში ასევე ასახული იქნება: განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი.

<u>ინდიკატორის მოთოვნა შეფასდა როგორც შესაბამისი</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

პედაგოგებთან/დირექციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ხდება მათი აღრიცხვა და შენახვა, ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით და სკოლის საქმისწარმოების დებულების მიხედვით დადგენილი ვადით. სკოლის საქმისწარმოების დებულებით ასევე განმარტებულია, რომ ყველა დოკუმენტი, რომელიც იწარმოება სკოლაში ინახება 3 წლის ვადით და შემდეგ გადადის არქივში.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ტექნოლოგიები

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმები;
- 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- პროექტები „ მცენარეული საკვები“ და ,, ციფრული ისტორია”;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები : ზოგადი (გასასვლელი ბილეთი) და VI კლასის მათემატიკის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა სამიზნე ცნებებთან მიმართებით ;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ზოგადი;

სთეტიკური აღზრდა

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმები;
- თემატური მატრიცა- „ეზოს მაკეტი“;
- მასწავლების გაკვეთილის რეფლექსია სახვით და განოყენებით ხელოვნებაში -„ეზოს მაკეტი“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ინკლუზიური განატების სამოქმედო გეგმა 2022-2023წ;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2022-2023წ;
- მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- დაწყებითის შეფასების რუბრიკა ახალი (მუსიკა);
- მუსიკა- შეფასების რუბრიკა დაწყებითი;
- დისკუსიის შეფასება ;
- მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი;
- მოსწავლის ნამუშევრის შეფასების რუბრიკა.

✓ სახელმწიფო ენა
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო
- შეფასების რუბრიკები

✓ მათემატიკა
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო
- შეფასების რუბრიკები

✓ **უცხოური ენა**
- უცხოური ენები კათედრის სხდომის ოქმი;
- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- კურიკულუმები;
- ვერიფიკაციის მექანიზმი სასკოლო სივრცეში.

✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო
- შეფასების რუბრიკები

✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი;
- შეფასების რუბრიკები;
- მოსწავლის ნაშრომები.

✓ სპორტი
- კურიკულუმები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო**

სკოლაში ყველა მოსწავლისთვის შექმნილია კეთილგანწყობილი, სასურველი და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემო. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები და სასწავლო პროცესში დაგეგმილი დიფერენცირებული მიდგომები საშუალებას აძლევს მოსწვალეებს პიროვნული ზრდისთვის, მოსწავლის ჰოლისტური შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და მხარდამჭერი სასწავლო პროცესის მაჩვენებელია. სსსმ მოსწავლეებისათვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც ისგ ჯგუფის მიერ პერიოდულად გადაიხედება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება. სკოლაში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის მოსწავლეები თავისუფლად ამყარებენ კომუნიკაციას ერთმანეთთან. ამაზე მოწმობს სკოლის შიდა სასკოლო აქტივობები, ღონისძიებები და პროექტები. სკოლაში აქვთ იდეათეკის კაბინეტი, სადაც მოსწავლეების იდეებს ფრთები ესხმევა პროექტების სახით.
<u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად და მოიცავს საგაკვეთილო და არასაგაკვეთილო აქტივობებს, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესების სფერო. კურიკულუმის ჩარჩოებში მითითებულ მატრიცებში ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული დავალებები, მოსწავლეებს ეძლევათ ისეთი დავალები, სადაც საბოლოო შედეგის/პროდუქტის არჩევანის **საშუალ**ება აქვთ. სკოლის/მასწავლებლების მიერ დაგეგმილ მრავალფეროვან აქტივობებში გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესებისა და შესაძლებლობების სფერო. განსაკუთრებით მოსწავლეზე ორიენტირებულია ის სასწავლო, ინტეგრირებული პროექტები, სადაც მოსწავლეები საკუთარი სურვილთ ერთვებიან

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას

სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ერთობლივად ძიება. სხვა საგნობრივ კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის სხვადასხვა პერსპექტივიდან ჩართვას კურიკულუმის შემუშავებაში. სასწავლო პროცესი დაფუძნებულია თანამშრომლობით კულტურაზე და ჯანსაღ კომუნიკაციაზე, მასწავლებლები მოსწავლისთვის აღიქმება როგორც უფროსი მეგობარი. კათედრის ოქმებში იკითხება კათედრის წევრების შეთანხმებული მუშაობა კურიკულუმის დაგეგმვა შესრულებისას. კოლეგები ერთმანეთს უზიარებენ წარმატებულ გამოცდილებას და აქვთ კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი. ასევე ჩანს ლიდერ მასწავლებელთა მუშაობა კოლეგებთან. დამრიგებლის მშობელთან კრებების ოქმებში და სასკოლო ღონისძიებებში ასახულია მშობლების ჩართულობა სასწავლო ღონისძიებებში.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. სკოლის ფოიეებში და საკლასო ოთახებში მოწყობილია საგამოფენო სივრცეები, სადაც მოსწავლეთა ნამუშევრებია განთავსებული. **კლასის დამრიგებლებს მუდმივი ზრუნვის საგანია პოზიტიური კლიმატის შენარჩუნება კლასის დონეზე, რაც თავისთავად შემდგომ პოზიტიურ ასახვას ჰპოვებს სკოლის დონეზეც.** სკოლაში ფუნქციონირებს ცეკვის და სიმღერის ანსამბლები, ინგლისურის კლუბი, რომლებიც სკოლაში ქმნიან პოზიტიურ კლიმატს.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტები;**
- **კომპლექსური დავალებები;**
- **სასწავლო პროექტები;**
- **კათედრის ოქმები.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზესაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

სკოლას განსაზღვრული აქვს მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება. მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ, განუყოფელ ნაწილს. კურიკულუმის განვითარება თავისთავად წარმოადგენს ციკლურ პროცესს, პირველ რიგში ხდება მისი დაგეგმვა, რასაც მოსდევს განხორციელება და მონიტორინგი /შეფასება გადაგეგმვა. სკოლის არსებული პრაქტიკა და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია იძლევა საშუალებას ვთქვათ, რომ მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლაში მოქმედებს კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭრის ჯგუფი, ლიდერ მასწავლებლეთა სასწავლო ჯგუფები. თითოეული წარმოდგენილი ჯგუფი ახდენს საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებას და შედეგების ანალიზს, დაკვირვების შედეგები განიხილება მასწავლებელთან ერთად და გაიცემა რეკომენდაციები მათი შესაძლებლობების გასაძლიერებლად. სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიან აამოქმედოს ასევე მოსწავლეთა სადიაგნოსტიკო შეფასების სისტემა, რომლის მთავარი მიზანია ერთის მხრივ მოსწავლეებთან არსებული მუშაობის გამოწვევების და მეორეს მხრივ მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა, რათა სასწავლო პროცესში მოხდეს მათი გათვალისწინება.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა/მასწავლებელთა/სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსის შეფასების მთავარი მიზანი მოსწავლეთა დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში, მათი სასწავლო შედეგებზე თვალის მიდევნებას და დინამიკის განსაზღვრას ემსახურება. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ შესაბამისი კათედრის წევრები ერთად მსჯელობენ, გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი გამოწვევების დასაძლევად.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის ოქმები;
- ლიდრ მასწავლებელთა ანგარიშები;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭრის ჯგუფი,

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლა ცდილობს მოსწავლის შეფასება იყოს მრავალმხრივი და შესაბამისად იყენებს შეფასების მრავალფეროვან წყაროებს. კერძოდ, მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკების (განმსაზღვრელი, განმავითარებელი) ანალიზით ხდება მოსწავლის აკადემიური მოსწრების დინამიკაზე დაკვირვება, ხოლო მოსწავლეთა ინტერესებზე, მათ არასასკოლო აქტივობებში ჩართულობაზე ინფორმაციას აგროვებს დამრიგებელი, სკოლის მიერ დაგეგმილ არაფორმალურ აქტივობებსა და პროექტებში მონაწილეობაზე მოსწავლესთან დაკავშირებული ინფორმაცია თავს იყრის შესაბამის აქტივობების/პროექტების ხელმძღვანელთან რაც ერთობლივად წარმოადგენს მოსწავლის ჰოლისტურ დახასიათებას. მოსწავლეთა შეფასებისათვის ეფექტიანად გამოიყენება განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც სამიზნე ცნებებს მიემართება

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლა ცდილობს მოსწავლე შეაფასოს სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით, ვინაიდან აღიარებს, რომ მოსწავლის პროდუქტულობაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი.

მასწავლებლები მოსწავლეებს აკვირდებიან საგაკვეთლო პროცესში, მათთვის საინტერესო დავალებებზე მუშაობის დროს, იკვლევენ მოსწავლის მოტივაციის გამომწვევ ფაქტორებს, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის დროს, დამრიგებლები მოსწავლეებისა და მშობლებისგან აგროვებენ ინფორმაციას მოსწავლის ინტერესებსა და მოსწავლის თავისუფალი დროის მართვაზე. მოსწავლის ქცევას სკოლაში, საკლასო ოთახსა და სკოლის ეზოში, აკვირდება დამრიგებელი.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

სკოლა აღიარებს, რომ შეფასების ვალიდურობა დამოკიდებულია ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორზე, მათ შორის მონაცემთა შეგროვების წყაროების მრავალფეროვნებაზე. მოსწავლის უნარისა და შესაძლებლობების შესწავლისას მნიშვნელოვანია ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების ერთობლივად გამოყენება რაც ერთის მხრივ შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და მეორეს მხრივ აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. სკოლა მოსწავლეთა შეფასებისას იყენებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

როგორც დაკვირვებას მოსწავლის განვითარების დინამიკაზე (განმავითარებელი შეფასების შედეგების ანალიზი), ასევე განმსაზღვრელი (საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი) და სადიაგნოსტიკო შეფასების მონაცემებს.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.
სკოლა მიზანად ისახავს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას, გამომდინარე აქედან შეფასებასაც გეგმავს ჰოლისტურს, რათა წარმოაჩინოს ბავშვის ემოციურ-სოციალურ-კოგნიტური განვითარების პროცესი, გაითვალისწინოს მოსწავლის ფსიქო - სოციალური, ფიზიკური, გონებრივი შესაძლებლობები
სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (საგნობრივი კურიკულუმები, კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია) იკითხება, რომ მოსწავლის შეფასებისას მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ ფაქტორებს, მათ ინტერესებს. სკოლისთვის მნიშვნელოვანია დაადგინოს თუ რამდენად მონაწილეობენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა და/ან უშლიდა ხელს მათ ჩართულობას აღნიშნულ პროცესში.
ამრიგად მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს როგორც მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ შიდა ფაქტორებს ასევე გარე მამოტივირებელ ფაქტორებს.

.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- დიფერენცირებული დავალებები;
- დამრიგებლის პორთფოლიოები;
- სადამრუგებლო გეგმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი

სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხდვით, სკოლა ახდენს არსებული კურიკულუმის დანერგვის სისტემატურ დაკვირვებას/შესწავლას, გამოწვევების იდენტიფიცირებას და წლის ბოლოს მისი რეფლექსიას. კათედრები თვალყურს ადევნებენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კურიკულუმის განხორციელებას შესაბამის საგნობრივ ჯგუფებში, განიხილავენ წინა სასწავლო წლის კურიკულუმს, კომპლექსურ დავალებებს და მომავალი სასწავლო წლისთვის განვითარებულ, მოდიფიცირებულ ვარიანტს ადგენენ. ვერიფიკაციი მექანიზმის მიხედვით კი, სკოლა გამოყოფს შეფასების ვერიფიკაციაზე პასუხისმგებელ პირებს, რომლებიც გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე ზრუნავენ.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

სკოლა მონიტორინგსა და შეფასებას განიხილავს როგორც კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელ ნაწილს.
სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია და გულისხმობს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ფაზებს. დოკუმენტის მიხდვით კურიკულუმის შემუშავებაში აქტიურად იქნება ჩართული მასწავლებელი, მოსწავლე და მშობელი. სკოლა გეგმავს მშობელთა გამოკითხვას სასწავლო წლის დაწყებამდე და სასკოლო კურიკულუმში მშობელთა მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების ასახვას.
სკოლამ ექსპერტებს ვიზიტისას წარმოუდგინა წინა სასწავლო წელს განხორციელებული კურიკულუმები და მათი განხორცილების/დანერგვის პროცესში გამოვლენილი გამოწვევები და შედეგად შემუშავებული გაუმჯობესების გზები, რაც გათვალისწინებული აქვთ 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2022-2023 სასწავლო წლის კურიკულუმი;
- 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმი;
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხურის კურიკულუმი	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით მის შემუშავებაში, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აქტიურად იქნება ჩართული სასკოლო საზოგადოება. სასკოლო საზოგადოებას მიეცმა იმ ფაქტორების/სასწავლო პრაქტიკის გამოკვეთის საშუალება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოსწრების გაუმჯობესებას. სკოლის მიერ, სასკოლო საზოგადოებას, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გაეგზავნება კითხვარი, რომლის მიხედვითაც დადგინდება მათი ინტერესები და პრიორიტეტები. მასწავლებლები დამრიგებლების საშუალებით, მშობლებს მიაწვდიან კომპლექსური დავალების ბარათებს, რათა ისინი იცნობდნენ, თუ რა კომპლექსური დავალება აქვთ შესასრულებელი მათ შვილებს და რა მიზნისა და უნარების განვითარებას ემსახურება ის. რაც შეეხება მასწავლებლებს, კურიკულუმი იგეგმება მათი თანამშრომლობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტის, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის, მიხედვით კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები და სკოლის ფილოსოფია, კურიკულუმის შემადგენელი სტრუქტრული ერთეულები, კურიკულუმის დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები. მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტები.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2 კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

სკოლის მიერ წარმოდგენილი „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ ითვალისწინებს მასწავლებელთა სამუშაო ჯგუფების/კათედრების მიერ სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციას და კომუნიკაციის შედეგად მიღებულ უკუკავშირებზე დაფუძნებით სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავებას, რომელიც გათვალისწინებული იქნება ყოველი ახალი სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების პროცესში. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულების მიერ მომავალი სასწავლო წლისათვის შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში უკვე ასახულია სასკოლო თემის ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. კურიკულუმების შემუშავების პროცესში მასწავლებლებმა გაითვალისწინეს მოსწავლეთა შესაძლებლობები და საჭიროებები, რაც დაადგინეს მათი გამოკითხვის საშუალებით და გამოკითხვის შედეგების შესაბამისად დაგეგმეს ახალი სასწავლო წლიდან ყველა კლასში კომპლექსური დავალებების განხორციელება. მასწავლებლები უკვე მუშობენ მოსწავლეებისთვის საინტერესო კონტექსტ-მაგალითებზე. ამრიგად, შეიძლება ვთქვათ, რომ სასკოლო საზოგადოების ინტერესები აისახება კურიკულუმში.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლაში დამკვიდრებულია თანამშრომლობითი კულტურა. კათედრის შიგნით მასწავლებლების თანამშრომლობით იგეგმება საგნობრივი კურიკულუმები. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლა ვალდებულებას იღებს ასევე, რომ უზრუნველყოს მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. სასკოლო სასწავლო გეგმა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რომელიც მოიცავს ასევე საგნობრივ კურიკულუმებს, არის საჯარო დოკუმენტი (გარდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა), მისი დამტკიცების პროცესი კი მოიცავს შეთანხმებას სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებას პედაგოგიურ საბჭოზე, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების მონაწილეობას მის საბოლოო ვარიანტის შექმნაში.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სასკოლო სასწავლო გეგმა არის საჯარო დოკუმენტი (გარდა მასში შემავალი ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა). როგორც კურიკულუმი შემუშავების მეთოდოლოგიიდან ჩანს კურიკულუმზე მუშაობს სასკოლო საზოგადოება, ხოლო რაც შეეხება კურიკულუმის დამტკიცებას, ის თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე, რაც ასევე უზრუნველყოფს მის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის სამოქმედო გეგმა
- სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

✓ სახელმწიფო ენა

ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო საფეხურისთვის შემუშავებული კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვასა და განვითარებას. სკოლის დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კათედრის წევრები თანხმდებიან თემატურ საკითხებზე, შეფასების ინსტრუმენტებსა და დანერგვის მექანიზმებზე. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები გვიჩვენებს, რომ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, კომპლექსური დავალებების იდეები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, სკოლის შუალედური მიზნები უკავშირდება შესაბამის სასწავლო შინაარსს.

<u>**ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია**</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

✓ ათემატიკა

საბაზო საფეხურის მოწოდებული კურიკულუმები, არის იმ ფორმით შევსებული, რომ ნაგულისხმებია 2023-2024 წელს თუ რა ქმედითი ღონისძიებები უნდა გაატაროს მასწავლებელმა, რომ შედეგი იყოს გათვლილი მოსწავლეთა განვითარების გზის კვალდაკვალ. სამიზნე ცნებები, რომელიც გრძელვადიან პერიოდში ემსახურება ცოდნათა ურთიერთ დაკვაშირებას და განზოგადებას, გვიჩვენებს თუ რა მიმართულებით უნდა გააკეთოს ორიენტირი მასწავლებელმა, კომპლექსური დავალება რომელიც არის საყოფაცხოვრებო კონტექსტის წარმოადგენს მოსწავლის ინტერესის გაღვივების, მის შემოქმედებით პროცესებში ჩართვის საშუალებას.

✓ **უცხოური ენა**

საბაზო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, კურიკულუმებში გაწერილი შუალედური მიზნები,კომპლექსური დავალებების იდეები, შესაბამისი კონტექსტ მაგალითები, საჭირო რესურსები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ, სასწავლო მასალამ ნიმუშების სახით (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები, თვითშეფასების, თანაშეფასების ხერხები, გასასვლელი და შესასვლელი ბარათები/ კითხვარები) და ინტერვიუმ მასწავლებლებთან წარმოაჩინა კათედრის სწორი ხედვა და ცოდნა სტრატეგიების, მათ შორის მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიების და ეროვნული სასწავლო გეგმის მეთოდური ორიენტირების სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების, განსაზღვრისათვის. კომპლექსური ტიპის დავალებები საბაზო საფხურზე სამიზნე ცნებად მოიაზრებს ჟანრს, ენობრივ საშუალებებს, ფუნქციურ სამეტყველო ქმედებებს და კულტურათა შორის დიალოგს. კურიკულუმები იმგვარადაა დაგეგმილი, რომ კათედრას აქვს მკაფიო ხედვა, თუ როგორ უნდა მოხდეს თითოეული სამიზნე ცნების დამუშავება, იმგვარად რომ პროცესის ცენტრალური ფიგურა იყოს მოსწავლე.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2023-2024 სასწავლი წლის სასკოლო კურიკულუმით სასწავლო პროცესი დაგეგმილია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის კონკრეტული შესაძლებლობები და ინტერესები. კურიკულუმებზე მუშაობის დროს გრძელვადიანი მიზნები და შედეგები გათვალისწინებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში ჩამოყალიბებული საგნობრივი სამიზნე ცნებების სახით.

<u>შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია</u>

✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

საბაზო საფეხურის ქიმიის და ბიოლოგიის კურიკულუმები 7-9 კლასებში შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით. პედაგოგებს გათავალისწინებული აქვთ მოსწავლეთა ინტერესების და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ჩაშენებული აქვთ კონტექსტ მაგალითები, რომლებიც ძალზედ ნაცნობი და ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენებადია. პედაგოგებმა ვიზიტისას წარმოადგინეს წინა სასწავლო წლის კურიკულუმები, რომლის რევიზიის და მოდიფიცირების საფუძველზე შექმნეს ახალი მოსწავლეზე ორიენტირებული კომპლექსური დავალებები და ჩააშენეს მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის დოკუმენტში. ფიზიკის კურიკულუმში ვერ იკითხება კონტექსტ მაგალითები და რომელ კომპლექსურს აპირებს ჩაატაროს 2023 სასწავლო წელს, თუმცა პედაგოგმა მიჩვენა წინა სასწავლო წელს გაკეთებული კომპლექსურები, რომელსაც გადაიტანს ახალ ჩაჩოში.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

✓ **ესთეტიკური აღზრდა**

საბაზო საფეხურის საგნობრივი (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. თემატური ბლოკის ფარგლებში შერჩეულია თემები, საკითხები. განხორციელებულ პროექტში მკაფიოდაა განსაზღვრული პროექტის აქტუალობა, მოსწავლეები ეცნობოდნენ/იკვლევდნენ ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებას, ასევე პროექტი ხელს უწყობდა ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ცხოვრებისეული კონტექსტების გააზრებას, რაც თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. ამიტომ, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია</u>

✓ სპორტი

ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ფიზიკური აღზრდა და სპორტი საბაზო საფეხურის 7- 9 კლასის კურიკულუმის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. კერძოდ: გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კოპლექსური დავალებები საშუალებას იძლევა მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლის მიღწევისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვას.

<u>სკოლას მიეცა რჩევა, დაამატოს თემები ოლიმპიზმის ისტორიიდან.</u>

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)**

✓ სახელმწიფო ენა

ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში კარგად იკვეთება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებთან მიმართება. შემოთავაზებული კომპლექსური დავალებების იდეები ითვალისწინებს გლობალურ ფუნქციურ უნარებს, როგორებიცაა: შემოქმედებითობა, კომუნიკაცია. კომპლექსური დავალებების განხორციელება მოსწავლეებისგან მოითხოვს კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას, თანამშრომლობას, კომუნიკაციას. მაგალითად, მე-9 კლასის კურიკულუმში წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეები - ,,მოთხრობის შექმნა“ (საკუთარი ოჯახის შესახებ, საოჯახო ალბომის საინტერესო ფოტოების მიხედვით), ,,მონოლოგის დაწერა“, ,, ინტერვიუ შერჩეულ პერსონაჟთან“ (ნიკოლოზ ბარათაშვილის ,,ბედი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზესაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქართლისას "მიხედვით) და სხვა - ხელს უწყობს ამ უნარების, როგორც პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლების, განვითარებას.

<u>ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია</u>

- ✓ ათემატიკა

კურიკულუმის შედგენის დროს იერარქიულად არის ჩაწერილი, საკითხები რომელიც მუშავდება თემის ფარგლებში, ასევე ქვეცნებები რომლის დაუფლების შემთხვევაში მოსწავლე უნდა მივიდეს მთავარ სამიზნე ცნებებთან და მათი საშუალებით ჩამოუყალიბდეს მაკრო ცნებები რომლის საშუალებითაც მოსწავლე შეძლებს გრძელვადიან პერიოდში მოახდინოს ახლად შესწავლილი საკითხის გაცოცხლება და ტრანსფერის უნარებით საყოფაცხოვრებო თუ საგანთშორისი კავშირების გზით გმოყენება, ასევე კომპლექსურ დავალებაში რომელიც იქნა მოწოდებული აღნიშნულია ისეთი კონტექსტი, რომელიც უკავშირდება ფუნქციურ კომპონენტურ 6 უნარს.

- ✓ **უცხოური ენა**

საბაზო საფეხურის კურიკულუმის შესწავლისას, ცალსახად გამოიკვათა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას და გამოიყენებენ მომავალში მათ დასახვეწად. შესაბამისად, წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩო მიემართება საგნობრივი სტანდარტის მისაღწევი შედეგების მიღწევისკენ. გარდა ამისა, კომპლექსური დავალებების პირობები, საკითხები, რესურსები ,დამატებითი რესურსები ხელს შეუწყობს და უზრინველყოფს მოსწავლეებში გლობალურ - ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება,შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, კომუნიკაცია ,მოქალაქეობა,ნებელობა.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

კურიკულუმის შედგენის დროს პედაგოგები ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და მკაფიოდ აქვთ გამოკვეთილი სამიზნე ცნებები და შედეგები, გასაუბრების დროს პედაგოგებმა წარმოადგინეს კომპექსური დავალებების პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მოსწავლეებში ისეთი გლობალურ - ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია და თანამშრომლობა.

<u>შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია</u>

✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

კურიკულუმები მიემართება გრძელვადიანი მიზნების მკვიდრი წარმოდგენების გამომუშავებას, რომელსაც კლასტერებად შეკრული საკითხების, ქვეცნებების დამუშავებით და მოკლევადიანი მიზნების შესრულების ინსტრუმენტის - კომპლექსური დავალების საშუალებით ახორციელებენ. 2023 –2024 სასწავლო წლის კურიკულუმებში მუშავდება ასევე მაკროცნება კვლევა. კვლევის ელემენტებით მოსწავლეს საკითხების სიღრმისეულ შესწავლასთან ერთად განუვითარდება გლობალურ ფუნქციური უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა .

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია</u>

✓ **ესთეტიკური აღზრდა**

საბაზო საფეხურის ჩარჩო კურიკულუმებზე დაყრდნობით ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) მკაფიოდ ჩანს რომ, სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად , თემატური ბლოკების/თემების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშირებული ქვეცნებები. თუმცა, სახვით და გამოყენებითი ხელოვნების მეშვიდე და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზესაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მერვე კლასის კურიკულუმში ზემოთ აღნიშნული სტანდარტთან შესაბამისობა დარღვეულია და კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულები სრულად არაა გააზრებული.

საბაზო საფეხურის ორივე საგნის (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმებით დასტურდება რომ, სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება განიხილება, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი, კათედრას ორივე საგნის ყველა თემატური ბლოკის ფარგლებში ახორციელებს კომპლექსურ დავალებებს. მსგავსი ტიპის დავალებების შესრულებისას მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/პრობლემის გადაჭრისას შემოქმედებითობა სჭირდება, გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო მისგან თანამშრომლობის უნარებსაც მოითხოვს, რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, მოსწავლის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს. ეროვნული სასწავლო გეგმის გზამკვლევი ხაზს უსვამს კომპლექსური დავალების როლს ამ უნარების გააქტიურებაში და მიიჩნევს, რომ თავისი ბუნებით ასეთი ტიპის დავალებები მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა იმ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი უზუსტობისა შესაძლებელია, დავასკვნათ რომ საბაზო საფეხურზე, ორივე საგანში(მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)

<u>ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია</u>

<u>კოლას აქვს მზაობა და გამოცდილება, სასურველია, სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე კიდევ გადაიხედოს კურიკულუმები და გაითვალისწინონ შემდეგი რჩევები:</u>

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

5. <u>მეშვიდე კლასში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჩარჩო კურიკულუმში წარმოდგენილი უზუსტობები უფრო ატარებს ტექნიკური ხასიათს, ამ ლოგიკით ცხრილია გასასწორებელი, რადგან საკითხები, თემები, გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, კომპლექსური დავალებები სწორადაა ფორმულირებული. გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვევით არსებული შენიშვნები :</u>

- <u>მეშვიდე კლასში არ მუშავდება სავალდებულო თემატური ბლოკი გარემო და ხელოვნება;</u>
- <u>მეშვიდე კლასის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჩარჩო კურიკულუმში პირველი თემა/საკითხი - გარემოს ასახვა ხელოვნებაში და ახალი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების ძიება, არ შეესაბამება თემატურ ბლოკს (ადამიანი</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ხელოვნებაში) და ვერ უზრუნველყოფს თემატური ბლოკის მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. ეს თემა ეკუთვნის თემატურ ბლოკს -გარემო და ხელოვნება ;

- მეოთხე თემაში/საკითხი არ შეესაბამება თემატურ ბლოკს ვერ უზრუნველყოფს თემატური ბლოკის მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას, ეს თემა/საკითხი ეკუთვნის თემატურ ბლოკს- საზოგადოება და ხელოვნება;

6. მერვე კლასის კურიკულუმი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

- სამივე თემატური ბლოკში კონტექსტ-მაგალითი არასწორადაა ფორმულირებული

7. მეცხრე კლასის ჩარჩო-კურიკულუმი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

- სასურველია კონტექსტ-მაგალითები უფრო დაკონკრეტდეს კომპლექსური დავალების პირობასთან და სამიზნე ცნებებთან მიმართებით

მუსიკა

- მეცხრე კლასში კურიკულუმით მასწავლებელს განსაზღვრული აქვს სამი თემა, რომელიც ჩაშლილია რამდენიმე საკითხად. ამასთან, წლის განმავლობაში დაგეგმილი აქვს ექვსი კომპლექსური დავალების განხორციელება. მეცხრე კლასში საათობრივ ბადით განსაზღვრული საათები მსგავის დაგეგმვის განხორციელების საშუალებას არ იძლევა. ამ მჯელობის გათვალისწინებით საჭიროა გადაიხედოს მეცხრე კლასის მუსიკის ჩარჩო კურიკულუმი.

✓ **სპორტი**

საბაზო საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. უნდა შესწორდეს სასწავლო რესურსებში მითითებული ლინკები (არ იხსნება).

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს**

✓ სახელმწიფო ენა

სასწავლო პროცესისას სკოლა ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. იკვეთება კონკრეტულ მოსწავლეთა საჭიროებებზე, ინტერესებსა და შესაძლებლობებზე ორიენტირება. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ ეს საკითხი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პრიორიტეტულია და სკოლის მართვის პოლიტიკაა თვალყური ადევნოს სსსმ მოსწავლეთა ინდ გეგმების შემუშავებას. მართალია, სკოლამ საბაზო საფეხურზე ვერ წარმოადგინა ადაპტირებული კომპლექსური დავალებების ნიმუშები სსსმ მოსწავლეთათვის, თუმცა პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ კათედრის წევრებს ყველა საფეხურზე აქვთ ერთიანი ხედვა და ყოველთვის ითვალისწინებენ როგორც დავალების პირობის, ისე აქტივობების მორგებას მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებებზე.

<u>ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია</u>

- ✓ ათემატიკა

სანიმუშოდ მოწოდებული კომპლექსური დავალება შედგენილია იმ ფორმით რომ მასში გათვალისწინებულია ტიპური განვითარების მოსწავლის ჩართულობა სასწავლო პროცესში, ასევე გასაუბრებაზე აღინიშნა რომ ისინი იყენებენ სხვადასხვა აქტივობებს კლასში რათა შეიქმნას ინკლუზიური გარემო სსსმ მოსწავეთა ჩართულობით, უნდა აღინიშნოს რომ ამ მიმართულებით მათ წარმოადგინეს დოკუმენტური მასალაც, სადაც მკვიდრი წარმოდგენები არის შეკვეცილი ასევე საკითხები და კომპლექსური დავალება მოდიფიცირებული.

- ✓ **უცხოური ენა**

სკოლას აქვს წარმოდგენილი ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა და ისგ სადაც ჩანს სასკოლო საზოგადოების გამოცდილება, ჩართულობა, თანამშრომლობა და სწორი ხედვა ამ მიმართულებით. რაც შეეხება უცხოური ენების კათედრას და საბაზო საფეხურს, წარმოდგენილ კურიკულუმების ჩარჩოში არ ჩანს დიფერენცირებული მიდგომა. თუმცა კომპლექსური დავალებების თემატიკა და შინაარსი იძლევა მოდიფიცირების საშუალებას. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა წარმოაჩინეს ცოდნა და ისაუბრეს დიფერენცირებული სწავლების საკუთარ გამოცდილებაზე და მეთოდებზე, აგრეთვე დეფერენცირების მნიშვნელობაზე, დავალებების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შინაარსის, პროდუქტის დიფერენცირების სტრატეგიებზე და წარმოადგინეს ნიმუშები საკუთარი პრაქტიკიდან , რაც უმეტესწილად აკმაყოფილებს ამ კომპონენტს. კათედრამ გამოხატა მზაობა კურიკულუმების დახვეწის თვალსაზრსით ამ მიმართულებით.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

წარმოდგენილი კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწვალის ინტერესებს, მის გამოცდილებასა და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას; საგნის შედეგები და სამიზნე ცნებები განსაზღვრულია საფეხურის და არა კონკრეტული წლის ან თემის ფარგლებში. შედეგებზე განგრძობითად, მთელი საფეხურის მანძილზე, მიმდინარეობს მუშაობა; ის არ წარმოადგენს მოკლევადიან ნიშნულს, რომელიც აუცილებელი წინაპირობაა მომდევნო შედეგზე გადასასვლელად

<u>ესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია</u>

✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

სასწავლო კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც იძლევა პროდუქტის წარდგენის ფორმის არჩევის საშუალებას, გათვალისწინებულია მოსწავლეთა მზაობის და მათი ინტერესის სფეროს შესაბამისი აქტივობები.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია</u>

✓ **ესთეტიკური აღზრდა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით საგნების (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, შერჩეულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი. კომპლექსური დავალებებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იმავე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი. საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანია. სკოლას მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი აქვს 2022-2023 სასწავლო წლის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, სადაც მთელი წლის განმავლობაში გეგმავს და უწევს მონიტორინგს ინკლუზიური განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესს და ამ პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. ამ მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებელთა მიერ სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის პროცესი და მოსწავლეების მიღწევების აღწერა. დასკვნის სახით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესი საშუალო საფეხურზე ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია

✓ სპორტი

წარმოდგენილ კურიკულუმებისა და კომპლექსურ დავალებების საფუძველზე ვერ ვადგენ, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს, თუ არა დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მაგრამ, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს დიფერენცირებულ მიდგომებზე: დიფერენცირებული სწავლების პროცესისას მოსწავლეებს სთავაზობენ სწავლის იმ სტრატეგიებ, რომლის დროსაც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები და საჭიროებები. მასწავლებლების თქმით, დავალების პირობა იმგვარად აქვთ შემუშავებული, რომ სწავლა მოხდეს მათთვის ეფექტური საშუალებით.

<u>სკოლას მიეცა რჩევა, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგანში შემუშავდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სსსმ მოსწავლეებისთვის.</u>

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს

✓ **სახელმწიფო ენა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო საფეხურზე სკოლა იყენებს განმვითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს, თუმცა კათედრამ წარმოადგინა განმსაზღვრელი შეფასების მხოლოდ ერთი რუბრიკა, რომელიც საჭიროებს მოდიფიცირებას. სკოლის სასწავლო გეგმაში მკაფიოდაა გაწერილი შეფასებასთან დაკავშირებული ზოგადი საკითხები სამივე საფეხურზე. პედაგოგებს მიეცათ რეკომენდაცია შეფასების რუბრიკებთან დაკავშირებით და მათ ინტერვიუსას გამოთქვეს მზადყოფნა, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრის წევრები ერთად შეიმუშავებენ განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმებსა და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, რომლებიც შესაბამისობაში იქნება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებთან .

<u>**ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია**</u>

- ✓ ათემატიკა

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკება მიემართება გრძელვადიან მიზნებს სადაც აღწერილია თემის ფარგლებში მისაღწევი ინდიკატორები რომელიც გამომდინარეობს მკვიდრი წარმოდგენებიდან და ასრულებს მოსწავლეთა გრძელვადიან სამიზნე ცნებების შეფასების ფუნქციას, ის დახმარებას უწევს მასწავლებელს შეფასების დროს ფოკუსირებული იყოს იმ პასუხების შეფასებაზე რაც თემის ფარგლებში, ასევე კომპლექსური დავალების ფარგლებში აქტუალურია, ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ მეთოდიკური თვალზარისით იძლევა იმის აღწერილობას თუ რა დონის პასუხი შეიძლება ჩაითვალოს სასურველად.

- ✓ **უცხოური ენა**

ამ საფეხურზე სკოლა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისკენ. ხოლო განმსაზღვრელი შეფასება სამ კომპონენტიანია, ის მოიცავს საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებების შედეგებს, განმსაზღვრელ ნიშანს. უცხოური ენების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კათედრას აქვს გამოცდილება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შემუშავების და გამოყენების თვალსაზრისით ,რაც კარგად გამოიკვეთა გასაუბრების დროს(წამოადგინეს რუბრიკების ნიმუშები).
წარმოდგენილი დოკუმენტებიდან დგინდება, რომ სკოლა კარგად იცნობს და აქვს მზაობა გამოიყენოს ე.ს.გ-ით გაწერილი შეფასების სისტემა და ეფექტურად გამოიყენებს მას სასწავლო პროცესში გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლაში სწავლება და შეფასება ერთ მთლიან, გააზრებულ პროცესს წარმოადგენს. საგნობრივ კურიკულუმში ასახული შეფასების კრიტერიუმები მკაფიოა და ცალსახად მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს.

ესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

საბაზო საფეხურის ბუნებისმეტყველების პედაგოგებს ვიზიტისას წარდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით შექმნილი აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ბუნებისმეტყველების სხვადასხვა კლასებში, განმსაზღვრელი შეფასება სტანდარტის მოსწავლეთა მოლოდინებზე დაყრდნობით თვითოეულ სამიზნე ცნებაში, ხოლო განმავითარებელი შეფასება სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების გამომუშავებისთვის მოსწავლეთა მოლოდინებზე დაყრდნობით აქვთ შედგენილი. ასევე მტკიცებულების სახით აქვთ წინა სასწავლო წლებში შექმნილი კომპლექსური დავალებების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სოლო რაქსონომიების სახით. შემაჯამებელი დავალებების შეფასების რუბრიკები და შემაჯამებლის ანალიზები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

✓ **ესთეტიკური აღზრდა**

საბაზო საფეხურზე მტკიცებულებების სახით კათედრას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები/რუბრიკები, რომელებიც ეფუძნება სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და შედეგებს. მუსიკის საგანში მეშვიდე კლასში თემატური ბლოკის ფარგლებში შექმნილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, სადაც დეტალურადაა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გაწერილი სამიზნე ცნებების და თემატური ბლოკის მკვიდრი წარმოდგენებთან მიმართებით შეფასების კრიტერიუმები. სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში მტკიცებულებებში კათედრას წარმოდგენილი აქვს ზოგადი შეფასების რამდენიმე რუბრიკა. სკოლაში ვიზიტისას მასწავლებლებმა ისაუბრეს ზოგად რუბრიკებს როგორ გარდაქმნიან სამიზნე ცნებებთან, კონკრეტულ დავალებებთან, აქტივობებთან მიმართებით. ამ მსჯელობების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

<u>ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია</u>

- ✓ **სპორტი**

ამ ეტაპზე პედაგოგები იყენებენ სიტყვიერ განმავითარებელ შეფასებას, მაგრამ ინტერვიუს დროს გამოჩნდა მასწავლებლების მზაობა მომავალში გამოიყენონ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. წერილობით კომენტარები დაეხმარებათ მასწავლებლებს თითოეული ბავშვის ფიზიკურ განვითარებაზე უფრო სიღრმისეული წარმოდგენის შექმნაში და მისი პროგრესის დაფიქსირებაში.

.5 დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

- ✓ **სახელმწიფო ენა**

საბაზო საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურის კურიკულუმების დაგეგმვის პროცესი ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას და როგორც ინტერვიუსას პედაგოგებმა აღნიშნეს, ეფუძნება მისი ანალიზისას გამოტანილ დასკვნებს. ისინი სისტემატურად უზიარებენ ერთმანეთს პრაქტიკას და ერთად განიხილავენ უკეთესი შედეგების მიღწევის შესაძლებლობებს. ამის დასტურია დაწყებითი და საბაზო საფეხურების მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების შეხვედრები, რომელთა ანგარიშის ფორმები სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა.

<u>ინდიკატორი 2.1.2.5. დაკმაყოფილებულია</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

✓ **ათემატიკა**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში და მასწავლებელთან გასაუბრების დროსაც აღინიშნა რომ ახალი მასალის ახსნის წინ ხდება წინარე ცოდნის გააქტიურება რის საფუძველზედაც მოპოვებული ინფორმაციით აიგება შემდგომი სწავლა-სწავლების პროცესები, საჭიროებისდა მიხედვით ეთმობა დროის ინტერვალი იმისათვის,წინარე ცოდნა იქნას გახსენებული.

✓ **უცხოური ენა**

.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში სკოლა აპირებს სასკოლო საზოგადოებასთან კონსულტაციებით წინა წლის წარმატებული გამოცდილების გაზიარებას, სასკოლო საზოგადოების ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებას, მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებას, მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებას და პროფესიულ განვითარებას , სკოლის ინსტიტუციურ განვითარებას და ყველა ამ მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა შექმნის რეკომენდაციების პაკეტს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად;

<u>ინდკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლას ამ ეტაპზე, დაგროვილი გამოცდილების ხარჯზე, მოსწავლეთა ნაშრომების ანალიზისა და პედაგოგიური რეფლექსიებისა და გამოცდილების გაზიარების საფუძველზე 2023-2024 წლისათვის დაგეგმილი აქვს დახვეწოს სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებისა და გამოწვევების გამოვლენის მეთოდიკა, რაც გამოიხატება მასწავლებლის პედაგოგიკური პრაქტიკის შესწავლასა და გაზიარების უფრო ინტენსიურად გამოყენებაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

საბაზო საფეხურის ბუნებისმეტყველების პედაგოგები წინარე გამოცდილების (ჩატარებული კომპლექსური დავალებების, შემაჯამებლების ანალიზის საფუძველზე რომელიც კათედრის ოქმებშიც იკითხება) ერთობლივად გეგმავენ კათედრაზე მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

✓ **ესთეტიკური აღზრდა**

მტკიცებულებების სახით წარმოდგენილია 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სადაც ჩანს რომ სკოლის პრიორიტეტია სასწავლო კურიკულუმების მონიტორინგი და გაუმჯობესება. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი ჩარჩო კურიკულუმებში ორივე საგანში (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა) გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. მასწავლებლებმა განხორციელებული კომპლექსური დავალებები შეიტანეს მომავალი წლის სასწავლო პროცესში. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კათედრას საბაზო საფეხურზე დაგეგმვის პროცესში აქვს გათვალისწინებული წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია

✓ **სპორტი**

წარმოდგენილი კურიკულუმიებიდან არ ჩანს, მაგრამ ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ვთქვათ, რომ მასწავლებლები ყურადღებასაქცევენ წარმატებულ გამოცდილებას, წინარე ცოდნას და ორიენტირებულები არიან შედეგების გაუმჯობესებაზე. მაასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ მომავალში ჩაატარონ უფრო სიღრმისეული წინარე გამოცდილების ანალიზი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

✓ სახელმწიფო ენა

- კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკა;
- სკოლის სასწავლო გეგმა.

✓ მათემატიკა

- კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკა;
- სკოლის სასწავლო გეგმა.

✓ უცხოური ენა

- 7-9კლასების კურიკულუმები;
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა 2022-2023;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა 2022-2023;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

- კათედრის ოქმი;
- შეფასების რუბრიკები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ფიზიკის, ქიმიის ბიოლოგიის საგნობრივი კურიკულუმები 7-9 კლასებში.

✓ ესთეტიკური აღზრდა

- აბაზო საფეხურის საგნობრივი (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმები;
- თემატური მატრიცა- „ეზოს მაკეტი“;
- მასწავლებლის გაკვეთილის რეფლექსია სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში -„ეზოს მაკეტი“;
- ინკლუზიური განათების სამოქმედო გეგმა 2022-2023წ;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2022-2023წ;
- მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- დისკუსიის შეფასება ;
- მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი;
- მოსწავლის ნამუშევრის შეფასების რუბრიკა;
- 7კლ. განმავითარებელი შეფასება (მუსიკა);
- ანმსაზღვრელი შეფასება - 7კლ.

✓ სპორტი

საგნობრივი კურიკულუმები;

კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

✓ სახელმწიფო ენა

საბაზო საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, აქტიურად ჩაერთონ შემოქმედებით პროცესში. ამის მაგალითია კომპლექსური დავალებების იდეები. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტურად არაა აღწერილი მათი განხორციელების პროცესი, მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ კარგად იციან კომპლექსური დავალებების შედგენაც და მისი განხორციელებაც, შესაბამისად, მზად არიან მომდევნო სასწავლო წლისთვის მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობას შეუწყონ ხელი.

<u>ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

✓ ათემატიკა

მოსწავლეთა შომოქმედებითი პროცესებში ჩართულობის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი სადაც მოკლე აღწერილობაში კომპლექსური დავალების იდეა, ნათლად აჩვენებს თუ რა პროცესების მონაწილე გახდება მოსწავლე, მან უნდა იმუშავოს თემის ფარგლებში იმ ღონისძიებების გატარებაზე რაც მას დაეხმარება საკითხებზე დაფუძნებით ეძებოს ახალი იდეები, საკითხს მიუდგეს ორიგინალურად სადაც გამოჩნდება მისი მიგნებები, ასევე ამ ფაქტის შერსახებ გასაუბრებაზე ისაუბრეს მასწავლებლებმა და აღნიშნეს მთავარია სასწავლო პროცესი წარიმართოს იმ ფორმით რაც ხელს შეიწყობს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში და ინ ფორმის პროდუქტის შექმნას რომელიც დაეხმარება საკუთარი ცოდნის აქტუალიზებაში.

✓ უცხოური ენა

.კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში გაწერილი კონმპლექსური დავალებების პირობებზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი აძლევს მოსწავლეს შანსს აქტიურად ჩაერთოს პროცესში. კომპლექსური დავალებების პირობა ხშირ შემთხვევაში იძლევა შესაძლებლობას, რომ მოსწავლე არა მხოლოდ მონაწილე იყოს პროცესის არამედ შემოქმედიც, მას უწევს პრობლემის გადაჭრა, სტრატეგიების გააზრება და სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნა როგორიცაა მაგალითად, პოსტერი, ინტერვიუ, პრეზენტაცია, დიალოგი, ვიდეორგოლი და ა.შ. გასაუბრების დროს დადგინდა, რომ კათედრას აქვს განხორციელებული არა ერთი პროექტი,მათ შორის საერთაშორისო. წარმოდგენილი პროექტების აღწერა ნათლად წარმოაჩენს კათედრის სწორ ხედვას, გამოცდილებას და ცოდნას მოსწავლეთა მოტივაციის, წინარე ცოდნის გაქტიურების, ინტერესების გათვალისწინების, თანატოლებთან თანამშრომლობის, აქტიურად ჩართულობის და მათი ავტონომიურობის თვალსაზრისით.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

გასაუბრების დროს პედაგოგებმა წარმოადგინეს მოსწავლეთათვის შერჩეული ისეთი კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლებს წარმოაჩინონ საკუთარი მრავალფეროვანი შემოქმედებითი ინიციატივები და მიგნებები. ახალი ინფორმაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაცნობისა და დამუშავების დროს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით განიხილონ. დააგროვონ, ან გაირღმავონ საკუთარი ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის გზით. გადმოსცენ და ახსნან იდეები თავისი სიტყვებით, როგორც წერილობით, ასევე დისკუსიების სახით.

შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

საკლასო სივრცე, გარემო, რესურსები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი კურიკულუმის ჩარჩო, კომპლექსური დავალებები, აქტივობები და მეთოდები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას, რასაც ადასტურებს ვიზიტისას მოსწავლეთა მიერ შექმნილი არაერთი სხვადასხვა სახის შესრულებული კომპლექსური დავალებების პროდუქტები, რომლებიც ძალზედ შემოქმედებითადაა გადაწყვეტილი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

✓ ესთეტიკური აღზრდა

კათედრის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივი (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით. ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მისი კონტექსტ - მაგალითები, მრავალფეროვანი რესურსები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი საბაზო საფეხურზე იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

✓ სპორტი

სკოლის საბაზო საფეხურის კურიკულუმები და მათში გაწერილი როგორც პრაქტიკული (მძლეოსნობის ელემენტები, ტანვარჯიშის ელემენტები, გასართობი თამაშები ხელბურთის ფეხბურთის, ფრენბურთის და კალათბურთის ელემენტებით, ლაშქრობა) და თეორიული (ჰიგიენა, ჯანსაღი კვება), შინაარსის თემები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ასევე, კომპლექსურ დავალებებში გაწერილი აქტივობები და რესურსები მრავალფეროვანია და იძლევა იმის საშუალება, რომ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები სასწავლო პროცესში.

<u>მასწავლებლებს მიეცა რჩევა, დაამატონ თეორიულად განსალხილველი თემები, მაგ., ოლიმპიზმის ისტორიიდან, ან/და საქართველოში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების ისტორიიდან და/ან სხვ.</u>

2 ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით

✓ სახელმწიფო ენა

კურიკულუმის განხორციელებისას გათვალისწინებულია ცოდნის დაშენება წინარე ცოდნაზე. ეს ჩანს მოცემულ ჩარჩოებში, რომლებშიც წარმოდგენილი საკითხები ააქტიურებს მოსწავლეთა ცოდნას და ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას.

<u>ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია</u>

✓ ათემატიკა

კათედრის სამუშაო პროცესები მიმდინარეობს იმ მიმართულებით, რაც მომდევნო წლის სასწავლო პროცესის აგებისთვის უნდა იქნას გამოყენებული. გათვალისწინებულია ის მიღწევები და წინსვლები, რაც მოსწავლეთა განვითარებას შეუწყობს ხელს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებისთვის აქტუალურია მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება ახალი საკითხის შესწავლის დროს, რისთვისაც მნიშვნელოვანია კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი აიგოს იმ ფორმით სადაც აჩვენებენ მასწავლებლები მზაობას ამ კუთხით.

ამ ფაქტის ნამდვილობა დასტურდება სასკოლო კურიკულუმში.

✓ უცხოური ენა

კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის შესწავლიდან, ასევე გასაუბრების დროს გამოიკვათა, რომ კათედრას გააზრებული აქვს თემატური დაგეგმის მნიშვნელობა, ჩანს რომ თემების გაწერის დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკი, მათი მზაობა და ინტერესები. ასევე შუალედური მიზნის დოკუმენტაციაში მოცემულია კონტექსტ მაგალითები, რომელიც საშუალებას იძლევა ნაცნობ კონტექსტზე დაყდრნობით მოსწავლემ მიიღოს ახალი ცოდნა და გამოცდილება. ზოგადად კომპლექსური დავალებების სპეციფიკა იძლევა ცოდნის კონსტრუირების საშუალებას და ამგვარი ტიპის დავალებები წარმოდგენილია მომავალი წლის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში. კათედრას ასევე აქვს განხორციელებული სასკოლო პროექტები, რომელთა განხორციელების გამოცდილებას გამოიყენებენ მომავალი სასწავლო კურიკულუმის შემუშავებისას და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას. კათედრის მიერ მოწოდებულ ერთ - ერთ ოქმში აღიშნულია არაფორმალური აქტივობების განხორციელების მნიშველობაც. ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ კათედრას აქვს განხორციელებული არაფორმალური აქტივობაც. მასწავლებლებმა გადმოაგზავნეს პროექტების ნიმუშები. კათედრა ფიქრობს განაგრძოს მსგავსი პრაქტიკა და მეტი მრავალფეროვანი, არაფორმალური აქტივობები, პროექტები დაგეგმოს და განახორციელოს იმგვარად, რომ ნაცნობ კონტექსტში მოხდეს ახალი ინფორმაციის მიწოდება, ნაცნობი თემატიკის ირგვლივ ახალი ცოდნის კონსტრუირება თანამშრომლობის გაძლიერება, სასკოლო საზოგადოების მეტი ჩართულობა, გამჭოლი კომპეტენციების და ღირეულებების განვითარება.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილ კურიკულუმებსა და მატრიცებზე დაყრდნობით ცხადია, რომ სასწავლო პროცესი მიზნად ისახავს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და მის ეტაპობრივად, ნაბიჯ - ნაბიჯ მიყვანას ახალ ცოდნამდე.

<u>შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია</u>

✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

საბუნებისმეტყველო საგნების მატრიცებში და კურიკულუმების ჩარჩოში ჩაშენებული კონტექსტ მაგალითები მაძლევს საშუალებას, რომ დავასკვნა: მოსწავლეთა ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მარტივიდან რთულისკენ.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

✓ **ესთეტიკური აღზრდა**

საბაზო საფეხურის ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები, შინაარსები მოსწავლეს საშუალებას აძლევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით. ინდიკატორთან მიმართებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლა სწავლების პროცესში ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

<u>ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია</u>

✓ სპორტი

სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს პრონციპებით ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ. მასწავლებლები ითვალისწინებენ, რომ კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში ხორციელდება წინარე ცოდნაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზესაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენება. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და დასახული მიზნების მიღწევას.

<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

- ✓ სახელმწიფო ენა

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახულია როგორ მუშაობენ საბაზო საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგები მოსწავლეების ,,სწავლის სწავლის“ უნარის განვითრებაზე. ამის მაგალითია წარმოდგენილ კურიკულუმებში კომპლექსური დავალებების იდეები, რომელთა განხორციელებაც მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, მიიღონ კონკრეტული ამოცანის მოთხოვნები , ეძებონ მათი გადაჭრის ეფექტური სტრატეგიები და დაარეგულირონ საკუთარი სასწავლო გამოცდილება.

<u>ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია</u>

- ✓ ათემატიკა

კომპლექსური დავალების ბარათი რომელიც იქნა მოწოდებული აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობთ შემოქმედებით პროცესში სადაც შესასწავლ საკითხებთან მიმართებით ხდება ახალი შემოქმედებითი პროცესების, თანამიმდევრული მსვლელეობა. აქედან გამომდინარე სკოლა გამოხატავს მზაობას, აჩვენოს თუ რაოდენ დიდი ადგილი უკავია სასწავლო პროცესში, სწავლა კეთებით მეთოდს, რადგან როგორც გასაუბრებაზე აღინიშნა ამის საშუალებით ხდება ცოდნის სიღრმისეული გააზრება და ცოდნათა სამი კატეგორიის დაკმაყოფილება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

✓ **უცხოური ენა**

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, ინგლისური და რუსული ენების საბაზო საფეხურის კურიკულუმებში ჩანს მეტაკოგნიციის განვითარების უზრუნველყოფა. კომპლექსური დავალების იდეებზე, პირობებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ დავალებების შესრულების ეტაპები, საბოლოო პროდუქტის იდეები ითვალისწინებს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას.მოსწავლეებისთვის შეთავაზებული საკითხები ითვალისწინებს ასაკობრივ მახასიათებლებს, ინტერესებს და იძლევა მოსწავლეების ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების და ახალი ცოდნის დამოუკიდებლად შეძენის შესაძლებლობას, უბიძგებს მოსწავლეებს კვლევისკენ, პრობლემის გადაჭრისკენ, ინფორმაციის მოძიებისკენ, სწავლის სტრატეგიების გამოყენებისკენ. ინტერვიუს შედეგად მასწავლებლებმა წარმოაჩინეს ცოდნა და გამოცდილება მრავალფეროვანი ჩექლისთების გამოყენების თვალსაზრისითაც, როგორც თვითშეფასების ასევე თანაშეფასების რაც ხელს უწყობს სწავლის სწავლას.

<u>ინდიკატორის მოთხოვნას აკმაყოფილებს.</u>

✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

წარმოდგენილი კურიკულუმებისა და მატრიცების ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი სწავლის სწავლაზეა აქცენტირებული. ყურადღება გამახვილებულია მოსწავლის მიერ შესრულებული სამუშაოს რეფლექსიაზე.

<u>**შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

ბუნებისმეტყველების პედაგოგების მიერ შექმნილი და ასევე მოძიებული, საკლასო სივრცეში დანერგილი და ნაწილობრივ მოდიფიცირებული მატრიცები იძლევა სსაშუალებას რომ დავასკვნათ: აქცენტი კეთდება სწავლის სწავლებაზე. რადგან მოსწავლეებს კომპლექსურების აქტივობებში უწევთ ინფორმაციის მოძიება, დამუშავება, სხვადასხვა სახით წარდგენა, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება და რაც მთავარია ცოდნის ტრანსფერი ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

✓ ესთეტიკური აღზრდა

საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ საგნების ჩარჩო კურიკულუმებში შუალედურ სასწავლო მიზნად განიხილება კომპლექსური ტიპის დავალებები, რაც თავისთავად გულისხმობს მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინებასა და მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. კომპლექსური დავალებების კონტექსტ მაგალითები ხელს უწყობს მოსწავლეებში ნებელობის გაძლიერებასა და მათ დაინტერესებას. სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში წარმოდგენილი მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკები რეფლექსიის და სასწავლო პროცესის შეფასების საშულებას იძლევა. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. სასწავლო პროცესში სასურველია მასწავლებლებმა მეტად გაამახვილონ ყურადღება იმ სტრატეგიებზე, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება მეტაკოგნიციასა და სწავლის უნარების განვითარებაში.

<u>ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია</u>

✓ სპორტი

მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. კომპლექსური დავალებებიდან ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას, ახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას (სასკოლო ფესტივალებში სპორტის სხვადასვა სახეობაში).

4. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)**

✓ სახელმწიფო ენა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბაზო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლეთა დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის მიღებაზე. ეს კარგად ჩანს დაგეგმილი კომპლექსური დავალებების იდეებში, რომლებიც სკოლამ წარმოადგინა და სამივე სახის ცოდნის დაუფლების საშუალებას იძლევა.

<u>ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია</u>

✓ ათემატიკა

მასწავლებლები შეფასების პროცესში იყენებენ ცოდნათა აგების და ორგანიზებისათვის აუცილებელ პირობას რომ შემოწმდეს მოსწავლის მზაობა ცოდნათა სამ კატეგორიასთან მიმართებით, როგორ შეიმეცნებენ ახალ მასალას, შემდგომ ამისა განამტკიცებენ პროცედურულ ნაწილში და ბოლოს წარმოადგენენ ისეთი ფორმით რომელიც აჩვენებს მის საყოფაცხოვრებო დანიშნულებით წარმოდგენას.

<u>ინდიკატორის ეს მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**</u>

✓ უცხოური ენა

.კომპლექსური ბუნების დავალებები და პროექტები თავისთავად ორიენტირებულია სამივე კატეგორიის ცოდნაზე და გულისხმობს ცოდნის კონსტრუირებას, აგებას, მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმებით და ინტერვიუზე დაყრდნობით დგინდება, რომ უცხოური ენების კათედრას აქვს გამოცდილება კომპლექსური ტიპის დავალებების შემუშავების და გამოყენების სწავლა-სწავლების პროცესში . შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებიდან, კომპლექსური დავალებების იდეებიდან და განხორციელებული პროექტების ნიმუშებიდან იკვეთება დეკლერატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის განვითარებაზე გაკეთებული აქცენტები და ჩანს კათედრის მზაობა .

<u>ინდიკატორის მოთხოვნას აკმაყოფილებს.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. პედაგოგები ხელს უწყობენ მოსწავლეს საგნობრივი სასკითხების სირღმისეულად გააზრებაში, სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებაში. პროექტების განხორციელების დროს მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა.

<u>ესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია</u>

✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

საბაზო საფეხურის ქიმიის, ბიოლოგიის და ფიზიკის კურიკულუმების ჩარჩოებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების მატრიცებში ჩანს, რომ აქტივობები გათვლილია ცოდნის სამ კატეგორიაზე: დეკლარატიულზე, სადაც ინფორმაციის გაგება დამახსოვრება ხდება; პროცედურულზე, სადაც მიღებული ცოდნის საფუძველზე სხვადასხვა პროცედურების განხორციელება; (გამოთვლები, ექსპერიმენტები, მოდელების შექმნა და სხვ..) ასევე მიღებული ცოდნის, გამოცდილების გამთლიანება და სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებში ადეკვატურად გამოყენება - პირობისეული ცოდნის გამოვლენის საშუალებას იძლევა.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

✓ ესთეტიკური აღზრდა

საბაზო საფეხურის ორივე საგნის (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსურები დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეებში სამიზნე ცნებების გააზრებას ცოდნის სამი კატეგორიის (დეკლარაციული, პროცედურული, პირობისეული) ჭრილში. კომპლექსური დავალების პროდუქტებიდან ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეები მიიღებენ თეორიულ ცოდნას, მოახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას. აღნიშნული მტკიცებულებებისა და მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურის მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული).
<u>**ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია**</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

✓ სპორტი

ფიზიკური აღზრდის კურიკულუმებში არ არის მოცენული ინფორმაცია იმ აქტივობებზე, სადაც გამოჩნდება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). მაგრამ, ინტერვიურების დროს გამოჩნდა მასწავლებლის მზაობა, რომ ჩავთვალოთ ამ კრიტერიუმის შესაბამისობა.

<u>სკოლას მიეცა რჩევა, ჩააშენოს საბაზო საფეხურის კურიკულუმებში პროექტული ტიპის დავალებები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის ნიმუშები და სხვა, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს ითანამშრომლონ თანატოლებთან, თავად გამოიჩინონ ინიციატივა და უფრო აქტიურად გახდნენ სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეები.</u>

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

✓ სახელმწიფო ენა

საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში იკვეთება მოსწავლეთა ცოდნის ურთიერთდაკავშირებისა და ორგანიზების გათვალისწინება. მასწავლებელთა ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება, ჩაატარონ ღონისძიებები ამ მიმართულებით. ამის მაგალითად დაასახელეს კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებისას ხდება ცოდნის ორგანიზება, კურიკულუმებში მითითებული იდეები საშუალებას იძლევა, დავინახოთ მზაობა ახალი სასწავლო წლისთვის აქტიურად წარიმართოს მუშაობა ცოდნათა ურთიერთკავშირის მისაღწევად , რაც ხელს შეუწყობს კონსტრუქტივისტული პრინციპების მიღწევას.

<u>ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია</u>

✓ ათემატიკა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კეთებით სწავლის საშუალებით მოსწავლეები შეიმეცნებენ ახალ იდეებს სიღრმისეულად და კრიტიკულად აფასებენ თავიანთ ნაშრომს, რისთვისაც საჭიროებენ ცოდნათა ურთიერთ დაკავშირებას, სხვადასხვა დროს ნასწავლი მასალის გახსენება და მის დაკავშირებას მიმდინარე სასწავლო პროცესთან ამ ყოველივეს სინთეზის საფუძველზე მოსწავლე ახდენს ცოდნის აგებას იმგვარად რომ ხდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირება.

✓ უცხოური ენა

უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში არის წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები. კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. აქედან გამომდინარე ვთვლი, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია წარმოაჩენს კათედრის მზაობას დაგეგმოს და უზრუნველყოს ისეთი სასწავლო პროცესი, სადაც მოსწავლეები შეძლებენ ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. აგრეთვე სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ვკითხულობთ , რომ განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს საინტერესო და მრავალფეროვანი პროექტებით სწავლებას,პროექტები შესაბამისობაშია მდგრად განვითარების მიზნებთან და მოსწავლეებთან ინდივიდუალური მიდგომით მათში 21-ე საუკუნის შესაბამისი უნარების განვითარებას უწყობს ხელს.... მასწავლებლებთან ინტერვიუმ ასევე წარმოაჩინა კათედრის გამოცდილება პროექტების დაგეგმვის და განხორციელების კუთხით საბაზო საფეხურზე.

<u>ინდიკატორის მოთხოვნას აკმაყოფილებს.</u>

✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპლექსური დავალებებით სწავლება ხელს უწყობს მოსწავლეებში საგნობრივი საკითხების სირღმისეულ გააზრებას, ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას, ვინაიდან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე. ის ყოველივე კი თავისთავად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას.

შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნილებები დაკმაყოფილებულია

✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

საბაზო საფეხურის ქიმიის, ბიოლოგიის და ფიზიკის პედაგოგთა წარმოდგენილ მატრიცებში ჩანს რომ მოსწავლე უწევს სხვადასხვა მიმართულების ცოდნათა გამთლიანება, ორგანიზება სხვადასხვა მაორგანიზებელი ინსტრუმენტებით, მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვა, სხვადასხვა ცოდნის გამთლიანება და სამიზნე ცოდნის მკვიდრი წარმოდგენების გამომუშავება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

✓ ესთეტიკური აღზრდა

მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი მომავალი წლის (2023-2024 სასწავლო წელი) საბაზო საფეხურის მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჩარჩო კურიკულუმებში, განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას . აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

✓ სპორტი

საბაზო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი აქტივობები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას. ინტერვიუირების დროსაც მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან მასალებსა და აქტივობებს, შესაბამისად შეიძლება დავასკვნათ, რომ ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

✓ სახელმწიფო ენა

- კურიკულუმები.
- შეფასების რუბრიკა.
- სკოლის სასწავლო გეგმა.
- მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების შეხვედრების ფორმები.

✓ .მათემატიკა

- კურიკულუმები.
- შეფასების რუბრიკა.

✓ უცხოური ენა

- საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო პროექტები;
- უცხოური ენები კათედრის სხდომის ოქმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი.

✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

- საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო პროექტები.

✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

- ბუნებისმეტყველების კურიკულუმები;
- წარმოდგენილი მატრიცები;
- მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროდუქტები.

✓ ესთეტიკური აღზრდა

- აბაზო საფეხურის საგნობრივი (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმები;
- ინკლუზიური განათების სამოქმედო გეგმა 2022-2023წ;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2022-2023წ;
- დისკუსიის შეფასება ;
- მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი;
- მოსწავლის ნამუშევრის შეფასების რუბრიკა;
- 7კლ. განმავითარებელი შეფასება (მუსიკა);
- ანმსაზღვრელი შეფასება - 7კლ.

✓ სპორტი

საგნობრივი კურიკულუმები;

კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით

✓ სახელმწიფო ენა

სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილ მასალაში ჩანს, რომ პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების საგნობრივ საკითხებთან მიმართება. კურიკულუმის ჩარჩოებში არ არის გაწერილი მკვიდრი წარმოდგენები, მაგრამ მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ კარგად აქვთ გააზრებული აღნიშნული საკითხი და მოსწავლეებთან მუშაობისას აუცილებლად გაითვალისწინებენ მათ ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებაში. პედაგოგებმა გაგვიზიარეს გამოცდილება , თუ როგორ ამუშავებენ სამიზნე ცნებებს კომპლექსური დავალებების დახმარებით სასწავლო პროცესში , სკოლას აქვს მზაობა ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმების სრულყოფისთვის.

<u>**ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია**</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

✓ ათემატიკა

მოწოდებული შეფასების კრიტერიუმის ანალიზის საფუძველზე იკვეთება რომ მათემატიკის მასწავლებლებს აქვთ ხედვა იმისა, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებული იყოს მკვიდრი წარმოდგენები, რათა მასწავლებელი ფლობდეს ცოდნის იმ მოცულობის არეალს რომლის დაკმაყოფილება/შესწავლა უნდა შეძლოს მოსწავლემ რათა გავიდეს სასურველ შედეგზე, ამასთან ავღნიშნავ, რომ თითოეული ინდიკატორი კონკრეტდება მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით, რაც იმის თქმის საშუალებას იძლევა, სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენის გათავისება.

✓ უცხოური ენა

სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტები, სადაც გაწერილია თემების მიხედვით კომპლექსური დავალებების იდეები, საგნის სამიზნე ცნებები. უცხო ენის სამიზნე ცნებებია საბაზო საფეხურზე ჟანრი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები და კულტურათა შორის დიალოგი. კომპლექსური დავალებების იდეებზე, პირობებზე, კონტექსტ მაგალითებზე და რესურზებზე დაყრდნობით დგინდება, რომ აღნიშნული სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება ნაცნობ კონტექსტზე დაფუძნებით, მკვიდრი წარმოდგენების რეალიზების გზით. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ უცხოური ენების კათედრას მკაფიოდ აქვს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის და აქვს მზაობა სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეს მისცეს განმავითარებელი შეფასება ცნებასთან და მის მკვიდრ წარმოდგენასთან მიმართებით .

<u>ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.</u>

✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში მოქმედი სასკოლო კურიკულუმი შექმნილია იმგვარად, რომ მოსწავლეს მეხსიერებაში ხანგრძლივად, მკვიდრი წარმოდგენებს სახით დარჩეს ის ნასწავლი ინფორმაცია, რომელზეც მან სიღრმისეულად იმუშავა. მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებსა და საკვანძო შეკითხვებს შორის

<u>შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია</u>

✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

2023-2024 წლის საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული და წინა წლებში განხორციელებული კომპლექსური დავალებები მიემართება საკითხების და ქვეცნებების სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებთან დაკავშირებისკენ. მოსწავლის მიერ შესასრულებელი კომპლექსური დავალებაში ხაზგასმით წარმოსადგენ კრიტერიუმებს მატრიცაში მითითებული აქვს თუ რომელი სამიზნე ცნების კერძოდ რომელ მკვიდრ წარმოდგენას გამოუმუშავებს მოსწავლეს გრძელვადიან პერსპექტივაში. ასევე საკითხის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენების სფეროების გააზრების საშუალებასაც იძლევა.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

✓ ესთეტიკური აღზრდა

სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), შორის. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპლექსური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნებების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი საბაზო საფეხურზე უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

<u>ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია</u>

✓ **სპორტი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კურიკულუმში გაწერილი თემები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; მასწავლებლებმა აღნიშნეს, როგორ უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესში სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. მას შემდეგ,რაც მოსწავლეები გაეცნობიან საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს, განიხილავენ კომპლექსური დავალების პირობას და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება.

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

✓ სახელმწიფო ენა

დოკუმენტაციის შესწავლისას იკვეთება, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მოსწავლეთა ფსიქო - ემოციური განვითარების გათვალისწინებით. სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა პიროვნული და ინდივიდუალური შესაძლებლობების წარმოჩენაზე. დოკუმენტში ,, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები“ დასახელებულია სხვადასხვა აქტივობა ამ მიმართულებით, ესენია: კლასგარეშე ღონისძიებები, სადაც ყველაზე მეტად ხდება მოსწავლეთა დამეგობრება, ღიაობა, მზადყოფნა სხვათა დასახმარებლად, სასწავლო - შემეცნებით ექსკურსიები, ასევე დისკუსიები/დებატები, სასკოლო/საკლასო ესეების კონკურსი, ნახატების კონკურსი, სპორტული შეჯიბრებები, საინტერესო, ცნობილ და პოპულარულ ადამიანებთან შეხვედრები, პროექტები. კინოსეანსის ჩვენებები და შემდეგ მათი განხილვები, მოსწავლეთა განწყობის ასამაღლებლად.

<u>ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია</u>

✓ **ათემატიკა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლის ჰოლისტური განვითარებისათვის შემუშავებული შეფასების რუბრიკების ანალიზიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებელი ცდილობს შეფასებაში ასახოს ის ნიუანსები რომელიც არის ხელიშემწყობი მისი განვითარების. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს რომ პიროვნული, მოქალაქეობრივი თვითმყოფადობის გაძლიერებისათვის სკოლა ცდილობს ჰქონდეს ისეთი მოქმილი ინდიკატორები, რომელი დაეხმარება სწორი მიმართულები განავითაროს მოსწავლე.

- ✓ **უცხოური ენა**

წარმოდგენილი კურიკულუმიდან და კათედრის ოქმიდან ირკვევა, რომ კათედრა ახორციელებს კომპლექსური ტიპის დავალებებს და დიდ დროს უთმობს პროექტებით სწავლებას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების საკითხები, იდეები და პირობები ხელს უწყობს მოსწავლეების მხრიდან სხვადასხვა სახის პროდუქტის შექმნას. ამ პროდუქტზე მუშაობის პროცესში ხშირად მოსწავლეს უწევს თანამშრომლობა თანატოლებთან, ხდება თვითშეფასება და ურთიერთშეფასება, რა დროსაც ვითარდება კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, მოსწავლეს უჩნდება თვითრეფლექსიის უნარები, სოციალური ურთიერთობებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები. ინტერვიუს შედეგად დადგინდა ,რომ კათედრას აქვს გამოცდილება კლასგარეშე აქტივობების, ექსკურსიების, პროექტების , არაფორმალური აქტივობების დაგეგმვის და განხორციელების გამოცდილება რაც თავისთავად მოსწავლისგან მოითხოვს ფსიქო-ემოციურ ჩართულობას და ხელს უწყობს პიროვნულ ზრდის და განვითარების პროცესს .

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ვკითხულობთ , რომ განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს საინტერესო და მრავალფეროვანი პროექტებით სწავლებას,პროექტები შესაბამისობაშია მდგრად განვითარების მიზნებთან და მოსწავლეებთან ინდივიდუალური მიდგომით მათში 21-ე საუკუნის შესაბამისი უნარების განვითარებას უწყობს ხელს ასევე სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და პატრიოტულ სულისკვეთების ჩამოყალიბებას.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროექტებით სწავლებისას მოსწავლეთათვის დავალების შექმნის დროს გათვალისწინებულია მოსწავლის განწყობა და მზაობა თემის მიმართ. რაც საშუალებას აძლევს მას დააფიქროს საკუთარ აზრებზე, ინტერესებსა და გრძნობებზე, ემოციების გამოხატვისას გაითვალისწინოს საზოგადოებისთვის მისაღები ფორმები, შეძლოს თანამშრომლობა, სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებთან გამკლავება, პრობლემის ეფექტურად გადაჭრა.

ესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

ბუნებისმეტყველების საგნებში მატრიცები მოწავლის ინტერესთა სფეროს გათვალისწინებითაა შექმნილი, ემსახურება მოსწავლის, როგორც ერთი მოქალაქის პიროვნული პასუხისმგებლობის გამომუშავებას ბუნების დაცვის, უსაფრთხოების ასპექტებში. ასევე ითვალისწინებს სოციალური უნარების; კომუნიკაციის, კოლაბორაციის, ემპათიის და სხავ უნარების გამომუშავებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

✓ ესთეტიკური აღზრდა

საბაზო საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება VII-IX კლასის) ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი ორიენტირები, თემები კომპლექსური დავალებები, ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე მოსწავლეებს ნამუშევრის შექმნისას უწევთ თვითგამოხატვა, მუსიკალური ნაწარმოების მოსმენისას და მსჯელობისას უწევთ საკუთარი ემოციებზე, გრძნობებზე დამოკიდებულებებზე მსჯელობა. სკოლის ბაზაზე არსებობს მუსიკალური ანსამბლი „ ფესვები“, რომელიც აქტიურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიებებში როგორც სკოლის, ასევე რაიონულ მასშტაბით. ეს კი მოსწავლეებში ხელს უწყობს პიროვნული/ ფსიქო-სოციალური უნარების განვითარებას. მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ ინდიკატორთან შესაბამისობა- საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

✓ **სპორტი**

საბაზო საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. თემები შერჩეულია ისეთნაირად, რომ დავალებები, აქტივობები, შეფასების რუბრიკები ხელს უწყობს მოსწავლეების ჩართულობას, ააქტიურებს მათ ცოდნას ისეთ საკითხებზე როგორიცაა თვითკონტროლი, ემოციების მართვა, გუნდურობა, პასუხისმგებლობა.

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

✓ სახელმწიფო ენა

სკოლაში არსებული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას. საბაზო საფეხურზე გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებები. სკოლას სასწავლო გეგმაში პუნქტობრივად აქვს გაწერილი შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები. მართალია, მხოლოდ დაწყებით საფეხურზე წარმოადგინეს განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები, კომპლექსურ დავალებებთან მიმართებაში, მაგრამ ინტერვიუსას შეიმჩნეოდა კათედრის წევრებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა. სხვადასხვა საფეხურის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კათედრას აქვს ერთიანი ხედვა ამ მიმართულებით და ყველანაირად უჭერს მხარს მოსწავლეთა ჰოლისტურ განვითარებას. მასწავლებლებს აქვთ მზაობა, სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველყონ შეფასების რუბრიკების შემუშავება.

ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო საფეხურის მასწავლებლები კარგად აცნობიერებენ მოსწავლეთა ჰოლისტური შეფასების მხარდაჭერას და წარმოადგენენ ,,შეფასების ანგარიშს ფორმებს", რომლებიც ასახავს მოსწავლეთა სადიაგნოსტიკო შეფასების შედეგად მიღებულ შედეგებს. ასევე, ,,მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრის ანგარიშის ფორმებში" გაწერილი აქვთ შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სხვა ტიპის დავალებების შეფასების რუბრიკები არ გვაქვს მოცემული (მაგ. ჯგუფური, განმსაზღვრელი) , თუმცა გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ პრაქტიკაში ყოველთვის იყენებენ და ახალი სასწავლო წლისთვის მზად არიან თემების შესაბამისად შეადგინონ ისინი.

<u>ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია</u>

- ✓ ათემატიკა

მოსწავლეთა მრავალმხრივი შეფასებისათვის სადაც გათვალისწინებულია საგნობრივი საკითხების კონტექსტი მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით წარმოადგენს ჰოლისტური შეფასების ნიმუშს. ასევე ყურადსაღებია 6 ფუნქციურ-კომპონენტური უნარებით მოხდეს მოსწავლის აკადემიურ ზრდაზე დაკვირვება და ანალიზი აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ,

<u>ინდიკატორის ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

- ✓ უცხოური ენა

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის ნარატივში ჩანს სკოლის სწორი ხედვა შეფასების სისტემის თვალსაზრისით. უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კურიკულუმებში არ არის ჩაშენებული და არ ჩანს შეფასების პრაქტიკული ნიმუშები, ხერხები, სტრატეგიები, რუბრიკები, თუმცა, რადგან აღნიშნული კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებების მართებული იდეები და კათედრასთან გასაუბრებისას მასწავლებლებმა წარმოაჩინეს გამოცდილება, ცოდნა განმავითარებელი და განსაზღვრელი შეფასებების კუთხით, ვთვლი , რომ უცხოური ენების კათედრა გამოხატავს მზაობას გამოიყენოს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შეფასების აუცილებელი კომპონენტები : დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით (ჰოლისტური) და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს: პრესტრუქტურულს, უნისტრუქტურულს, მულტისტრუქტურულს, მიმართებით და აბსტრაქტულ დონეებს.

<u>ინდიკატორის მოთხოვა დაკმაყოფილებულია.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზესაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლის შეფასების სისტემა ეფუძნება ეროვნულ სასაწვლო გეგმას.შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის ყოველდღიური პროცესის; ფოკუსირებულია ცოდნის აგებასა და გამოყენებაზე. ასაუბრებაზე გამოიკვეთა შეფასების კრიტერიუმების დახვეწისა და ცნებაზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკების შექმნის აუცილებლობა.

ესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

შეფასების სისტემა იძლევა მოსწავლის ჰოლისტური განვითარების შეფასების საშუალებას. სკოლამ მომავალი საწავლო წლისთვის აირჩია სამკომპონენტიანი განმსაზღვრელი შეფასება და სადიაგნოსტიკო შეფასების მეოთხე ინსტრუმენტი.

გარდა ამისა საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებმა წარმოადგინეს მოსწავლის ქცევაზე დაკვირვების ფურცელი, პროექტის მიმდინარეობისას ჯგუფების შეფასების რუბრიკა, გაანმავითარებელი შეფასების რუბრიკა სოლო ტაქსონომიით, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები კონკრეტული ერთი გაკვეთილისთვის, რომელიც კომპლექსური დავალების ხაზგასმით წარმოსაჩენი ერთი კრიტერიუმის დაფარვას ემსახურება და სტანდარტის მიხედვით, ასევე განმავითარებელი შეფასება რომელიც სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების გამომუშავების გაზომვის საშუალებას იძლევა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

✓ ესთეტიკური აღზრდა

კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. საბაზო საფეხურზე კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება ასრულებს შუალედურ სასწავლო მიზნი როლს, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და მოსწავლის ყოველდღიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროცესის განუყოფელი ნაწილია. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან (განმსაზღვრელი/განმავითარებელი) ჩანს, რომ კათედრა სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად იყენებს შეფასების ორივე ფორმას და მოსწავლეებს აფასებს მრავალმხრივად. ასევე განსაზღვრავს თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში (მაგ, დისკუსიის/მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკები). აღნიშნული მსჯელობების საფუძველზე საბაზო საფეხურზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

<u>ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია</u>

✓ სპორტი

ინტრვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპზე მასწავლებლები იყენებენ მხოლოდ ზეპირსიტყვიერ შეფასებას. სკოლა გამოხატავს მზაობას, შექმნა წერილობითი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ფიზიკრი აღზრდისა და სპორტის საგანში. ჰოლისტური განვითარების მხარდასაჭერად მნიშვნელოვანია მოსწავლეების საკუთარ ცოდნაზე დაფიქრება.

4. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ სკოლა სრულად იზიარებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ შეფასების პრინციპებს, მეთოდებს, მოსწავლის შეფასების მიზანს, შეფასების ტიპებს, აკადემიური მიღწევის დონეებს და საგნის სემესტრული ქულის შემადგენელ კომპონენტებს, განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობებს, სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულის გამოანგარიშების წესებს, კლასისა და საფეხურის დაძლევას, გაცდენებს და შეფასებას, გამოცდის ტიპებს, მოსწავლის აკადემიური მიღწევებს. სკოლა ირჩევს შეფასების სამ კომპონენტიან სისტემას. კათედრებმა წარმოადგინეს შეფასების რუბრიკები სხვადასხვა კომპლექსური ტიპის დავალებების შესაფასებლად. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები იძლევა მოსწავლს მიუკერძოებლად შეფასების საშუალებას, არის ვალიდური (აფასებს ზუსტად იმას, რის შეფასებაც არის განზრახული), გამჭვირვალობის მიზნით კი მასწავლებლები წინასწარ გააცნობენ მათ მოსწავლეებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

5. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლას 2023 წლის N56 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი, აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით პედაგოგიური კოლექტივიდან შეირჩევა 2 წევრი, რომლებიც ყოველწლიურად შეიცვლებიან და რომლებიც მონიტორინგს გაუწევენ მოსწავლეთა შეფასებას, სემესტრში ერთხელ წარადგენენ დასკვნას განხორციელებული საქმიანობის შესახებ. დასკვნის საფუძველზე სკოლა შეადგენს ვერიფიკაციის სამოქმედო გეგმას. სადაც სრულყოფილად აისახება ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა რის განხორცილებასაც აპირებს სემესტრის ბოლოს წარდგენილ დასკვნაში ასახული პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად. სამოქმედო გეგმაში ასევე ასახული იქნება: განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

6. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

პედაგოგებთან/დირექციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ხდება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით და სკოლის საქმისწარმოების დებულების მიხედვით დადგენილი ვადით. სკოლის საქმისწარმოების დებულებით ასევე განმარტებულია, რომ ყველა დოკუმენტი, რომელიც იწარმოება სკოლაში ინახება 3 წლის ვადით და შემდეგ გადადის არქივში.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი;
- შეფასების რუბრიკები;
- მოსწავლეთა პირადი საქმეები;
- მოსწავლის ნაშრომები.

✓ ახელმწიფო ენა

- „ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- კურიკულუმები;
- მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრის ანგარიშის ფორმები;
- შეფასების ანალიზის ფორმა-„მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირება“;
- სკოლის სასწავლო გეგმა.

✓ ათემატიკა და საზოგადოებრივი მეცნიერებები

- შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმები.

✓ **უცხოური ენა**

- კათედრის სხდომის ოქმი;
- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- კურიკულუმები ;
- ვერიფიკაციის მექანიზმი სასკოლო სივრცეში.

✓ სპორტი და ესთეტიკური აღზრდა

- შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო**

სკოლაში ყველა მოსწავლისთვის შექმნილია კეთილგანწყობილი, სასურველი და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემო. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები და სასწავლო პროცესში დაგეგმილი დიფერენცირებული მიდგომები საშუალებას აძლევს მოსწვალეებს პიროვნული ზრდისთვის, მოსწავლის შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და მხარდამჭერი სასწავლო პროცესის მაჩვენებელია. სსსმ მოსწავლეებისათვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც ისგ ჯგუფის მიერ პერიოდულად გადაიხედება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება. სკოლაში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის მოსწავლეები თავისუფლად ამყარებენ კომუნიკაციას ერთმანეთთან. ამაზე მოწმობს სკოლის შიდა სასკოლო აქტივობები, ღონისძიებები და პროექტები. სკოლაში აქვთ იდეათეკის კაბინეტი, სადაც <u>**მოსწავლეების იდეებს ფრთები ესხმევა პროექტების სახით.**</u>

<u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

.2. **სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად**

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ერივნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად და მოიცავს საგაკვეთილო და არასაგაკვეთილო აქტივობებს, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესების სფერო. კურიკულუმის ჩარჩოებში მითითებულ მატრიცებში ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული დავალებები, მოსწავლეებს ეძლევათ ისეთი დავალები, სადაც საბოლოო შედეგის/პროდუქტის არჩევანის **საშუალ**ება აქვთ. სკოლის/მასწავლებლების მიერ დაგეგმილ მრავალფეროვან აქტივობებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესებისა და შესაძლებლობების სფერო. განსაკუთრებით მოსწავლეზე ორიენტირებულია ის სასწავლო, ინტეგრირებული პროექტები, სადაც მოსწავლეები საკუთარი სურვილთ ერთვებიან

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას**

სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ერთობლივად ძიება. სხვა საგნობრივ კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის სხვადასხვა პერსპექტივიდან ჩართვას კურიკულუმის შემუშავებაში. სასწავლო პროცესი დაფუძნებულია თანამშრომლობით კულტურაზე და ჯანსაღ კომუნიკაციაზე, მასწავლებლები მოსწავლისთვის აღიქმება როგორც უფროსი მეგობარი. კათედრის ოქმებში იკითხება კათედრის წევრების შეთანხმებული მუშაობა კურიკულუმის დაგეგმვა შესრულებისას. კოლეგები ერთმანეთს უზიარებენ წარმატებულ გამოცდილებას და აქვთ კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი. ასევე ჩანს ლიდერ მასწავლებელთა მუშაობა კოლეგებთან. დამრიგებლის მშობელთან კრებების ოქმებში და სასკოლო ღონისძიებებში ასახულია მშობლების ჩართულობა სასწავლო ღონისძიებებში.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. სკოლის ფოიეებში და საკლასო ოთახებში მოწყობილია საგამოფენო სივრცეები, სადაც მოსწავლეთა ნამუშევრებია განთავსებული. **კლასის დამრიგებლებს მუდმივი ზრუნვის საგანია პოზიტიური კლიმატის შენარჩუნება კლასის დონეზე, რაც თავისთავად შემდგომ პოზიტიურ ასახვას ჰპოვებს სკოლის დონეზეც.**სკოლაში ფუნქციონირებს ცეკვის და სიმღერის ანსამბლები, ინგლისურის კლუბი, რომლებიც სკოლაში ქმნიან პოზიტიურ კლიმატს.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივ კათედრებზე გამოცდილების გაზიარება;
- კათდრების ოქმები;
- მატრიცები;
- შეფასების რუბრიკები

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

სკოლას განსაზღვრული აქვს მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება. მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ, განუყოფელ ნაწილს. კურიკულუმის განვითარება თავისთავად წარმოადგენს ციკლურ პროცესს, პირველ რიგში ხდება მისი დაგეგმვა, რასაც მოსდევს განხორციელება და მონიტოინგი /შეფასება გადაგეგმვა. სკოლის არსებული პრაქტიკა და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია იძლევა საშუალებას ვთქვათ, რომ მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

2მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლაში მოქმედებს კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭრის ჯგუფი. თითოეული წარმოდგენილი ჯგუფი ახდენს საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებას და შედეგების ანალიზს, დაკვირვების შედეგები განიხილება მასწავლებელთან ერთად და გაიცემა რეკომენდაციები მათი შესაძლებლობების გასაძლიერებლად. სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიან აამოქმედოს ასევე მოსწავლეთა სადიაგნოსტიკო შეფასების სისტემა, რომლის მთავარი მიზანია ერთის მხრივ მოსწავლეებთან არსებული მუშაობის გამოწვევების და მეორეს მხრივ მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა, რათა სასწავლო პროცესში მოხდეს მათი გათვალისწინება.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა/მასწავლებელთა/სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსის შეფასების მთავარი მიზანი მოსწავლეთა დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში, მათი სასწავლო შედეგებზე თვალის მიდევნება და დინამიკის განსაზღვრა. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ შესაბამისი კათედრის წევრები ერთად მსჯელობენ, გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი გამოწვევების დასაძლევად.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კათედრის ოქმები.
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭრის ჯგუფის საქმიანობის ამსახველი მასალა;
- კათედრების ოქმები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

სკოლა ცდილობს მოსწავლის შეფასება იყოს მრავალმხრივი და შესაბამისად იყენებს შეფასების მრავალფეროვან წყაროებს. კერძოდ, მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკების (განმსაზღვრელი, განმავითარებელი) ანალიზით ხდება მოსწავლის აკადემიური მოსწრების დინამიკაზე დაკვირვება, ხოლო მოსწავლეთა ინტერესებზე, მათ არასასკოლო აქტივობებში ჩართულობაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინფორმაციას აგროვებს დამრიგებელი, სკოლის მიერ დაგეგმილ არაფორმალურ აქტივობებსა და პროექტებში მონაწილეობაზე მოსწავლესთან დაკავშირებული ინფორმაცია თავს იყრის შესაბამის აქტივობების/პროექტების ხელმძღვანელთან რაც ერთობლივად წარმოადგენს მოსწავლის ჰოლისტურ დახასიათებას. მოსწავლეთა შეფასებისათვის ეფექტიანად გამოიყენება განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც სამიზნე ცნებებისკენ მიემართება

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

სკოლა ცდილობს მოსწავლე შეაფასოს სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით, ვინაიდან აღიარებს, რომ მოსწავლის პროდუქტულობაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი.
მასწავლებლები მოსწავლეებს აკვირდებიან საგაკვეთლო პროცესში, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის დროს, დამრიგებლები მოსწავლეებისა და მშობლებისგან აგროვებენ ინფორმაციას მოსწავლის ინტერესებსა და მოსწავლის თავისუფალი დროის მართვაზე. მოსწავლის ქცევას სკოლაში, საკლასო ოთახსა და სკოლის ეზოში, აკვირდება დამრიგებელი.
_ <u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლა აღიარებს, რომ შეფასების ვალიდურობა დამოკიდებულია ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორზე, მათ შორის მონაცემთა შეგროვების წყაროების მრავალფეროვნებაზე. მოსწავლის უნარისა და შესაძლებლობების შესწავლისას მნიშვნელოვანია ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების ერთობლივად გამოყენება რაც ერთის მხრივ შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და მეორეს მხრივ აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს.

სკოლა მოსწავლეთა შეფასებისას იყენებს როგორც დაკვირვებას მოსწავლის განვითარების დინამიკაზე (განმავითარებელი შეფასების შედეგების ანალიზი), ასევე განმსაზღვრელი (საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი) და სადიაგნოსტიკო შეფასების მონაცემებს.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სკოლა მიზანად ისახავს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას, გამომდინარე აქედან შეფასებასაც გეგმავს ჰოლისტურს, რათა წარმოაჩინოს ბავშვის ემოციურ-სოციალურ-კოგნიტური განვითარების პროცესი, გაითვალისწინოს მოსწავლის ფსიქო - სოციალური, ფიზიკური, გონებრივი შესაძლებლობები.
სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (საგნობრივი კურიკულუმები, კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია) იკითხება, რომ მოსწავლის შეფასებისას მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ ფაქტორებს, მათ ინტერესებს. სკოლისთვის მნიშვნელოვანია დაადგინოს თუ რამდენად მონაწილეობენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა და/ან უშლიდა ხელს მათ ჩართულობას აღნიშნულ პროცესში.
ამრიგად მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს როგორც მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ შიდა ფაქტორებს ასევე გარე მამოტივირებელ ფაქტორებს.

. <u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- დიფერენცირებული დავალებები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრების ოქმები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხდვით, სკოლა ახდენს არსებული კურიკულუმის დანერგვის სისტემატურ დაკვირვებას/შესწავლას, გამოწვევების იდენტიფიცირებას და წლის ბოლოს მისი რეფლექსიას. კათედრები თვალყურს ადევნებენ კურიკულუმის განხორციელებას შესაბამის საგნობრივ ჯგუფში, განიხილავენ წინა სასწავლო წლის კურიკულუმს, კომპლექსურ დავალებებს და მომავალი სასწავლო წლისთვის განვითარებულ, მოდიფიცირებულ ვარიანტს ადგენენ. ვერიფიკაციი მექანიზმის მიხედვით კი, სკოლა გამოყოფს შეფასების ვერიფიკაციაზე პასუხისმგებელ პირებს, რომლებიც გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე ზრუნავე.

<u>**ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად**</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგ**ებს.

სკოლა მონიტორინგსა და შეფასებას განიხილავს როგორც კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელ ნაწილს.
სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია და გულისხმობს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ფაზებს. დოკუმენტის მიხდვით კურიკულუმის შემუშავებაში აქტიურად იქნება ჩართული მასწავლებელი, მოსწავლე და მშობელი. სკოლა გეგმავს მშობელთა გამოკითხვას სასწავლო წლის დაწყებამდე და სასკოლო კურიკულუმში მშობელთა მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების ასახვას.
სკოლამ ექსპერტებს ვიზიტისას წარმოუდგინა წინა სასწავლო წელს განხორციიელბულიკურიკულუმები და მათი განხორცილების/დანერგვის პროცესში გამოვლენილი გამოწვევები და შედეგად შემუშავებული გაუმჯობესების გზები, რაც გათვალისწინებული აქვთ 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2022-2023 სასწავლო წლის კურიკულუმი
- 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმი
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხურის კურიკულუმი	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზესაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით მის შემუშავებაში, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აქტიურად იქნება ჩართული სასკოლო საზოგადოება. სასკოლო საზოგადოებას მიეცმა იმ ფაქტორების/სასწავლო პრაქტიკის გამოკვეთის საშუალება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოსწრების გაუმჯობესებას. სკოლის მიერ, სასკოლო საზოგადოებას, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გაეგზავნება კითხვარი, რომლის მიხედვითაც დადგინდება მათი ინტერესები და პრიორიტეტები. მასწავლებლები დამრიგებლების საშუალებით, მშობლებს მიაწვდიან კომპლექსური დავალების ბარათებს, რათა ისინი იცნობდნენ, თუ რა კომპლექსური დავალება აქვთ შესასრულებელი მათ შვილებს და რა მიზნისა და უნარების განვითარებას ემსახურება ის. რაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეეხება მასწავლებლებს, კურიკულუმი იგეგმება მათი თანამშრომლობით. წარმოდგენილი დოკუმენტის, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის, მიხედვით კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები და სკოლის ფილოსოფია, კურიკულუმის შემადგენელი სტრუქტრული ერთეულები, კურიკულუმის დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები. მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტები.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

2 კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

სკოლის მიერ წარმოდგენილი „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ ითვალისწინებს მასწავლებელთა სამუშაო ჯგუფების/კათედრების მიერ სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციას და კომუნიკაციის შედეგად მიღებულ უკუკავშირებზე დაფუძნებით სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავებას, რომელიც გათვალისწინებული იქნება ყოველი ახალი სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების პროცესში. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულების მიერ მომავალი სასწავლო წლისათვის შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში უკვე ასახულია სასკოლო თემის ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. კურიკულუმების შემუშავების პროცესში მასწავლებლებმა გაითვალისწინეს მოსწავლეთა შესაძლებლობები და საჭიროებები, რაც დაადგინეს მათი გამოკითხვის საშუალებით და გამოკითხვის შედეგების შესაბამისად დაგეგმეს ახალი სასწავლო წლიდან ყველა კლასში კომპლექსური დავალებების განხორციელება. მასწავლებლები უკვე მუშობენ მოსწავლეებისთვის საინტერესო კონტექსტ-მაგალითებზე. ამრიგად, შეიძლება ვთქვათ, რომ სასკოლო საზოგადოების ინტერესები აისახება კურიკულუმში.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზესაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლაში დამკვიდრებულია თანამშრომლობითი კულტურა. კათედრის შიგნით მასწავლებლების თანამშრომლობით იგეგმება საგნობრივი კურიკულუმები. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლა ვალდებულებას იღებს ასევე, რომ უზრუნველყოს მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს ასევე საგნობრივ კურიკულუმებს, არის საჯარო დოკუმენტი, (გარდა ინდივიდუალური სასწავლო გეეგმებისა). მისი დამტკიცების პროცესი კი მოიცავს შეთანხმებას სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებას პედაგოგიურ საბჭოზე, რაც ასევე უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების მონაწილეობას მის საბოლოო ვარიანტის შექმნაში.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სასკოლო სასწავლო გეგმა არის საჯარო დოკუმენტი (გარდა მასში შემავალი ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა). როგორც კურიკულუმი შემუშავების მეთოდოლოგიიდან ჩანს კურიკულუმზე მუშაობს სასკოლო საზოგადოება, ხოლო რაც შეეხება კურიკულუმის დამტკიცებას, ის თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე, რაც ასევე უზრუნველყოფს მის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების მიერ.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კათედრის სამოქმედო გეგმა
- სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

- ✓ სახელმწიფო ენა

. ქართული ენისა და ლიტერატურის საშუალო საფეხურისთვის შემუშავებული კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვასა და განვითარებას. სკოლის დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კათედრის წევრები თანხმდებიან თემატურ საკითხებზე, შეფასების ინსტრუმენტებსა და დანერგვის მექანიზმებზე. საშუალო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო გვიჩვენებს, რომ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, კომპლექსური დავალებების იდეები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, სკოლა შუალედური მიზნებს უკავშირებს შესაბამის სასწავლო შინაარსს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია

- ✓ ათემატიკა

საშუალო საფეხურის მოწოდებული კურიკულუმები, არის იმ ფორმით შევსებული, რომ ნაგულისხმებია 2023-2024 წელს თუ რა ქმედითი ღონისძიებები უნდა გაატაროს მასწავლებელმა, რომ შედეგი იყოს გათვლილი მოსწავლეთა განვითარების გზის კვალდაკვალ, სამიზნე ცნებები რომელიც გრძელვადიან პერიოდში ემსახურება ცოდნათა ურთიერთ დაკვაშირებას და განზოგადება თუ რა მიმართულებით უნდა გააკეთოს ორიენტირი მასწავლებელმა, კომპლექსური დავალება რომელიც არის საყოფაცხოვრებო კონტექსტის და წარმოადგენს მოსწავლის ინტერესის გაღვივების, მის შემოქმედებით პროცესებში ჩართვის საშუალებას იძლევა.

- ✓ უცხოური ენა

საშუალო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, კურიკულუმებში გაწერილი შუალედური მიზნები, კომპლექსური დავალებების იდეები, შესაბამისი კონტექსტ მაგალითები, საჭირო რესურსები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ, სასწავლო მასალამ ნიმუშების სახით (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები, თვითშეფასების, თანაშეფასების ხერხები, გასასვლელი და შესასვლელი ბარათები/ კითხვარები) და ინტერვიუმ მასწავლებლებთან წარმოაჩინა კათედრის სწორი ხედვა და ცოდნა სტრატეგიების , მათ შორის მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიების და ეროვნული სასწავლო გეგმის მეთოდური ორიენტირების სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების, განსაზღვრისათვის. კომპლექსური ტიპის დავალებები საშუალო საფხურზე სამიზნე ცნებად მოიაზრებს ჟანრს, ენობრივ საშუალებებს, ფუნქციურ სამეტყველო ქმედებებს და კულტურათა შორის დიალოგს. კათედრას აქვს მკაფიო ხედვა, თუ როგორ უნდა მოხდეს თითოეული სამიზნე ცნების დამუშავება, იმგვარად რომ პროცესის ცენტრალური ფიგურა იყოს მოსწავლე.

ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

2023-2024 სასწავლი წლის სასკოლო კურიკულუმით სასწავლო პროცესი დაგეგმილია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის კონკრეტული შესაძლებლობები და ინტერესები. კურიკულუმებზე მუშაობის დროს გრძელვადიანი მიზნები და შედეგები გათვალისწინებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში ჩამოყალიბებული საგნობრივი სამიზნე ცნებების სახით და შედეგების მისაღწევი შუალედური მიზნებით, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას, ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. შედეგები მიიღწევა კომპლექსურ დავალებებზე მუშაობით, რომელთა შესრულება მოსწავლეებს ერთის მხრივ უვითარებს შემოქმედებითობისა და ფანტაზიის უნარს, მეორე მხრივ კი ხელს უწყობს სააზროვნო უნარებსა და საკუთარ გამოცდილებაზე დამყარებით ცოდნის დამოუკიდებლად კონსტრუირების უნარების გამომუშავებას/ჩამოყალიბებას.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

საბაზო საფეხურის ქიმიის და ბიოლოგიის კურიკულუმები 7-9 კლასებში შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით. პედაგოგებს გათავალისწინებული აქვთ მოსწავლეთა ინტერესების და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ჩაშენებული აქვთ კონტექსტ მაგალითები, რომლებიც ძალზედ ნაცნობი და ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენებადია. პედაგოგებმა ვიზიტისას წარმოადგინეს წინა სასწავლო წლის კურიკულუმები, რომლის რევიზიის და მოდიფიცირების საფუძველზე შექმნეს ახალი მოსწავლეზე ორიენტირებული კომპლექსური დავალებები და ჩააშენეს მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის დოკუმენტში. ფიზიკის კურიკულუმში ვერ იკითხება კონტექსტ მაგალითები და რომელ კომპლექსურს აპირებს ჩაატაროს 2023 სასწავლო წელს, თუმცა პედაგოგმა მიჩვენა წინა სასწავლო წელს გაკეთებული კომპლექსურები, რომელსაც გადაიტანს ახალ ჩაჩოში.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ესთეტიკური აღზრდა

საშუალო საფეხურზე მუსიკისა და ხელოვნების სწავლება მიმდინარეობს სავალდებულო პროექტის სახით. სკოლას 2022-2023 სასწავლო წელს პროექტი არჩეული ჰქონდა მუსიკაში (თემა - ეროვნული იდენტობისა და ევროპული მუსიკალური აზროვნების საკითხები ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებაში) პროექტში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. განხორციელებულ პროექტში მკაფიოდაა განსაზღვრული პროექტის აქტუალობა , მოსწავლეები ეცნობოდნენ/იკვლევდნენ ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებას, ასევე პროექტი ხელს უწყობდა ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ცხოვრებისეული კონტექსტების გააზრებას, რაც თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. კათედრას არ წარმოუდგენია 2023-2024 სასწავლო წელის პროექტის სასწავლო მიზნები, თუმცა აქვთ პროექტის განხორციელების გამოცდილება და მზაობა. შესაძლებელია დავასკვნათ, საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია

- ✓ სპორტი

ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ფიზიკური აღზრდა და სპორტი საშუალო საფეხურის კურიკულუმების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. კერძოდ: გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კოპლექსური დავალებები საშუალებას იძლევა მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლის მიღწევისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მომდევნო სასავლო წელს იგეგმება არსებული კურიკულუმების გადახედვა, ადაპტირება და მორგება მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე და კომპლექსური დავალებების შედგენა.

სკოლას მიეცა რჩევა, დაამატოს თემები ოლიმპიზმის ისტორიიდან, საქართველოში სპორტის განვითარების ისტორიიდან და/ან სხვ.

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ✓ სახელმწიფო ენა

. ქართული ენისა და ლიტერატურის საშუალო საფეხურის კურიკულუმებში კარგად იკვეთება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებთან მიმართება. მე-12 კლასის კურიკულუმში შემოთავაზებულია კომპლექსური დავალებების იდეები, რომლებიც ითვალისწინებს გლობალურ ფუნქციურ უნარებს : კრიტიკულ აზროვნებას, თანამშრომლობას, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია , ხასიათსა და მოქალაქეობას. მოსწავლეებს განუვითარდებათ აღნიშნულ უნარები ისეთი კომპლექსური დავალებების განხორციელებისას , როგორებიცაა: ანალიტიკური, არგუმენტირებული თუ შემოქმედებითი ესეების დაწერა , აგრეთვე, გალაკტიონ ტაბიძისა ლექსისა (,,ატმის რტოო, დაღალულო რტოო..“) და ანა კალანდაძის ლექსების (,,თუთა“, ,,პაწაწინა რტო ვარ“) შედარებითი ანალიზები. ასეთი ტიპის დავალებები მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას.

<u>ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია</u>

- ✓ ათემატიკა

საშუალო საფეხურის მე-10, მე-12 კლასის კურიკულუმის შედგენის დროს იერარქიულად არის ჩაწერილი, საკითხები რომელიც მუშავდება თემის ფარგლებში, ასევე ქვეცნებები რომლის დაუფლების შემთხვევაში მოსწავლე უნდა მივიდეს მთავარ სამიზნე ცნებებთან და მათი საშუალებით ჩამოუყალიბდეს მაკრო ცნებები რომლის საშუალებითაც მოსწავლე შეძლებს გრძელვადიან პერიოდში მოახდინოს ახლად შესწავლილი საკითხის გაცოცხლება და ტრანსფერის უნარებით საყოფაცხოვრებო თუ საგანთშორისი კავშირების გზით გმოყენება, ასევე კომპლექსურ დავალებაში რომელიც იქნა მოწოდებული აღნიშნულია ისეთი კონტექსტი, რომელიც უკავშირდება ფუნქციურ კომპონენტურ 6 უნარს.

- ✓ უცხოური ენა

საშუალო საფეხურის კურიკულუმის შესწავლისას, ცალსახად გამოიკვათა რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას და გამოიყენებენ მომავალში მათ დასახვეწად. შესაბამისად, წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩო მიემართება საგნობრივი სტანდარტის მისაღწევი შედეგების მიღწევისკენ. გარდა ამისა , კომპლექსური დავალებების პირობები, საკითხები, რესურსები ,დამატებითი რესურსები ხელს შეუწყობს და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

უზრინველყოფს მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება,შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, კომუნიკაცია ,მოქალაქეობა,ნებელობა.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

- ✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

სასკოლო კურიკულუმი ეყრდნობა მესამე თაობის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ძირითად პრინციპებს. იგი ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლა-სწავლების პროცესს. შემუშავებულია გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად (შედეგები და სამიზნე ცნებები), რომლებსაც აზუსტებს და უფრო მკაფიოს ხდის ცნებასთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საფეხურის საკვანძო შეკითხვები.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

კურიკულუმები მიემართება გრძელვადიანი მიზნების მკვიდრი წარმოდგენების გამომუშავებას, რომელსაც კლასტერებად შეკრული საკითხების, ქვეცნებების დამუშავებით და მოკლევადიანი მიზნების შესრულების ინსტრუმენტის - კომპლექსური დავალების საშუალებით ახორციელებენ. 2023 –2024 სასწავლო წლის კურიკულუმებში მუშავდება ასევე მაკროცნება კვლევა. კვლევის ელემენტებით მოსწავლეს საკითხების სიღრმისეულ შესწავლასთან ერთად განუვითარდება გლობალურ ფუნქციური უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა .

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

- ✓ **ესთეტიკური აღზრდა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საშუალო საფეხურზე მუსიკისა და ხელოვნების სწავლება მიმდინარეობს სავალდებულო პროექტის სახით. 2022-2023 სასწავლო წელს კათედრას პროექტი არჩეული ჰქონდა მუსიკაში, მტკიცებულებების სახით კათედრამ წარმოადგინა პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი, სადაც დეტალურადაა გაწერილი სასწავლო მიზნები, აქტივობები, მასწავლებლის რეფლექსია. პროექტის ფარგლებში მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას შემოქმედებითობა სჭირდება, გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო მისგან თანამშრომლობის უნარებსაც მოითხოვს, რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, მოსწავლის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს. კათედრას არ წარმოუდგენია 2023-2024 სასწავლო წელის პროექტის სასწავლო მიზნები, თუმცა აქვთ პროექტის განხორციელების გამოცდილება და მზაობა. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია

- ✓ **სპორტი**

შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კერძოდ, კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. კურიკულუმის განხორციელების პროცესში გაწერილია თემებთან შესაბამისი სპორტული ინვეტარი და სასწავლი ელექტრონული რესურსები, რაც ახალი თაობის ეროვნული სასწავლი გეგმის გრძელვადიან მიზნებზე გასვლის წინაპირობაა.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

- ✓ სახელმწიფო ენა

სასწავლო პროცესისას სკოლა ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. იკვეთება კონკრეტულ მოსწავლეთა საჭიროებებზე, ინტერესებსა და შესაძლებლობებზე ორიენტირება. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, საკითხი პრიორიტეტულია და სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მართვის პოლიტიკაა თვალყური ადევნოს სსსმ მოსწავლეთა ინდ გეგმების შემუშავებას. მართალია, საშუალო საფეხურზე არ წარმოადგინა ადაპტირებული კომპლექსური დავალებების ნიმუშები სსსმ მოსწავლეთათვის, (საშუალო საფეხურზე სსსმ მოსწავლე არ ჰყავთ), მაგრამ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კარგად იცნობენ დიფერენცირებული სწავლების პრონციპებს . პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ კათედრის წევრებს ყველა საფეხურზე აქვთ ერთიანი ხედვა და ყოველთვის ითვალისწინებენ როგორც დავალების პირობის, ისე აქტივობების მორგებას მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებებზე.

<u>ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია</u>

- ✓ ათემატიკა

გასაუბრებაზე აღინიშნა და კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტშიდაც იკვეთება, რომ სკოლა დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს აქტიურად იყენებს ისინი ახდენენ კომპლექსური დავალების შემოქმედებითი პროდუქტის დიფერენცირებას, ასევე ტესტური დავალებაზე მუშაობის დროს ხდება მოსწავლეთა მზაობის მიხედვით დავალების დიფერენცირება. ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნისათვის კათედრა მუშაობს ინდგეგმებზე (საშუალო საფეხურზე სსსმ მოსწავლე არ სწავლობს), სადაც ხდება მკვიდრი წარმოდგენების მოდიფიცირება, საკითხთა კლასტერის მოდიფიცირება და კომპლექსური დავალების პირობის მოსწავლეთა საჭიროების მიხედვით გამარტივება.

- ✓ **უცხოური ენა**

სკოლას აქვს წარმოდგენილი ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა და ისგ სადაც ჩანს სასკოლო საზოგადოების გამოცდილება ჩართულობა, თანამშრომლობა და სწორი ხედვა ამ მიმართულებით . რაც შეეხება უცხოური ენების კათედრას და საბაზო საფეხურს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილ კურიკულუმების ჩარჩოში არ ჩანს დიფერენცირებული მიდგომა. თუმცა კომპლექსური დავალებების თემატიკა და შინაარსი იძლევა მოდიფიცირების საშუალებას. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა წარმოაჩინეს ცოდნა და ისაუბრეს დიფერენცირებული სწავლების საკუთარ გამოცდილებაზე და მეთოდებზე , აგრეთვე დეფერენცირების მნიშვნელობაზე, დავალებების, შინაარსის, პროდუქტის დიფერენცირების სტრატეგიებზე და წარმოადგინეს ნიმუშები საკუთარი პრაქტიკიდან , რაც უმეტესწილად აკმაყოფილებს ამ კომპონენტს. კათედრამ გამოხატა მზაობა კურიკულუმების დახვეწის თვალსაზრსით ამ მიმართულებით.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

- ✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

წარმოდგენილი კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწვალის ინტერესებს, მის გამოცდილებასა და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას; საგნის შედეგები და სამიზნე ცნებები განსაზღვრულია საფეხურის და არა კონკრეტული წლის ან თემის ფარგლებში. შედეგებზე განგრძობითად, მთელი საფეხურის მანძილზე, მიმდინარეობს მუშაობა; ის არ წარმოადგენს მოკლევადიან ნიშნულს, რომელიც აუცილებელი წინაპირობაა მომდევნო შედეგზე გადასასვლელად. ამავდროულად მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო პროგრამა, სასწავლო რესურსებისა და სასწავლო მასალის შეთავაზება, მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზესაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც იძლევა პროდუქტის წარდგენის ფორმის არჩევის საშუალებას, გათვალისწინებულია მოსწავლეთა მზაობის და მათი ინტერესის სფეროს შესაბამისი აქტივობები. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

- ✓ **ესთეტიკური აღზრდა**

საშუალო საფეხურზე მუსიკისა და ხელოვნების სწავლება მიმდინარეობს სავალდებულო პროექტის სახით. სკოლას 2022-2023 სასწავლო წელს პროექტი არჩეული ქონდათ მუსიკაში. პროექტის რეფლექსიაში მასწავლებელი აღნიშნავს- პროექტის განხორციელების პროცესში მოხდა მოდიფიცირება იმ კუთხით, რომ უკვე ხმებში გადანაწილებული და თითქმის შესწავლილი საგალობლები, საოპერო ნომრები, რამდენიმე მოსწავლეს გაუჭირდა რამოდენიმე მაღალი ბგერის აღება, დიდი მცდელობის მიუხედავად. ამიტომ მომიწია მათი გადაადგილება ხმებში". აღნიშნული ნათლად მეტყველებს მოსწავლის საჭიროებაზე ორიენტირებას და დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. სკოლას მტკიცებულებების სახლით წარმოდგენილი აქვს 2022-23 სასწავლო წლის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, სადაც მთელი წლის განმავლობაში გეგმავს და უწევს მონიტორინგს ინკლუზიური განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესს და ამ პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. კათედრას არ წარმოუდგენია 2023-2024 სასწავლო წელის პროექტის სასწავლო მიზნები, თუმცა აქვთ პროექტის განხორციელების გამოცდილება და მზაობა. დასკვნის სახით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესი საშუალო საფეხურზე ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.

<u>ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია</u>

- ✓ **სპორტი**

წარმოდგენილ კურიკულუმებისა და კომპლექსურ დავალებების საფუძველზე ვერ ვადგენ, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს, თუ არა დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. **მაგრამ**, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს დიფერენცირებულ მიდგომებზე: დიფერენცირებული სწავლების პროცესისას მოსწავლეებს სთავაზობენ სწავლის იმ სტრატეგიებ, რომლის დროსაც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები და საჭიროებები. მასწავლებლების თქმით, დავალების პირობა იმგვარად აქვთ შემუშავებული, რომ სწავლა მოხდეს მათთვის ეფექტური საშუალებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

4განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს

- ✓ სახელმწიფო ენა

ქართული ენისა და ლიტერატურის საშუალო საფეხურზე სკოლა იყენებს განმვითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს, თუცა კათედრამ წარმოადგინა განმსაზღვრელი შეფასების მხოლოდ ერთი ზოგადი ხასიათის რუბრიკა საბაზო და საშუალო საფეხურისთვის და ისიც საჭიროებს მოდიფიცირებას. მიუხედავად ამისა, ნათელია, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს შეფასების მიმართება გრძელვადიან მიზნებთან და მეთოდიკურ ორიენტირებთან. სკოლის სასწავლო გეგმაში მკაფიოდაა გაწერილი შეფასებასთან დაკავშირებული ზოგადი საკითხები სამივე საფეხურზე. პედაგოგებმა გამოთქვეს მზადყოფნა, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრის წევრები ერთად შეიმუშავებენ როგორც განმავითარებელი , ისე განმსაზღველი შეფასებები კრიტერიუმებსა რუბრიკებს , გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებთან შესაბამისობაში.

<u>ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია</u>

- ✓ ათემატიკა

სანიმუშოდ მოწოდებული კომპლექსური დავალება შედგენილია იმ ფორმით რომ მასში გათვალისწინებულია ტიპური განვითარების მოსწავლის ჩართულობა სასწავლო პროცესში, ასევე გასაუბრებაზე აღინიშნა რომ ისინი იყენებენ სხვადასხვა აქტივობებს კლასში რათა შეიქმნას ინკლუზიური გარემო , უნდა აღინიშნოს რომ ამ მიმართულებით მასწავლბლებმა წარმოადგინეს დოკუმენტური მასალაც, სადაც მკვიდრი წარმოდგენები არის შეკვეცილი ასევე საკითხები და კომპლექსური დავალება მოდიფიცირებული.

- ✓ უცხოური ენა

ამ საფეხურზე სკოლა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისკენ. ხოლო განსმსაზღვრელი შეფასება სამ კომპონენტიანია, ის მოიცავს საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებების შედეგებს, განმსაზღვრელ ნიშანს. უცხოური ენების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კათედრას აქვს გამოცდილება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შემუშავების და გამოყენების თვალსაზრისით ,რაც კარგად გამოიკვეთა გასაუბრების დროს(წამოადგინეს რუბრიკების ნიმუშები).
წარმოდგენილი დოკუმენტებიდან დგინდება, რომ სკოლა კარგად იცნობს და აქვს მზაობა გამოიყენოს ე.ს.გ-ით გაწერილი შეფასების სისტემა და ეფექტურად გამოიყნებს მას სასწავლო პროცესში გრძელვადინაი მიზნების მისაღწევად.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

- ✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

ზოგადად სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს, მაგრამ გასაუბრებაზე გამოიკვეთა აუცილებლობა როგორც არსებული რუბრიკების დახვეწისა და გამრავალფეროვნებისა, ასევე ცნებაზე მორგებული განმსაზღვრელი რუბრიკების შექმნისა. ამის მიუხედავად უნდა აღინიშნოს, რომ არსებული შეფასებების კრიტერიუმები მიემართება გრძელვადიან მიზნებს.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

საბაზო საფეხურის ბუნებისმეტყველების პედაგოგებს ვიზიტისას წარდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით შექმნილი აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ბუნებისმეტყველების სხვადასხვა კლასებში, განმსაზღვრელი შეფასება სტანდარტის მოსწავლეთა მოლოდინებზე დაყრდნობით თვითოეულ სამიზნე ცნებაში, ხოლო განმავითარებელი შეფასება სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების გამომუშავებისთვის მოსწავლეთა მოლოდინებზე დაყრდნობით აქვთ შედგენილი. ასევე მტკიცებულების სახით აქვთ წინა სასწავლო წლებში შექმნილი კომპლექსური დავალებების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სოლო რაქსონომიების სახით. შემაჯამებელი დავალებების შეფასების რუბრიკები და შემაჯამებლის ანალიზები.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

საშუალო საფეხურის სავალდებულო პროექტი ფასდება განმავითარებელი შეფასებით. სკოლა პროექტის 2022-23 სასწავლო წელს სკოლამ პროექტი განახორციელა მუსიკაში. წარმოადგინა დოკუმენტაცია, სადაც დეტალურადაა გაწერილი პროექტის აქტუალობა, შინაარსი, სასწავლო მიზნები, თუმცა არაა წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ძირითადად იყენებდნენ მიმდინარე განმავითარებელ შეფასებას რომელიც მიმეართებოდა საფეხურითი გასაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და შედეგებს. საბაზო და დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკების გათვალისწინებით, ინტერვიუდან მასწავლებელთა მსჯელობებზე დაყრდნობით შესაძლებელია ვიმსჯელოთ, რომ სკოლას აქვს ხედვა, მზაობა , გამოცდილება თუ როგორ შეიძლება გამოიყენოს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები ცოდნის კონსტრუირებისა და მოსწავლის განვითარებისთვის.

<u>ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია</u>

- ✓ **სპორტი**

ინტერვიუს დროს გამოჩნდა მასწავლებლების მზაობა მომავალში გამოიყენონ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ამ ეტაპზე პედაგოგები იყენებენ სიტყვიერ განმავითარებელ შეფასებას, მათ არ აქვს შემუშავებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მაგალითები ფიზიკურ აღზრდაში. სკოლას მიეცა **<u>რჩევა შეიმუშავონ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რადგან წერილობით კომენტარები დაეხმარებათ მათ თითოეული ბავშვის ფიზიკურ განვითარებაზე უფრო სიღრმისეული წარმოდგენის შექმნაში და მისი პროგრესის დაფიქსირებაში.</u>**

.5 დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

- ✓ სახელმწიფო ენა

საშუალო საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურის კურიკულუმების დაგეგმვის პროცესი ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას და ეფუძნება მისი ანალიზისას გამოტანილ დასკვნებს. როგორც ინტერვიუსას პედაგოგებმა აღნიშნეს, ისინი სისტემატურად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. კოტოსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

უზიარებენ ერთმანეთს პრაქტიკას და ერთად განიხილავენ უკეთესი შედეგების მიღწევის შესაძლებლობებს. ამის დასტურია მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრები, რომელთა ანგარიშის ფორმები სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა.

ინდიკატორი 2.1.2.5. დაკმაყოფილებულია

- ✓ ათემატიკა

კურიკულუმი იმგვარად არის აგებული, რომ გათვალისწინებულია საკითხების იერარქიულად დალაგება. კომპლექსური დავალების პირობა არის ნიმუში იმისა, თუ როგორ შეიძლება მოხდეს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი იდეის ჩამოყალიბება. ასევე გასაუბრებაზე აღინიშნა რომ ხშირად ხდება გავლილი მასალის გამოკითხვა რათა ახალ საკითხზე გადასვლის შემთხვევაში საფეხურებრივად შეძლოს მოსწავლემ ცოდნის აგება მარტივიდან რთულისაკენ, ნაცნობიდან უცნობის კვლევა-ძიებისაკენ, რაც თავისთავად არის იმის კარგი მაგალითი რომ სკოლას აქვს მზაობა შესაბამისობა აჩვენოს ავტორიზაციის სტანდარტთან მიმართებით.

- ✓ უცხოური ენა

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში სკოლა აპირებს სასკოლო საზოგადოებასთან კონსულტაციებით წინა წლის წარმატებული გამოცდილების გაზიარებას, სასკოლო საზოგადოების ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებას, მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებას, მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებას და პროფესიულ განვითარებას , სკოლის ინსტიტუციურ განვითარებას და ყველა ამ მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა შექმნის რეკომენდაციების პაკეტს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად; ინტერვიუს შედეგად კათედრამ წარმოაჩინა გამოცდილება საკუთარი მიღწევები ანალიზის , ცოდნის გაზიარების,თანამშრომლობის როგორც კოლეგებთან ასევე მშობლებთან და მოსწავლეებთან .

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

- ✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ამ ეტაპზე, დაგროვილი გამოცდილების ხარჯზე, მოსწავლეთა ნაშრომების ანალიზისა და პედაგოგიური რეფლექსიებისა და გამოცდილების გაზიარების საფუძველზე, სკოლას 2023-2024 წლისათვის, დაგეგმილი აქვს დახვეწოს სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებისა და გამოწვევების გამოვლენის მეთოდიკა. რაც გამოიხატება მასწავლებლის პედაგოგიკური პრაქტიკის შესწავლასა და გაზიარების უფრო ინტენსიურად გამოყენებაში.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

საბაზო საფეხურის ბუნებისმეტყველების პედაგოგები წინარე გამოცდილების (ჩატარებული კომპლექსური დავალებების, შემაჯამებლების ანალიზის საფუძველზე რომელიც კათედრის ოქმებშიც იკითხება) ერთობლივად გეგმავენ კათედრაზე მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმებს.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

საშუალო საფეხურზე სავალდებულო პროექტებით სწავლება სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში პირველად დაინერგა 2022-23 სასწავლო წელს. სკოლას ააქვს პროექტებით სწავლების გამოცდილება, რაც ნათლად აისახა მტკიცებულებებით წარმოდგენილი საშუალო საფეხურზე განხორციელებულ მუსიკის პროექტში გაწერილი სასწავლო მიზნებსა და აქტივობებში. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე კათედრას დაგეგმვის პროცესში აქვს გათვალისწინებული წინარე გამოცდილების ანალიზი.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ✓ სპორტი

წარმოდგენილი კურიკულუმიებიდან არ ჩანს, მაგრამ ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ვთქვათ, რომ მასწავლებლები ყურადღებას აქცევენ წარმატებულ გამოცდილებას, წინარე ცოდნას და ორიენტირებულები არიან შედეგების გაუმჯობესებაზე. მაასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ მომავალში ჩაატარონ უფრო სიღრმისეული წინარე გამოცდილების ანალიზი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სახელმწიფო ენა, მათემატიკა

- კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკა;
- სკოლის სასწავლო გეგმა;
- მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების შეხვედრების ფორმები.
- ✓ უცხოური ენა

- კურიკულუმები;
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა 2022-2023;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

- მე-10 კლასის სამოქალაქო განათლების კურიკულუმი;

ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა 2022-2023;
კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

- კათედრის ოქმი;
- შეფასების რუბრიკები;
- ფიზიკის, ქიმიის ბიოლოგიის საგნობრივი კურიკულუმები 7-9 კლასებში.

✓ ესთეტიკური აღზრდა

- ინკლუზიური განათების სამოქმედო გეგმა 2022-2023წ;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2022-2023წ;
- მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- დისკუსიის შეფასება ;
- მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი;
- მოსწავლის ნამუშევრის შეფასების რუბრიკა;
- X კლასში განხორციელებული პროექტი.

✓ სპორტი

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

- ✓ სახელმწიფო ენა

საშუალო საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, აქტიურად ჩაერთონ შემოქმედებით პროცესში. ამის მაგალითია კომპლექსური დავალებების იდეები. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტურად არაა აღწერილი მათი განხორციელების პროცესი, მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ კარგად იციან კომპლექსური დავალებების შედგენაც და მისი განხორციელებაც, შესაბამისად, მზად არიან მომდევნო სასწავლო წლისთვის მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობას დაუჭირონ მხარი. ასევე, ფუნქციონირებს ,,მკითხველთა კლუბი“, რომელსაც ხელმძღვანელობენ მე-11 და მე-12 კლასების მოსწავლეები. კლუბის წესდებაში ერთ- ერთ მთავარ მიზნდ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნულია,ინდივიდუალური და შემოქმედებითი უნარის გამოვლენა-განვითარება, რაც დასტურდება ,,მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის " დოკუმენტით.

<u>ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია</u>

- ✓ ათემატიკა

მოსწავლეთა შომოქმედებითი პროცესებში ჩართულობის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი სადაც მოკლე აღწერილობაში კომპლექსური დავალების იდეა, ნათლად აჩვენებს თუ რა პროცესების მონაწილე გახდება მოსწავლე, მან უნდა იმუშავოს თემის ფარგლებში იმ ღონისძიებების გატარებაზე რაც მას დაეხმარება საკითხებზე დაფუძნებით ეძებოს ახალი იდეები, საკითხს მიუდგეს ორიგინალურად სადაც გამოჩნდება მისი მიგნებები, ასევე ამ ფაქტის შესახებ გასაუბრებაზე ისაუბრეს მასწავლებლებმა და აღნიშნეს მთავარია სასწავლო პროცესი წარიმართოს იმ ფორმით რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში და ინ ფორმის პროდუქტის შექმნას რომელიც დაეხმარება საკუთარი ცოდნის აქტუალიზებაში.

- ✓ უცხოური ენა

კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში გაწერილი კონმპლექსური დავალებების პირობებზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი აძლევს მოსწავლეს შანსს აქტიურად ჩაერთოს პროცესში. კომპლექსური დავალებების პირობა ხშირ შემთხვევაში იძლევა შესაძლებლობას მოსწავლე არა მხოლოდ მონაწილე იყოს პროცესის არამედ შემოქმედიც, მას უწევს პრობლემის გადაჭრა, სტრატეგიების გააზრება და სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნა როგორიცაა მაგალითად, პოსტერი, ინტერვიუ, პრეზენტაცია, დიალოგი, ვიდეორგოლი, ბლოგი და ა.შ. გასაუბრების დროს დადგინდა, რომ კათედრას აქვს განხორციელებული არა ერთი პროექტი, მათ შორის საერთაშორისო. წარმოდგენილი პროექტების აღწერა ნათლად წარმოაჩენს კათედრის სწორ ხედვას, გამოცდილებას და ცოდნას მოსწავლეთა მოტივაციის, საგნების ინტეგრირების, წინარე ცოდნის გაქტიურების, ინტერესების გათვალისწინების, თანატოლებთან თანამშრომლობის, აქტიურად ჩართულობის და მათი ავტონომიურობის თვალსაზრისით.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

წარმოდგენილი კურიკულუმის საფუძველზე აშკარაა, რომ მოსწავლეთათვის შერჩეულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს წარმოაჩინონ საკუთარი მრავალფეროვანი შემოქმედებითი ინიციატივები და მიგნებები. ახალი ინფორმაცია გაცნობისა და დამუშავების დროს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით განიხილონ. დააგროვონ, ან გაირღმავონ საკუთარი ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის გზით. გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით, როგორც წერილობით, ასევე დისკუსიების სახით.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

საკლასო სივრცე, გარემო, რესურსები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი კურიკულუმის ჩარჩო, კომპლექსური დავალებები, აქტივობები და მეთოდები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას, რასაც ადასტურებს ვიზიტისას მოსწავლეთა მიერ შექმნილი არაერთი სხვადასხვა სახის შესრულებული კომპლექსური დავალებების პროდუქტები, რომლებიც ძალზედ შემოქმედებითადაა გადაწყვეტილი.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

✓ ესთეტიკური აღზრდა

საშუალო საფეხურზე დაგეგმილი და განხორციელებული პროექტში მუსიკაში, იკვეთება, რომ მასწავლებელს სასწავლო მიზნებთან მიმართებით დაგეგმილი აქვს აქტივობები დავალებები , რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეების აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. კათედრას არ აქვს წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტები, თუმცა სკოლის სოციალური (fasebook) გვერდზე განთავსებულია პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების ამსახველი ფოტო მასალა. ასევე, სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებს მუსიკალური ანსამბლი “ფესვები” რაც აღნიშნულ მსჯელობას ამყარებს . (fasebook ლიკნი კათერამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

- ✓ სპორტი

სკოლის საშუალო საფეხურის კურიკულუმები და მათში გაწერილი პრაქტიკული (მძლეოსნობა, ფეხბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი) და თეორიული (მავნე ჩვევების პრევენცია) შინაარსის თემები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. მასწავლებლებს მიეცა რჩევა, დაამატონ **<u>თეორიულად განსალხილველი თემები, მაგ., ოლიმპიზმის ისტორიიდან, ან/და საქართველოში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების ისტორიიდან და/ან სხვ.</u>**

2 **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით**

- ✓ სახელმწიფო ენა

.კურიკულუმის განხორციელებისას გათვალისწინებულია ცოდნის დაშენება წინარე ცოდნაზე. ეს ჩანს მოცემულ ჩარჩოებში, რომლებშიც წარმოდგენილი საკითხები ააქტიურებს მოსწავლეთა ცოდნას და ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას.

- ✓ ათემატიკა

კათედრის სამუშაო პროცესები მიმდინარეობს იმ მიმართულებით, სადაც მომდევნო წლის სასწავლო პროცესის აგებისთვის უნდა იქნას ის მიღწევები და წინსვლები გათვალისწინებული რაც მოსწავლეთა განვითარებას შეუწყობს ხელს ამისათვის აქტუალური ხდება მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება ახალი საკითხის შესწავლის დროს, რისთვისაც მნიშვნელოვანია კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი აიგოს იმ ფორმით სადაც აჩვენებენ მასწავლებლები მზაობას ამ კუთხით, ამ ფაქტის ნამდვილობა დასტურდება სასკოლო კურიკულუმში.

- ✓ უცხოური ენა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის შესწავლიდან, ასევე გასაუბრების დროს გამოიკვათა, რომ კათედრას გააზრებული აქვს თემატური დაგეგმის მნიშვნელობა, ჩანს რომ თემების გაწერის დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკი, მათი მზაობა და ინტერესები. ასევე შუალედური მიზნის დოკუმენტაციაში მოცემულია კონტექსტ მაგალითები, რომელიც საშუალებას იძლევა ნაცნობ კონტექსტზე დაყდრნობით მოსწავლემ მიიღოს ახალი ცოდნა და გამოცდილება. ზოგადად კომპლექსური დავალებების სპეციფიკა იძლევა ცოდნის კონსტრუირების საშუალებას და ამგვარი ტიპის დავალებები წარმოდგენილია მომავალი წლის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში. კათედრას ასევე აქვს განხორციელებული სასკოლო პროექტები,რომელთა განხორციელების გამოცდილებას გამოიყენებენ მომავალი სასწავლო კურიკულუმის შემუშავებისას და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას. კათედრის მიერ მოწოდებულ ერთ-ერთ ოქმში აღიშნულია არაფორმალური აქტივობების განხორციელების მნიშვნელობაც და ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ კათედრას აქვს განხორციელებული არაფორმალური აქტივობაც. მასწავლებლებმა გადმოაგზავნეს პროექტების ნიმუშები. კთედრა გეგმავს რომ განაგრძოს მსგავსი პრაქტიკა და მეტი მრავალფეროვანი, არაფორმალური აქტივობები განახორცელოს,პროექტები დაგეგმოს და განახორციელოს იმგვარად, რომ ნაცნობ კონტექსტში მოხდეს ახალი ინფორმაციის მიწოდება, ნაცნობი თემატიკის ირგვლივ ახალი ცოდნის კონსტრუირება , თანამშრომლობის გაძლიერება ,სასკოლო საზოგადოების მეტი ჩართულობა, გამჭოლი კომპეტენციების და ღირეულებების განვითარება.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

წარმოდგენილ კურიკულუმზე დაყრდნობით ცხადია, რომ სასწავლო პროცესი მიზნად ისახავს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და მის ეტაპობრივად, ნაბიჯ - ნაბიჯ მიყვანას ახალ ცოდნამდე. კომპლექსური დავალების პირობები იმგვარადაა ფორმულირებული, რომ კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

საბუნებისმეტყველო საგნების მატრიცებში და კურიკულუმების ჩარჩოში ჩაშენებული კონტექსტ მაგალითები მაძლევს საშუალებას, რომ დავასკვნა: მოსწავლეთა ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მარტივიდან რთულისკენ.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

სკოლას განხორციელებული პროექტის დამადასტურებელი დოკუმენტაციაში განსაზღვრული აქვს სასწავლო მიზნები, აქტივობები , რაც ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და შესაძლებლობებს. პროექტის დოკუმენტაციაში აღნიშნულია-„ აუცილებელია წინარე ცოდნის გააქტიურება. მუსიკის ენის თავისებურებებისა და მათი ანალიზის კიდევ ერთხელ სიღრმისეული გაანალიზება“. ამასთან, მასწავლებელი რეფლექსიაში აღნიშნავს რომ მომავალში უფრო მეტად გაითვალისწინებს მოსწავლეთა შესაძლებლობებს და ისე დაგეგმავს სწავლა-სწავლების პროცესს . შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ცოდნის კონსტრუირება ხდებოდა წინარე ცოდნის გააქტიურებითა და ახალი ცოდნის გადაცემით სამიზნე ცნებებთან, საგნობრივ საკითხებთან/კონტექსტებთან დაკავშირებით

<u>ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია</u>

- ✓ სპორტი

სწავლა-სწავლების პროცესში სკოლაში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე , რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ✓ სახელმწიფო ენა

სკოლის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმებში ჩანს მოსწავლეების ,,სწავლის სწავლის“ უნარის განვითრებაზე ზრუნვა. ამის მაგალითია წარმოდგენილ კომპლექსური დავალებების იდეები, რომელთა განხორციელებაც მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, მიიღონ კონკრეტული ამოცანის მოთხოვნები, ეძებონ მათი გადაჭრის ეფექტური სტრატეგიები და დაარეგულირონ საკუთარი სასწავლო გამოცდილება.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

- ✓ ათემატიკა

კომპლექსური დავალებების დიდი ნაწილი აქცენტირებულია კეთებით სწავლაზე ამას მოწმობს მე-10 კლასის კურიკულუმი სადაც კომპლექსური დავალების იდეაში გადმოცემულია მოკლედ ის პროცესები თუ როგორ უნდა შექმნას მოსწავლემ ესა თუ ის პროდუქტი და ეს პროდუქტი იქნება ძირითად თემასთან დაკავშირებული.

- ✓ უცხოური ენა

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, ინგლისური და რუსული ენების საშუალო საფეხურის კურიკულუმებში ჩანს მეტაკოგნიციის განვითარების უზრუნველყოფა. კომპლექუსური დავალების იდეებზე, პირობებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას ,რომ დავალებების შესრულების ეტაპები, საბოლოო პროდუქტის იდეები ითვალისწინებს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას.მოსწავლეებისთვის შეთავაზებული საკითხები ითვალისწინებს ასაკობრივ მახასიათებლებს, ინტერესებს და იძლევა მოსწავლეების ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების და ახალი ცოდნის დამოუკიდებლად შეძენის შესაძლებლობას , უბიძგებს მოსწავლეებს კვლევისკენ, პრობლემის გადაჭრისკენ, ინფორმაციის მოძიებისკენ, სწავლის სტრატეგიების გამოყენებისკენ. ინტერვიუს შედეგად მასწავლებლებმა წარმოაჩინეს ცოდნა და გამოცდილება მრავალფეროვანი კითხვარების გამოყენების თვალსაზრისითაც, როგორც თვითშეფასების ასევე თანაშეფასების რაც ხელს უწყობს სწავლის სწავლას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

- ✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

წარმოდგენილი კურიკულუმის ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი სწავლის სწავლაზეა აქცენტირებული. ყურადღება გამახვილებულია მოსწავლის მიერ შესრულებული სამუშაოს რეფლექსიაზე. ეს პროცესი კარგად იკვეთება მოსწავლეთა ნაშრომების შეფასებაშიც.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

ბუნებისმეტყველების პედაგოგების მიერ შექმნილი და ასევე მოძიებული, საკლასო სივრცეში დანერგილი და ნაწილობრივ მოდიფიცირებული მატრიცები იძლევა საშუალებას რომ დავასკვნათ: აქცენტი კეთდება სწავლის სწავლებაზე. რადგან მოსწავლეებს კომპლექსურების აქტივობებში უწევთ ინფორმაციის მოძიება, დამუშავება, სხვადასხვა სახით წარდგენა, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება და რაც მთავარია ცოდნის ტრანსფერი ყოველდღიურ ცხოვრებაში.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

- ✓ **ესთეტიკური აღზრდა**

სკოლამ საშუალო საფეხურზე 2022-23 სასწავლო წელს განახორციელა პროექტი მუსიკაში. პროექტებით სწავლება თავისთავად გულისხმობს მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინებასა და მეტაკოგნიტური უნარების კვლევითი უნარების, კრიტიკული აზროვნების განვითარებას. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

სასწავლო პროცესი სასურველია მასწავლებლებმა მეტად გაამახვილონ ყურადღება იმ სტრატეგიებზე რომელიც მოსწავლეს დაეხმარება მეტაკოგნიციასა და სწავლის სწავლის უნარების განვითარებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია</u>

- ✓ **სპორტი**

მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. კომპლექსური დავალებებიდან ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას, ახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას (სასკოლო ფესტივალებში სპორტის სხვადასვა სახეობაში).

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

- ✓ სახელმწიფო ენა

.საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლეთა დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის მიღებაზე. ეს კარგად ჩანს როგორც დაგეგმილი კომპლექსური დავალებების იდეებში, ისე სხვადასხვა ღონისძიებაში, რომლებიც სკოლამ წარმოადგინა. ეს კარგად ჩანს დაგეგმილი კომპლექსური დავალებების იდეებში, რომლებიც სკოლამ წარმოადგინა და სამივე სახის ცოდნის დაუფლების საშუალებას იძლევა.

<u>ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია</u>

- ✓ **ათემატიკა**

გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ მასწვლებელი მოსწავლეთა ცოდნის დასადგენად ყურადღებას აქცვს ცოდნათა სამ კატეგორიას, დეკლარატიური, პროცედურულს და პირობისეულს, მათთვის თანაბრად მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა დაძლიოს სამივე დონე და მოახდინონ კათედრაზე გარკვეული ანალიზი იმისა თუ რა გაუჭირდათ და რაში საჭიროებენ დახმარებას მოსწავლები, შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრიტერიუმში რომელიც იყო წარმოდგენილი ინდიკატორებში თემის ფარგლებში დაკონკრეტებული მკვიდრი წარმოდგენა, აფასებდა ცოდნათა სამ კატეგორიას.

- ✓ უცხოური ენა

კომპლექსური ბუნების დავალებები და პროექტები თავისთავად ორიენტირებულია სამივე კატეგორიის ცოდნაზე და გულისხმობს ცოდნის კონსტრუირებას, აგებას, მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმებით და ინტერვიუზე დაყრდნობით დგინდება, რომ უცხოური ენების კათედრას აქვს გამოცდილება კომპლექსური ტიპის დავალებების შემუშავების და გამოყენების სწავლა - სწავლების პროცესში . შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებიდან, კომპლექსური დავალებების იდეებიდან და განხორციელებული პროექტების ნიმუშებიდან იკვეთება დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის განვითარებაზე გაკეთებული აქცენტები და ჩანს კათედრის მზაობა .

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

- ✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

წარმოდგენილი პროექტები მკაფიო დადასტურებაა იმისა, რომ სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. პედაგოგები ხელს უწყობენ მოსწავლეს საგნობრივი სასკითხების სირღმისეულად გააზრებაში, სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებაში. პროექტების განხორციელების დროს მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბაზო საფეხურის ქიმიის, ბიოლოგიის და ფიზიკის კურიკულუმების ჩარჩოებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების მატრიცებში ჩანს, რომ აქტივობები გათვლილია ცოდნის სამ კატეგორიაზე: დეკლარატიულზე, სადაც ინფორმაციის გაგება დამახსოვრება ხდება; პროცედურულზე, სადაც მიღებული ცოდნის საფუძველზე სხვადასხვა პროცედურების განხორციელება; (გამოთვლები, ექსპერიმენტები, მოდელების შექმნა და სხვ..) ასევე მიღებული ცოდნის, გამოცდილების გამთლიანება და სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებში ადეკვატურად გამოყენება -პირობისეული ცოდნის გამოვლენის საშუალებას იძლევა.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

საშუალო საფეხურზე განხორციელებული პროექტში წარმოდგენილია სასწავლო მიზნები და აქტივობები, თუმცა აქტივობებები და პროექტის ფარგლებში დავალებები დეტალურად არაა გაწერილი. მასწავლებლის რეფლექსიაში და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში სასწავლო მიზნების/სამიზნე ცნებების ცოდნის კონსტრუირებისთვის იყენებდნენ ცოდნის სამივე კატეგორიაზე გათვლილ აქტივობებსა და სასწავლო მეთოდებს. აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული).

<u>ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია</u>

- ✓ სპორტი

ფიზიკური აღზრდის კურიკულუმებში არ არის მოცენული ინფორმაცია იმ აქტივობებზე, სადაც გამოჩნდება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). მაგრამ, ინტერვიურების დროს გამოჩნდა მასწავლებლის მზაობა, რომ ჩავთვალოთ ამ კრიტერიუმის შესაბამისობა.

სკოლას მიეცა <u>**რჩევა, ჩააშენოს საშუალო საფეხურის კურიკულუმებში პროექტული ტიპის დავალებები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის ნიმუშები და სხვა, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს ითანამშრომლონ თანატოლებთან, თავად გამოიჩინონ ინიციატივა და უფრო აქტიურად გახდნენ სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეები.**</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

- ✓ სახელმწიფო ენა

საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში იკვეთება მოსწავლეთა ცოდნის ურთიერთდაკავშირებისა და ორგანიზების გათვალისწინება. მასწავლებელთა ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება, ჩაატარონ ღონისძიებები ამ მიმართულებით. ამის მაგალითად დაასახელეს კომპლექსური დავალებებ, რომელთა განხორციელებისას ხდება ცოდნის ორგანიზება, კურიკულუმებში მითითებული იდეები საშუალებას იძლევა, დავინახოთ მზაობა ახალი სასწავლო წლისთვის აქტიურად წარიმართოს მუშაობა ცოდნათა ურთიერთკავშირის მისაღწევად , რაც ხელს შეუწყობს კონსტრუქტივისტული პრინციპების მიღწევას.

<u>ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია</u>

- ✓ **ათემატიკა**

პედაგოგებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს რომ მათთვის მნიშვნელოვანია მოახდინოს მოსწავლეებში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და მსჯელობის წარმოება იმაზე თუ როგორ უკავშირდება სხვადასხვა საკითხები ერთმანეთს, ამაში მათ ეხმარებათ კომპლექსური დავალებები სადაც მუშავდება ცოდნათა პრაქტიკული გამოყენება.

- ✓ **უცხოური ენა**

უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში არის წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები. კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. აქედან გამომდინარე ვთვლი, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია წარმოაჩენს კათედრის მზაობას დაგეგმოს და უზრუნველყოს ისეთი სასწავლო პროცესი , სადაც მოსწავლეები შეძლებენ ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. აგრეთვე სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ვკითხულობთ , რომ განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს საინტერესო და მრავალფეროვანი პროექტებით სწავლებას,პროექტები შესაბამისობაშია მდგრად განვითარების მიზნებთან და მოსწავლეებთან ინდივიდუალური მიდგომით მათში 21-ე საუკუნის შესაბამისი უნარების განვითარებას უწყობს ხელს. მასწავლებლებთან ინტერვიუმ ასევე წარმოაჩინა კათედრის გამოცდილება პროექტების დაგეგმვის და განხორციელების კუთხით საშუალო საფეხურზე.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

კომპლექსური დავალებებით სწავლება ხელს უწყობს მოსწავლეებში საგნობრივი საკითხების სირღმისეულ გააზრებას, ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას, ვინაიდან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე. ის ყოველივე კი თავითავად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

საბაზო საფეხურის ქიმიის, ბიოლოგიის და ფიზიკის პედაგოგთა წარმოდგენილ მატრიცებში ჩანს რომ მოსწავლე უწევს სხვადასხვა მიმართულების ცოდნათა გამთლიანება, ორგანიზება სხვადასხვა მაორგანიზებელი ინსტრუმენტებით, მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვა, სხვადასხვა ცოდნის გამთლიანება და სამიზნე ცოდნის მკვიდრი წარმოდგენების გამომუშავება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

კათედრის მიერ განხორციელებულ პროექტის დოკუმენტაციაში (პროექტის თემა - ეროვნული იდენტობისა და ევროპული მუსიკალური აზროვნების საკითხები ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებაში) ნათლად არის წარმოდგენილი საგანთაშორის კავშირები და ინტეგრაცია. სასწავლო პროექტი ისე იყო დაგეგმილი რომ მოსწავლეებს უწევდათ თემის ფარგლებში საკითხების გრძელვადიანი სასწავლო მიზნების გააზრება სხვადასხვა კონტექსტებში (ისტორიული, კულტურული), რაც გულისხმობს სხვადასხვა საგნებში (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, სამოქალაქო განათლება, ისტორია, ქართული ენა) მიღებული ცოდნის ურთიერთდაკავშირებას და ცოდნის ორგანიზებას.

<u>**ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია**</u>

- ✓ **სპორტი**

საშუალო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი აქტივობები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას. ინტერვიუირების დროსაც მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან მასალებსა და აქტივობებს, შესაბამისად შეიძლება დავასკვნათ, რომ ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სახელმწიფო ენა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- კურიკულუმები;
- სკოლის სასწავლო გეგმა;
- ,,მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის " დოკუმენტი.

✓ მათემატიკა, უცხოური ენა

- საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო პროექტები;
- უცხოური ენები კათედრის სხდომის ოქმი;
- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი.

✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

- მე-10 კლასის სამოქალაქო განათლების საგნობრივი კურიკულუმი;
- სასკოლო პროექტები

✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

- ბუნებისმეტყველების კურიკულუმები
- წარმოდგენილი მატრიცები
- მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროდუქტები

✓ ესთეტიკური აღზრდა

- ინკლუზიური განათების სამოქმედო გეგმა 2022-23წ;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2022-2023წ;
- მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- დისკუსიის შეფასება ;
- მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი;
- მოსწავლის ნამუშევრის შეფასების რუბრიკა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ✓ სპორტი
- . საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

- ✓ სახელმწიფო ენა

სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილ მასალაში ჩანს, რომ პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების საგნობრივ საკითხებთან მიმართება. კურიკულუმის ჩარჩოებში არ არის გაწერილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მკვიდრი წარმოდგენები, მაგრამ მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ კარგად აქვთ გააზრებული აღნიშნული საკითხი და მოსწავლეებთან მუშაობისას აუცილებლად გაითვალისწინებენ მათ ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებაში. პედაგოგებმა გაგვიზიარეს გამოცდილება , თუ როგორ ამუშავებენ სამიზნე ცნებებს კომპლექსური დავალებების დახმარებით სასწავლო პროცესში , სკოლას აქვს მზაობა ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმების სრულყოფისთვის.

<u>ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია</u>

- ✓ ათემატიკა

ოწოდებული მე-10 და მე-12 კლასის კურიკულუმების განხილვის შემდეგ ჩანს რომ კურიკულუმები აგებულია მათემატიკის სამივე სამიზნე ცნებაზე, რადგან ყველა თემაში მისი გამოყენების მნიშვნელობა ჩანს. ამასთან უნდა აღინიშნოს რომ გასაუბრებაზე მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ საშუალო საფხუზე მოხდება მეტი ორიენტირება მკვიდრ წარმოდგენებზე, ამ მიმართულებით სკოლამ აჩვენა მზაობა.

- ✓ უცხოური ენა

სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტები, სადაც გაწერილია თემების მიხედვით კომპლექსური დავალებების იდეები, საგნის სამიზნე ცნებები. უცხო ენის სამიზნე ცნებებია საშუალო საფეხურზე ჟანრი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები და კულტურათა შორის დიალოგი. კომპლექსური დავალებების იდეებზე, პირობებზე,კონტექსტ მაგალითებზე და რესურზებზე დაყრდნბით დგინდება, რომ აღნიშნული სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება ნაცნობ კონტექსტზე დაფუძნებით, მკვიდრი წარმოდგენების რეალიზების გზით. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა ,რომ უცხოური ენების კათედრას მკაფიოდ აქვს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მექნიზმს) შორის და აქვს მზაობა სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეს მისცეს განმავითარებელი შეფასება ცნებასთან და მის მკვიდრ წარმოდგენასთან მიმართებით .

ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლაში მოქმედი სასკოლო კურიკულუმი შექმნილია იმგვარად, რომ მოსწავლეს მეხსიერებაში ხანგრძლივად, მკვიდრი წარმოდგენებს სახით დარჩეს ის ნასწავლი ინფორმაცია, რომელზეც მან სიღრმისეულად იმუშავა. მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებსა და საკვანძო შეკითხვებს შორის

ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

2023-2024 წლის საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული და წინა წლებში განხორციელებული კომპლექსური დავალებები მიემართება საკითხების და ქვეცნებების სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებთან დაკავშირებისკენ. მოსწავლის მიერ შესასრულებელი კომპლექსური დავალებაში ხაზგასმით წარმოსადგენ კრიტერიუმებს მატრიცაში მითითებული აქვს თუ რომელი სამიზნე ცნების კერძოდ რომელ მკვიდრ წარმოდგენას გამოუმუშავებს მოსწავლეს გრძელვადიან პერსპექტივაში. ასევე საკითხის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენების სფეროების გააზრების საშუალებასაც იძლევა.

ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად

- ✓ **ესთეტიკური აღზრდა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კათედრის მიერ წარმოდგენილი პროექტის დოკუმენტაციიდან შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მასწავლებლები უზრუნველყოფდნენ სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გააზრებას საგნობრივ საკითხებთან მიმართებით. მოსწავლეებმა შეისწავლეს ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედება, გაეცნენ ფალიაშვილის მუსიკალური ენის, ბიოგრაფიული შტრიხებს. პროექტის მიზანში ვკითხულობთ- „ზ. ფალიაშვილმა შექმნა ეროვნული მუსიკალური ენა, რომელშიც უდიდესი ოსტატობით შეერწყა ერთმანეთს ევროპული და ქართული კულტურის საწყისები; ზ. ფალიაშვილისთვის, ისევე როგორც დასავლეთევროპული მუსიკის კლასიკოსებისთვის, სააზროვნო ფორმა იყო ქართული ხალხური მუსიკა; სიმღერის, ცეკვის, ქორეოგრაფიის პირველსაწყისობა (ავთენტურობა) ზაქარია ფალიაშვილის კოსმოპოლიტიზმზე მეტყველებს; ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი - პატრიოტი.“ აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

<u>ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია</u>

- ✓ სპორტი

სკოლის ფიზიკური აღზრდის საბაზო საფეხურის კურიკულუმები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნებების და მათი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნოვრივ საკითხებზე დაყრდნობით. მოსწავლეები ეცნობიან საგნოვრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს, განიხილება კონპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება.

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას**

- ✓ სახელმწიფო ენა

დოკუმენტაციის შესწავლისას იკვეთება, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მოსწავლეთა ფსიქო - ემოციური განვითარების გათვალისწინებით. სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა პიროვნული და ინდივიდუალური შესაძლებლობების წარმოჩენაზე. დოკუმენტში ,, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

უზრუნველყოფის მექანიზმები“ პრიორიტეტულადაა წარმოდგენილი ბავშვისადმი ჰუმანური დამოკიდებულება; ზრუნვა ბავშვის უფლებების დაცვაზე; არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა (ეს შეიძლება ეხებოდეს როგორც სასწავლო შინაარსს, ისე ცოდნის დემონსტრირების ფორმას); ბავშვის დაცვა მატრავმირებელი გამოცდილებისა და სხვათა მხრიდან მუქარებისგან; ბავშვისთვის სტრესულ სიტუაციებთან გამკლავების, ემოციებისა და ქცევის მართვის უნარების განვითარება.

აღნიშნულ დოკუმენტში დასახელებულია სხვადასხვა აქტივობა ამ მიმართულებით, ესენია: კლასგარეშე ღონისძიებები, სადაც ყველაზე მეტად ხდება მოსწავლეთა დამეგობრება, ღიაობა, მზადყოფნა სხვათა დასახმარებლად, სასწავლო - შემეცნებით ექსკურსიები, ასევე დისკუსიები/დებატები, სასკოლო/საკლასო ესეების კონკურსი, ნახატების კონკურსი, სპორტული შეჯიბრებები, საინტერესო, ცნობილ და პოპულარულ ადამიანებთან შეხვედრები, პროექტები. კინოსეანსის ჩვენებები და შემდეგ მათი განხილვები, მოსწავლეთა განწყობის ასამაღლებლად.

<u>ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია</u>

- ✓ ათემატიკა

მოსწავლის ჰოლისტური განვითარერბისათვის მოწოდებული შეფასების რუბრიკების ანალიზიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებელი ცდილობს შეფასებასი ასახოს ის ნიუანსები რომელიც არის ხელიშემწყობი მისი განვითარების და ხელშემწყობის, ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს რომ პიროვნული, მოქალაქეობრივი თვითმყოფადობის გაძლიერებისათვის სკოლა ცდილობს ჰქონდეს ისეთი მოქმილი ინდიკატორები, რომელი დაეხმარება სწორი მიმართულები განავითაროს მოსწავლე.

- ✓ უცხოური ენა

წარმოდგენილი კურიკულუმიდან და კათედრის ოქმიდან ირკვევა, რომ კათედრა ახორციელებს კომპლექსური ტიპის დავალებებს და დიდ დროს უთმობს პროექტებით სწავლებას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების საკითხები, იდეები და პირობები ხელს უწყობს მოსწავლეების მხრიდან სხვადასხვა სახის პროდუქტის შექმნას. ამ პროდუქტზე მუშაობის პროცესში ხშირად მოსწავლეს უწევს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თანამშრომლობა თანატოლებთან, ხდება თვითშეფასება და ურთიერთშეფასება, რა დროსაც ვითარდება კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, მოსწავლეს უჩნდება თვითრეფლექსიის უნარები, სოციალური ურთიერთობებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები. ინტერვიუს შედეგად დადგინდა ,რომ კათედრას აქვს გამოცდილება კლასგარეშე აქტივოებების, ექსკურსიების, პროექტების , არაფორმალური აქტივობების დაგეგმვის და განხორციელების გამცდილება რაც თავისთავად მოსწავლისგან მოითხოვს ფსიქო-ემოციურ ჩართულობას და ხელს უწყობს პიროვნულ ზრდის და განვითარების პროცესს .

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ვკითხულობთ , რომ განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს საინტერესო და მრავალფეროვანი პროექტებით სწავლებას,პროექტები შესაბამისობაშია მდგრად განვითარების მიზნებთან და მოსწავლეებთან ინდივიდუალური მიდგომით მათში 21-ე საუკუნის შესაბამისი უნარების განვითარებას უწყობს ხელს ასევე სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და პატრიოტულ სულისკვეთების ჩამოყალიბებას.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

- ✓ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

სკოლაში მოქმედი სასკოლო კურიკულუმი შექმნილია იმგვარად, რომ მოსწავლეს მეხსიერებაში ხანგრძლივად, მკვიდრი წარმოდგენებს სახით დარჩეს ის ნასწავლი ინფორმაცია, რომელზეც მან სიღრმისეულად იმუშავა. მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებსა და საკვანძო შეკითხვებს შორის

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

ბუნებისმეტყველების საგნებში მატრიცები მოწავლის ინტერესთა სფეროს გათვალისწინებითაა შექმნილი, ემსახურება მოსწავლის, როგორც ერთი მოქალაქის პიროვნული პასუხისმგებლობის გამომუშავებას ბუნების დაცვის, უსაფრთხოების ასპექტებში. ასევე ითვალისწინებს სოციალური უნარების; კომუნიკაციის, კოლაბორაციის, ემფატიის და სხავ უნარების გამომუშავებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

- ✓ **ესთეტიკური აღზრდა**

საშუალო საფეხურზე მუსიკაში წარმოდგენილი პროექტის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ რომ, პროექტის განხორციელებისას გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული პროექტი მიმართული იყო არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც.
სკოლის ბაზაზე არსებობს მუსიკალური ანსამბლი „ ფესვები', რომელიც აქტიურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიებებში როგორც სკოლის, ასევე რაიონულ მასშტაბით. ეს კი მოსწავლეებში ხელს უწყობს პიროვნული/ ფსიქო-სოციალური უნარების განვითარებას. მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ ინდიკატორთან შესაბამისობა- საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

- ✓ სპორტი

საშუალო საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. თემები შერჩეულია ისეთნაირად, რომ დავალებები, აქტივობები, შეფასების რუბრიკები ხელს უწყობს მოსწავლეების ჩართულობას, ააქტიურებს მათ ცოდნას ისეთ საკითხებზე როგორიცაა თვითკონტროლი, ემოციების მართვა, გუნდურობა, პასუხისმგებლობა.

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

- ✓ სახელმწიფო ენა

სკოლაში არსებული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას. საშუალო საფეხურზე გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებები . სკოლას სასწავლო გეგმაში პუნქტობრივად აქვს გაწერილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები. მართალია, მხოლოდ დაწყებით საფეხურზე წარმოადგინეს განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები, კომპლექსურ დავალებებთან მიმართებაში, მაგრამ ინტერვიუსას შეიმჩნეოდა კათედრის წევრებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა . სხვადასხვა საფეხურის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კათედრას აქვს ერთიანი ხედვა ამ მიმართულებით და ყველანაირად უჭერს მხარს მოსწავლეთა ჰოლისტურ განვითარებას. მასწავლებლებს აქვთ მზაობა, სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველყონ შეფასების რუბრიკების შემუშავება საშუალო საფეხურისთვის.

ქართული ენისა და ლიტერატურის საშუალო საფეხურის მასწავლებლები კარგად აცნობიერებენ მოსწავლეთა ჰოლისტური შეფასების მხარდაჭერას და წარმოადგენენ ,,შეფასების ანგარიშს ფორმებს", რომლებიც ასახავს მოსწავლეთა სადიაგნოსტიკო შეფასების შედეგად მიღებულ შედეგებს. ასევე, ,,მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრის ანგარიშის ფორმებში" გაწერილი აქვთ შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები.

სხვა ტიპის დავალებების შეფასების რუბრიკები არ გვაქვს მოცემული (მაგ. ჯგუფური, განმსაზღვრელი) , თუმცა გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ პრაქტიკაში ყოველთვის იყენებენ და ახალი სასწავლო წლისთვის მზად არიან თემების შესაბამისად შეადგინონ ისინი.

ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია

- ✓ ათემატიკა

მოსწავლეთა მრავალმხრივი შეფასებისათვის სადაც გათვალისწინებულია საგნობრივი საკითხების კონტექსტი მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით წარმოადგენს ჰოლის ტური შეფასების ნიმუშს ასევე აღინიშნა ასევე ყურადსაღებია 6 ფუნქციურ-კომპონენტური უნარებით მოხდეს მოსწავლის აკადემიურ ზრდაზე დაკვირვება და ანალიზი აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ,

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

- ✓ უცხოური ენა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ---------- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის ნარატივში ჩანს სკოლის სწორი ხედვა შეფასების სისტემის თვალსაზრისით. უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კურიკულუმებში არ არის ჩაშენებული და არ ჩანს შეფასების პრაქტიკული ნიმუშები, ხერხები, სტრატეგიები, რუბრიკები , თუმცა , რადგან აღნიშნული კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებების მართებული იდეები და კათედრასთან გასაუბრებისას მასწავლებლებმა წარმოაჩინეს გამოცდილება, ცოდნა განმავითარებელი და განსაზღვრელი შეფასებების კუთხით, ვთვლი ,რომ უცხოური ენების კათედრა გამოხატავს მზაობას გამოიყენოს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შეფასების აუცილებელი კომპონენტები : დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით (ჰოლისტური) და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს: პრესტრუქტურულს, უნისტრუქტურულს, მულტისტრუქტურულს, მიმართებით და აბსტრაქტულ დონეებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლის შეფასების სისტემა ეფუძნება ეროვნულ სასაწვლო გეგმას. შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის ყოველდღიური პროცესის; ფოკუსირებულია ცოდნის აგებასა და გამოყენებაზე. ასაუბრებაზე გამოიკვეთა შეფასების კრიტერიუმების დახვეწისა და ცნებაზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკების შექმნის აუცილებლობა.

ესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

შეფასების სისტემა იძლევა მოსწავლის ჰოლისტური განვითარების შეფასების საშუალებას. სკოლამ მომავალი საწავლო წლისთვის აირჩია სამკომპონენტიანი განმსაზღვრელი შეფასება და სადიაგნოსტიკო შეფასების მეოთხე ინსტრუმენტი.

გარდა ამისა საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებმა წარმოადგინეს მოსწავლის ქცევაზე დაკვირვების ფურცელი, პროექტის მიმდინარეობისას ჯგუფების შეფასების რუბრიკა, გაანმავითარებელი შეფასების რუბრიკა სოლო ტაქსონომიით, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები კონკრეტული ერთი გაკვეთილისთვის , რომელიც კომპლექსური დავალების ხაზგასმით წარმოსაჩენი ერთი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კრიტერიუმის დაფარვას ემსახურება და სტანდარტის მიხედვით, ასევე განმავითარებელი შეფასება რომელიც სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების გამომუშავების გაზომვის საშუალებას იძლევა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

სასწავლო პროექტი თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებებს, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციული ცოდნიდან პიროვნისეულ ცოდნამდე. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს არ გამოუყენებიათ შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტები. განმავითარებელი უკუკავშირითა და წამახალისებელი კომენტარებით უზრუნველყოფდნენ მოსწავლეების ჩართულობასა და სამუშაო პროცესში რეფლექსიას, ცდილობდნენ პროცესის ხელშეწყობას რათა მოსწავლეებს გამოევლინათ ძლიერი მხარეები. ამ მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე თუმცა საჭიროებს გაუმჯობესებას.

ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია

- ✓ სპორტი

ინტრვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპზე მასწავლებლები იყენებენ მხოლოდ ზეპირსიტყვიერ შეფასებას. სკოლა გამოხატავს მზაობას, შექმნა წერილობითი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ფიზიკრი აღზრდისა და სპორტის საგანში. ჰოლისტური განვითარების მხარდასაჭერად მნიშვნელოვანია მოსწავლეების საკუთარ ცოდნაზე დაფიქრება.

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ სკოლა სრულად იზიარებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ შეფასების პრინციპებს, მეთოდებს, მოსწავლის შეფასების მიზანს, შეფასების ტიპებს, აკადემიური მიღწევის დონეებს და საგნის სემესტრული ქულის შემადგენელ კომპონენტებს, განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობებს, სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულის გამოანგარიშების წესებს, კლასისა და საფეხურის დაძლევას, გაცდენებს და შეფასებას, გამოცდის ტიპებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლის აკადემიური მიღწევებს. სკოლა ირჩევს შეფასების სამ კომპონენტიან სისტემას. კათედრებმა წარმოადგინეს შეფასების რუბრიკები სხვადასხვა კომპლექსური ტიპის დავალებების შესაფასებლად. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები იძლევა მოსწავლს მიუკერძოებლად შეფასების საშუალებას, არის ვალიდური (აფასებს ზუსტად იმას, რის შეფასებაც არის განზრახული), გამჭვირვალობის მიზნით კი მასწავლებლები წინასწარ გააცნობენ მათ მოსწავლეებს.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

5. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლას 2023 წლის N56 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი, აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით პედაგოგიური კოლექტივიდან შეირჩევა 2 წევრი, რომლებიც ყოველწლიურად შეიცვლებიან და რომლებიც მონიტორინგს გაუწევენ მოსწავლეთა შეფასებას, სემესტრში ერთხელ წარადგენენ დასკვნას განხორციელებული საქმიანობის შესახებ. დასკვნის საფუძველზე სკოლა შეადგენს ვერიფიკაციის სამოქმედო გეგმას. სადაც სრულყოფილად აისახება ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა რის განხორციელებასაც აპირებს სემესტრის ბოლოს წარდგენილ დასკვნაში ასახული პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად. სამოქმედო გეგმაში ასევე ასახული იქნება: განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

6. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

პედაგოგებთან/დირექციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ხდება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით და სკოლის საქმისწარმოების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დებულების მიხედვით დადგენილი ვადით. სკოლის საქმისწარმოების დებულებით ასევე განმარტებულია, რომ ყველა დოკუმენტი, რომელიც იწარმოება სკოლაში ინახება 3 წლის ვადით და შემდეგ გადადის არქივში.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი;
- შეფასების რუბრიკები;
- მოსწავლეთა პირადი საქმეები;
- მოსწავლის ნაშრომები.

✓ ახელმწიფო ენა

- „ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- კურიკულუმები;
- მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრის ანგარიშის ფორმები;
- შეფასების ანალიზის ფორმა-„მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირება“;
- სკოლის სასწავლო გეგმა.

✓ ათემატიკა და საზოგადოებრივი მეცნიერებები

- შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმები.

✓ **უცხოური ენა**

- კათედრის სხდომის ოქმი;
- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- კურიკულუმები ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ვერიფიკაციის მექანიზმი სასკოლო სივრცეში.
- ✓ სპორტი და ესთეტიკური აღზრდა
- შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო**

სკოლაში ყველა მოსწავლისთვის შექმნილია კეთილგანწყობილი, სასურველი და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემო. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები და სასწავლო პროცესში დაგეგმილი დიფერენცირებული მიდგომები საშუალებას აძლევს მოსწვალეებს პიროვნული ზრდისთვის, მოსწავლის შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და მხარდამჭერი სასწავლო პროცესის მაჩვენებელია. სსსმ მოსწავლეებისათვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც ისგ ჯგუფის მიერ პერიოდულად გადაიხედება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება. სკოლაში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის მოსწავლეები თავისუფლად ამყარებენ კომუნიკაციას ერთმანეთთან. ამაზე მოწმობს სკოლის შიდა სასკოლო აქტივობები, ღონისძიებები და პროექტები. სკოლაში აქვთ იდეათეკის კაბინეტი, სადაც <u>**მოსწავლეების იდეებს ფრთები ესხმევა პროექტების სახით.**</u>

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

.2. **სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ერივნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად და მოიცავს საგაკვეთილო და არასაგაკვეთილო აქტივობებს, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესების სფერო. კურიკულუმის ჩარჩოებში მითითებულ მატრიცებში ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული დავალებები, მოსწავლეებს ეძლევათ ისეთი დავალები, სადაც საბოლოო შედეგის/პროდუქტის არჩევანის **საშუალ**ება აქვთ. სკოლის/მასწავლებლების მიერ დაგეგმილ მრავალფეროვან აქტივობებში გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესებისა და შესაძლებლობების სფერო. განსაკუთრებით მოსწავლეზე ორიენტირებულია ის სასწავლო, ინტეგრირებული პროექტები, სადაც მოსწავლეები საკუთარი სურვილთ ერთვებიან

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

3. **სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას**

სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ერთობლივად ძიება. სხვა საგნობრივ კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის სხვადასხვა პერსპექტივიდან ჩართვას კურიკულუმის შემუშავებაში. სასწავლო პროცესი დაფუძნებულია თანამშრომლობით კულტურაზე და ჯანსაღ კომუნიკაციაზე, მასწავლებლები მოსწავლისთვის აღიქმება როგორც უფროსი მეგობარი. კათედრის ოქმებში იკითხება კათედრის წევრების შეთანხმებული მუშაობა კურიკულუმის დაგეგმვა შესრულებისას. კოლეგები ერთმანეთს უზიარებენ წარმატებულ გამოცდილებას და აქვთ კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი. ასევე ჩანს ლიდერ მასწავლებელთა მუშაობა კოლეგებთან. დამრიგებლის მშობელთან კრებების ოქმებში და სასკოლო ღონისძიებებში ასახულია მშობლების ჩართულობა სასწავლო ღონისძიებებში.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. სკოლის ფოიეებში და საკლასო ოთახებში მოწყობილია საგამოფენო სივრცეები, სადაც მოსწავლეთა ნამუშევრებია განთავსებული. **კლასის დამრიგებლებს მუდმივი ზრუნვის საგანია პოზიტიური კლიმატის შენარჩუნება კლასის დონეზე, რაც თავისთავად შემდგომ პოზიტიურ ასახვას ჰპოვებს სკოლის**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დონეზეც.სკოლაში ფუნქციონირებს ცეკვის და სიმღერის ანსამბლები, ინგლისურის კლუბი, რომლებიც სკოლაში ქმნიან პოზიტიურ კლიმატს.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივ კათედრებზე გამოცდილების გაზიარება;
- კათდრების ოქმები;
- მატრიცები;
- შეფასების რუბრიკები

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

სკოლას განსაზღვრული აქვს მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება. მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ, განუყოფელ ნაწილს. კურიკულუმის განვითარება თავისთავად წარმოადგენს ციკლურ პროცესს, პირველ რიგში ხდება მისი დაგეგმვა, რასაც მოსდევს განხორციელება და მონიტოინგი /შეფასება გადაგეგმვა. სკოლის არსებული პრაქტიკა და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია იძლევა საშუალებას ვთქვათ, რომ მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

2მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლაში მოქმედებს კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭრის ჯგუფი. თითოეული წარმოდგენილი ჯგუფი ახდენს საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებას და შედეგების ანალიზს, დაკვირვების შედეგები განიხილება მასწავლებელთან ერთად და გაიცემა რეკომენდაციები მათი შესაძლებლობების გასაძლიერებლად. სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიან აამოქმედოს ასევე მოსწავლეთა სადიაგნოსტიკო შეფასების სისტემა, რომლის მთავარი მიზანია ერთის მხრივ მოსწავლეებთან არსებული მუშაობის გამოწვევების და მეორეს მხრივ მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა, რათა სასწავლო პროცესში მოხდეს მათი გათვალისწინება.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა/მასწავლებელთა/სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსის შეფასების მთავარი მიზანი მოსწავლეთა დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში, მათი სასწავლო შედეგებზე თვალის მიდევნება და დინამიკის განსაზღვრა. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ შესაბამისი კათედრის წევრები ერთად მსჯელობენ, გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი გამოწვევების დასაძლევად.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კათედრის ოქმები.
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭრის ჯგუფის საქმიანობის ამსახველი მასალა;
- კათედრების ოქმები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.**შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლა ცდილობს მოსწავლის შეფასება იყოს მრავალმხრივი და შესაბამისად იყენებს შეფასების მრავალფეროვან წყაროებს. კერძოდ, მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკების (განმსაზღვრელი, განმავითარებელი) ანალიზით ხდება მოსწავლის აკადემიური მოსწრების დინამიკაზე დაკვირვება, ხოლო მოსწავლეთა ინტერესებზე, მათ არასასკოლო აქტივობებში ჩართულობაზე ინფორმაციას აგროვებს დამრიგებელი, სკოლის მიერ დაგეგმილ არაფორმალურ აქტივობებსა და პროექტებში მონაწილეობაზე მოსწავლესთან დაკავშირებული ინფორმაცია თავს იყრის შესაბამის აქტივობების/პროექტების ხელმძღვანელთან რაც ერთობლივად წარმოადგენს მოსწავლის ჰოლისტურ დახასიათებას. მოსწავლეთა შეფასებისათვის ეფექტიანად გამოიყენება განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც სამიზნე ცნებებისკენ მიემართება

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

სკოლა ცდილობს მოსწავლე შეაფასოს სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით, ვინაიდან აღიარებს, რომ მოსწავლის პროდუქტულობაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი.

მასწავლებლები მოსწავლეებს აკვირდებიან საგაკვეთლო პროცესში, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის დროს, დამრიგებლები მოსწავლეებისა და მშობლებისგან აგროვებენ ინფორმაციას მოსწავლის ინტერესებსა და მოსწავლის თავისუფალი დროის მართვაზე. მოსწავლის ქცევას სკოლაში, საკლასო ოთახსა და სკოლის ეზოში, აკვირდება დამრიგებელი.

_ <u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლა აღიარებს, რომ შეფასების ვალიდურობა დამოკიდებულია ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორზე, მათ შორის მონაცემთა შეგროვების წყაროების მრავალფეროვნებაზე. მოსწავლის უნარისა და შესაძლებლობების შესწავლისას მნიშვნელოვანია ინფორმაციის შეგროვების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების ერთობლივად გამოყენება რაც ერთის მხრივ შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და მეორეს მხრივ აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს.

სკოლა მოსწავლეთა შეფასებისას იყენებს როგორც დაკვირვებას მოსწავლის განვითარების დინამიკაზე (განმავითარებელი შეფასების შედეგების ანალიზი), ასევე განმსაზღვრელი (საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი) და სადიაგნოსტიკო შეფასების მონაცემებს.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სკოლა მიზანად ისახავს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას, გამომდინარე აქედან შეფასებასაც გეგმავს ჰოლისტურს, რათა წარმოაჩინოს ბავშვის ემოციურ-სოციალურ-კოგნიტური განვითარების პროცესი, გაითვალისწინოს მოსწავლის ფსიქო - სოციალური, ფიზიკური, გონებრივი შესაძლებლობები.
სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (საგნობრივი კურიკულუმები, კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია) იკითხება, რომ მოსწავლის შეფასებისას მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ ფაქტორებს, მათ ინტერესებს. სკოლისთვის მნიშვნელოვანია დაადგინოს თუ რამდენად მონაწილეობენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა და/ან უშლიდა ხელს მათ ჩართულობას აღნიშნულ პროცესში.
ამრიგად მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს როგორც მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ შიდა ფაქტორებს ასევე გარე მამოტივირებელ ფაქტორებს.

. <u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- დიფერენცირებული დავალებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრების ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

3.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხდვით, სკოლა ახდენს არსებული კურიკულუმის დანერგვის სისტემატურ დაკვირვებას/შესწავლას, გამოწვევების იდენტიფიცირებას და წლის ბოლოს მისი რეფლექსიას. კათედრები თვალყურს ადევნებენ კურიკულუმის განხორციელებას შესაბამის საგნობრივ ჯგუფებში, განიხილავენ წინა სასწავლო წლის კურიკულუმს, კომპლექსურ დავალებებს და მომავალი სასწავლო წლისთვის განვითარებულ, მოდიფიცირებულ ვარიანტს ადგენენ. ვერიფიკაციი მექანიზმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მიხედვით კი, სკოლა გამოყოფს შეფასების ვერიფიკაციაზე პასუხისმგებელ პირებს, რომლებიც გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე ზრუნავე.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგ**ებს.

სკოლა მონიტორინგსა და შეფასებას განიხილავს როგორც კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელ ნაწილს.
სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია და გულისხმობს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ფაზებს. დოკუმენტის მიხდვით კურიკულუმის შემუშავებაში აქტიურად იქნება ჩართული მასწავლებელი, მოსწავლე და მშობელი. სკოლა გეგმავს მშობელთა გამოკითხვას სასწავლო წლის დაწყებამდე და სასკოლო კურიკულუმში მშობელთა მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების ასახვას.
სკოლამ ექსპერტებს ვიზიტისას წარმოუდგინა წინა სასწავლო წელს განხორციიელბულიკურიკულუმები და მათი განხორცილების/დანერგვის პროცესში გამოვლენილი გამოწვევები და შედეგად შემუშავებული გაუმჯობესების გზები, რაც გათვალისწინებული აქვთ 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას.

<u>ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2022-2023 სასწავლო წლის კურიკულუმი
- 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმი
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

01.09.2023 წ.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: